# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№ 039 (12718) 18 თებერვალი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი





## ანჩელოტის ბოლო შანსი

უეფას თასი. წინათქმა

>> 6

# ჯერ მზად არ ვარ...

## ქეცბაია? არ ვიცი, რას ფიქრობს...

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

>> 2






>> 2

## რა სჭირს ყენიას... და შალკეს?




## ლიცენზია ქევხიშვილს

აგვისტოში მსოფლიოს ჩემპიონატზე

>> 12



## პოტენციალი ბოლომდე ვერ ამოვწურე

ინტერვიუ დავით ხახალეიშვილთან

>> 14


ანდრეას მიულერი

## ჩვენების გუნდი ქაოსში

ყველაფერი პარასკევს გადაწყდება?

>> 9

## მოლდოვა გადაწყდა, თურქეთი?

ეროვნული ნაკრები

>> 3



## განუგრძობენ კონტრაქტი შეუწყვიტეს

ლეგიონის ამბები

>> 4,5

## ჩელსი დღეში ნახევარი მილიონი ღირს

უცხოური ფეხბურთი

>> 6-11

ინტერვიუ

შოთა არველაძე

# არ ვიცი, რას ფიქრობს ქეცბაია, მე კი ჯერ მზად არ ვარ...

## მაქვს იმის ჟინი, რომ ნაკრებს გავუძღვე, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე შოთა არველაძე მთავარი ჰოლანდიური ლიგის ერთპიროვნულ ლიდერ „ალკმაარში" მთავარ მწვრთნელ ლუის ვან გაალს ეხმარება. „ალკმაარი" უახლოეს მდევარ „ტვენტეს" 9 ქულით უსწრებს და შესაბამისად, ჩემპიონობის კარგი შანსიც აქვს. მაგრამ ახლა ეს არ არის მაინცდამაინც პრიორიტეტული თემა, არველაძესთან გუშინ მეტწილად საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე ვისაუბრეთ. მოკლედ, „ლელოს" კითხვებს ნაკრების ყოფილი ფორვარდი პასუხობს...

**- რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ჩვენი ნაკრების დუბლინურ მატჩზე?**

- ამ შეხვედრაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან ბევრმა ფეხბურთელმა ითამაშა და ისინი ძალიან მოტივირებულები იყვნენ - ინგლისური პრემიერლიგის ფეხბურთელებს ეთამაშებოდნენ. მიუხედავად ჩვენი ნახევარდაცვის სუსტი ინდივიდუალური თამაშისა, ბიჭებმა მაინც კარგად იომეს.

**- წავაგეთ, თუმცა იყო შანსი, რომ საქართველოს ნაკრები „კროკ პარკიდან" უქულოდ არ წამოსულიყო. როგორ ფიქრობთ, რა დააკლდა საამისოდ ჩვენს გუნდს?**

- მოედნის ცენტრში გამბედაობა დაგვაკლდა. თუ დააკვირდით, ჩვენების 5-6 ზუსტი პასის შემდეგ ირლანდიის ნაკრები უკან იხევდა და ეს უნდა გამოგვეყენებინა. ჩვენი ნახევარდაცვა ადვილად კარგავდა ბურთს.

**- ბურთის შენარჩუნება რომ უმთავრესი პრობლემაა საქართველოს ნაკრებისთვის, ეს ყველამ დაინახა. ლევან ცქიტიშვილი კი ექტორ კუპერმა ნაკრებს მიღმა დატოვა...**

- ცქიტიშვილი დაიწყებს თამაშს მეორე ბუნდესლიგაში და ნაკრებშიც გამოიძახებენ - ასე მგონია და სხვანაირად რატომ უნდა ვიფიქრო? ის არ არის ნაკრებისთვის დასაკარგი ფეხბურთელი.

**- გოგიტა გოგუას არგამოძახებაზე რა აზრის ხართ?**

- როგორც ვიცი, გოგუა თავის კლუბში გარემარბად თამაშობს და შესაძლოა, კუპერი ნაკრებში მის ადგილს ამიტომაც ვერ ხედავდეს.

**- კუპერი არ იძახებს დავით მუჯირსაც. ამ შემთხვევაში რა არგუმენტი შეიძლება მოიძებნოს?**

- იმ სისტემაში, რომლითაც კუპერი ათამაშებს გუნდს, ძნელია მუჯირისთვის ადგილის მოძებნა. ის არც თავდამსხმელია და არც გარემარბი. მისი ადგილი უფრო ნახევარდაცვაშია, მაგრამ დააკვირდით, კუპერის ფორმაციის ნაკრებში ყველა ნახევარმცველს დაცვითი ფუნქციები აკისრია. შინ ვთამაშობთ თუ სტუმრად, ამის გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს ნაკრებისთვის ფეხბურთელების შერჩევა და შესაძლოა, ასეთ შემთხვევაში მუჯირი მართლაც გამოადგეს ეროვნულ გუნდს.

**- ისე გამოდის, თითქოს კუპერის ფორმაციის ნაკრებში ტაქტიკურ ნაკლს ვერ ხედავთ...**

- ტაქტიკას ფეხბურთელთა კონტინგენტი განაპირობებს. მიმაჩნია, რომ გარემარბი არ გვყავს. იაშვილი და გოცირიძე არ არიან გარემარბები. ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი და მის უკან ორი შემტევი - საქართველოს ნაკრებს შეუძლია ასე თამაში. გარემარბები კი უბრალოდ, არ გვყავს. ირლანდიას კი ჰყავს ისინი - დაფი და მაკგიდი, მაგრამ მაინც 4-4-2 სქემით თამაშობს. დაფი და მაკგიდი სულ ამწვავებდნენ თამაშს და გაჩნდა კითხვა - ახერხებდნენ კი ამას ჩვენი გარემარბები?

**- როგორ ფიქრობთ, კუპერის მუშაობა დადებითად უნდა შეფასდეს?**

- ერთ რამ ფაქტია, რომ კუპერი ბევრს შრომობს. ჩემი აზრით, სასურველია, მან სხვანაირი ნახევარდაცვა ამოარჩიოს. თუ გუნდი დაცვაზე იქნება ორიენტირებული, გოლის გაშვების ალბათობა მეტი იქნება, მსაჯიც შეცდება და... თუმცა ირლანდიასთან მჭედლიძე, ყენია და ასათიანი რომ გვყოლოდა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. ჩავარდნილ თამაშებზე თუ მიდგა საქმე, კუპერის ხელში საქართველოს ნაკრებს ასეთი კვიპროსთან თუ ჰქონდა. ირლანდიასთან კი, მიუხედავად წაგებისა, საქართველოს ნაკრებს თამაში არ ჩაუგდია.

**- ანუ, მიგაჩნიათ, რომ კუპერთან კონტრაქტი უნდა გახანგრძლივდეს?**

- თუ ეს თვითონ სურს და ჩვენს ნაკრებში პერსპექტივას ხედავს, დრო უნდა მისცენ. გადაჭრით რამის თქმას კი მაინც მოვერიდები - საქართველოს ნაკრებში აღარ ვარ, ყველაფერს შორიდან ვუყურებ და ასეთ დროს არ არის ადვილი ლაპარაკი.

**- არ ფიქრობთ, რომ დროა, ჩვენი ნაკრები ქართველმა უნდა გაწვრთნას?**

- მაინც ვინ?

**- თუნდაც თემურ ქეცბაიამ... ან შოთა არველაძემ...**

- არ ვიცი, რას ფიქრობს ამაზე ქეცბაია. ხოლო რაც შემეხება მე, ამ ეტაპზე მზად არ ვარ ამისთვის. მაქვს იმის ჟინი, რომ ნაკრებს გავუძღვე, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა...

**- „ალკმაარში" ვან გაალის თანაშემწე ხართ. მასთან ორი სეზონი უკვე იმუშავეთ, როგორც ფეხბურთელმა, თუმცა მწვრთნელობით, ალბათ, სულ სხვანაირ გამოცდილებას იღებთ მისგან...**

- ფეხბურთელობისას არ ვიცოდი, რა ხდებოდა ვან გაალის სამწვრთნელო შტაბში, როგორ მიდიოდა ის გადაწყვეტილებების მიღებამდე... ის ცდილობს, თავისი იდეები გუნდში ყველას კარგად გააგებინოს და თითოეულ ფეხბურთელს ინდივიდუალურად მიუდგეს - თეორიულად ასე დგას საკითხი. ვან გაალი ყველა თანაშემწის ნებისმიერ შეხედულებას ისმენს და გადაწყვეტილებას სწორედ ამის მერე იღებს.

**- ბოლოს ერთსაც გკითხავთ: თქვენი აზრით, ვინ უნდა ითამაშოს საქართველოს ნაკრებში ცენტრალურ თავდამსხმელად? კუპერმა ამ პოზიციაზე არაერთი ფეხბურთელი მოსინჯა, თუმცა ისე ჩანს, რომ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ უნდა იყოს...**

- საუკეთესო ვარიანტად მჭედლიძე მიმაჩნია. სულ კარში დარტყმაზეა მომართული, ბევრს მოძრაობს... ბუნებით წინწაწეული თავდამსხმელია.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერი

### ფატალური უიღბლობა

#### ყენია ისევ დაშავდა

დიახ, ლევან ყენიას სწორედაც რომ ფატალურად არ უმართლებს. ოქტომბერში მიიღო კოჭის ტრავმა, რომელიც ისე გაურთულდა, ორთვენახევარი უქმად ყოფნამ მოუწია. მართალია, ლევანი შუასასეზონო შეკრებისას გუნდთან ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ კუნთი ისე დაეჭიმა, დატვირთვები შეწყვიტა და 11 თებერვალს ირლანდიასთან მატჩისთვის ნაკრებს გამოაკლდა.

ამის მერე მან მოახერხა გამოკეთება, მაგრამ... ისევ უმუხთლა ფეხმა - „შალკეს" ვარჯიშზე ზედა კუნთი გაიწყვიტა და გერმანელმა ექიმებმა სამკვირიანი სარეაბილიტაციო კურსი გამოუწერეს. ყენიას ბუნდესლიგაში ჯერ არ უთამაშია, დებიუტი ტრავმიანობამ გაუჯანჯლა. როდემდე გაგრძელდება ასე?

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ

ოთარ გაბელია

# მეგობრული ჟესტი

მეორე ეტაპის დაწყების წინ და საერთოდ, ამ სატრანსფერო კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენა ოთარ გაბელიას ქართულ საკლუბო ფეხბურთში დაბრუნება იყო. საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს სამწვრთნელო კარიერაც შთამბეჭდავი ჰქონდა; ზუგდიდის „ოდიში", გურჯაანის „ალაზანი", ყვარლის „დურუჯი", თსუ, ბოლნისის „სიონი", ქუთაისის „ტორპედო", ბათუმის „დინამო" - სხვადასხვა დროს ყველა ამ გუნდში ოთარ გაბელიამ მეტ-ნაკლები წარმატებით იმუშავა. სამწუხაროდ, უკანასკნელ ორი წელიწადში გამოცდილი მწვრთნელით ჩვენი გუნდები არ ინტერესდებოდნენ. და აი, არცთუ ხანმოკლე პაუზის მერე გაბელია კვლავაც დაუბრუნდა ეროვნულ ჩემპიონატს, ოღონდ ამჯერად მწვრთნელ-კონსულტანტის რანგში. ვნახოთ, რამდენად წაადგება ფინანსურად გაჭირვებულ და სატურნირო ცხრილის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბორჯომს" ოთარ გაბელიას გამოცდილება.

მეორე ეტაპის დაწყებიდან მხოლოდ ორი ტური გავიდა და როგორც მოსალოდნელი იყო, „ბორჯომმა" ორივე მატჩი წააგო. თუმცა, აი, იმას კი არავინ მოელოდა, რომ უვარჯიშებელი და ზედ მეორე ეტაპის დაწყების წინ დაკომპლექტებული გუნდი მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდა ჯერ „ოლიმპს", მერე კი „ზესტაფონს".

„ბორჯომის" მწვრთნელ-კონსულტანტს გუშინ რომ შევეხმიანეთ, ამ ორი მატჩის შეფასების გარდა, სხვა ამბებიც გამოვკითხეთ...

**- ბოლოს და ბოლოს, დავაზუსტოთ: „ბორჯომის" მთავარი მწვრთნელი ხართ თუ მწვრთნელ-კონსულტანტი?**

- ადრეც გითხარით და კიდევ გავიმეორებ: მეგობრებმა მთხოვეს, რომ „ბორჯომს" დავხმარებოდი და გუნდში მწვრთნელ-კონსულტანტად ვმუშაობ.

**- კარგია, მეგობრებს უარი რომ ვერ უთხარით. ამჟამად გამოსწორდა კლუბის ფინანსური მდგომარეობა?**

- რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ „ბორჯომში" დაფინანსების წყარო გაჩნდა და გაბელიაც სამუშაოდ ამიტომ წავიდაო. არადა, კეთილი ჟესტი გავაკეთე მეგობრების მიმართ - მთავარია, რომ, როგორმე გუნდს სეზონი ჩაემთავრებინა. „ბორჯომი" გათამაშებიდან რომ მოხსნილიყო, მერე, მომავალში, უკვე რეგიონალურ ლიგაში აღმოჩნდებოდა. ახლა კი, სიტყვაზე, რომ გავვარდეთ, პირველ ლიგაში დავქვეითდებით და იქიდან მალე დაბრუნებაზეც ვიფიქრებთ.

**- „ბორჯომმა" უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ ვერ შეინარჩუნოს, გაბელია-მწვრთნელის იმიჯს ჩრდილი არ მიადგება?**

- ხომ გითხარით, რომ მთავარი მწვრთნელი არა ვარ-მეთქი; წესით, ადგილობრივი კაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შესაბამისი ლიცენზია არ გააჩნია. ისე, ჩემს იმიჯზე უარყოფითად რატომ უნდა იმოქმედოს - დასახმარებლად რომ დამიძახეს, გუნდს მეორე დღეს უკვე „ოლიმპთან" მატჩი ელოდა. ისე, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მუშაობა არსად მითაკილია - პირველ ლიგაშიც ვყოფილვარ და უმაღლესშიც...

**- „ბორჯომი" მეორე ეტაპს, ფაქტობრივად, მოუმზადებელი შეხვდა.**

- პირველ მატჩამდე, თუ არ ვცდები, ათი დღე ექნებოდათ ნავარჯიშები; თანაც, კონტინგენტიც არ გვყავდა: პირველ ეტაპზე რომ შემადგენლობა იყო,



იქიდან მხოლოდ სამი ფეხბურთელიღა შემორჩა. კი, შესაძლოა, რომ შეყრილაძე, ლაცაბიძე და კიკნაძე ურიგო ფეხბურთელები არ არიან, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, ფინანსების უქონლობის გამო ვერავინ დავიმატეთ და ძირითადად ადგილობრივი ფარმკლუბის ჭაბუკი ფეხბურთელებით მოგვიწევს ფონს გასვლა.

**- მეორე ეტაპზე „ბორჯომმა" ორი მატჩი ჩაატარა და ყველა რომ სრულ ფიასკოს ელოდა, ორივეჯერ მხოლოდ მინიმალური სხვაობით დამარცხდა.**

- წარმოიდგინეთ: ზოგიერთი ფეხბურთელის გვარ-სახელი გაგონილიც არ მქონდა! რა თქმა უნდა, „ოლიმპთან" და „ზესტაფონთან" შეხვედრებში წარმატებაზე ფიქრი უტოპია იყო; თუმცა ორივე მატჩში უფრო მეტი ყურადღება და კონცენტრაცია რომ გამოგვეჩინა, შესაძლოა, ქულებიც აგველო.

**- ანუ, მიგაჩნიათ, რომ იმავე „ოლიმპთან" და „ზესტაფონთან" საყაიმო ანგარიშის მიღწევაც შეგეძლოთ?**

- ასეც ვერ ვიტყვი, მაგრამ შეკრებაგაუვლელმა და უვარჯიშებელმა გუნდმა ასეთი წინააღმდეგობა რომ გაუწია ჩემპიონატის ფავორიტებს, ეგეც საქმეა. სხვათა შორის, „ოლიმპისგან" უფრო მეტს მოველოდი, ეტყობა, თამაში არ წაუვიდათ. ისე კი, მიმაჩნია, რომ ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია. თანაც, კარგად ვიცი, თუ როგორ მუშაობს კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ზურაბ ჯაფარიძე - ბათუმში რომ ჩინებული გუნდი მყავდა, მაგ კაცის დიდი დამსახურებაა.

**- „ზესტაფონთან" თქვენმა გუნდმა შეხვედრის ერთადერთი გოლი ბოლო წუთებზე გაუშვა...**

- „ზესტაფონი" რა გუნდია, ყველას კარგად მოეხსენება - პირობებითაც და შემსრულებლებითაც ბევრს ალემატებიან. რაღა თქმა უნდა, ასეთ ძლიერ მეტოქესთან შემტევ ტაქტიკას არ ავირჩევდით და სანამ შეგვეძლო, სასურველ ანგარიშს ვინარჩუნებდით. ამასთან, მეტოქესაც, ცოტა არ იყოს, ნერვიულობა შეეტყო - როცა ბევრ მომენტს გააფუჭებ, ფსიქოლოგიური პრობლემები იჩენს ხოლმე თავს. სამწუხაროდ, ბოლომდე არ გვეყო კონცენტრაცია და მინიმალური სხვაობით დავმარცხდით.

**- „ბორჯომის" საკადრო პრობლემებზე საუბრობდით და ამიტომაც გვინდა გკითხოთ: უკანასკნელ შეხვედრაში თქვენი გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა ირაკლი კიკნაძემ რატომ არ ითამაშა?**

- ტრავმა აწუხებს. ისე, სხვათა შორის, მასპინძელთა გოლის მერე ერთი მშვენიერი მომენტი ჩვენც გვქონდა: ზაზა ლაცაბიძემ გრძელი რეიდი განახორციელა, მაგრამ მეტოქის საჯარიმოში შესულს ძალა აღარ ეყო.

**- იმავე შეხვედრის თვითმხილველთა უმრავლესობა აღფრთოვანებული დარჩა „ბორჯომის" მეკარე ბექა შეყრილაძის ასპარეზობით.**

- ჯერ იმას ვიტყოდი, რომ წესიერი ბიჭია და არც მონაცემები დაეწუნება. რა თქმა უნდა, სასწავლი და დასახვეწი ჯერ კიდევ ბევრი აქვს, მაგრამ როგორც მწვრთნელი, მისი თამაშით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. ყოველ შემთხვევაში, „ზესტაფონთან" შეხვედრაში, სულ მცირე, ოთხ-ხუთ შემთხვევაში აშკარა ხიფათისგან გვიხსნა.

**- მეკარეებზე ჩამოვარდა საუბარი და გიორგი ლომაია რომ საქართველოში დღესდღეობით უკონკურენტოა, ჩვენს აზრს იზიარებთ?**

- ეგ თემა საკამათო არც უნდა იყოს; თანაც, მჯერა, რომ გიორგი კიდევ მოუმატებს. ისიც სწორ ნაბიჯად მიმაჩნია, რომ საქართველოში დარჩა - მეკარისთვის სათამაშო პრაქტიკა ხომ აუცილებელია.

**- დაბოლოს, როგორც ფიქრობთ, „ბორჯომი" შეძლებს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას?**

- რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიჭირდება. თუმცა, ჩემპიონატის ბოლომდე კიდევ სამი თვეა დარჩენილი და ვარჯიშებზე ყველანაირად ვეცდებით ფეხბურთელების ფიზიკური კონდიციები ავამაღლოთ. თუმცა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად შესაბამის პირობებთან ერთად შესაბამისი შემსრულებლებიც არის საჭირო...

გია ტუხაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ნაკრები

# მოლდოვა გადაწყვეტილია, თურქეთი?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე მუშაობს. 6 ივნისს მოლდოვამ თბილისში სპარინგი რომ შემოგვთავაზა, ამაზე ჯერ კიდევ დეკემბერში ითქვა. ამ ამხანაგური მატჩის გამართვაზე თანხმობა განაცხადა ნაკრების თავკაცმა **ექტორ კუპერმაც**, შესაბამისად, წერტილი დასმულია - ზაფხულის დასაწყისში საქართველოს დედაქალაქს მოლდოვის ეროვნული გუნდი ეწვევა.

ივნისში ამხანაგური მატჩის ჩატარება 10 რიცხვშიცაა შესაძლებელი, ასეა დადგენილი ფიფას კალენდრის მიხედვით. კუპერს ორივე თარილის გამოყენება სურს. მეორე სპარინგის ორგანიზებისთვის მოლაპარაკებები მიმდინარეობს თურქეთის ფეხბურთის ფედერაციასთან. თუ ეს მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება, მაშინ თურქეთს 2 ივნისს სტუმრად ვეთამაშებით, რადგან მათ სწორედ ეს თარილი აწყობთ, და არა 10 ივნისი. თურქულ მხარესთან მოლაპარაკებები გრძელდება და რამდენიმე დღეში დამთავრდება.

**დავით ცაბაძე**

სპარტაკი

# იმედაძე და სახოკია: ჯერ მხოლოდ ვარჯიში...


ზაზა სახოკია

ცხინვალის „სპარტაკში" ერთმა ახალმა ფეხბურთელმა, მარცხენა ნახევარმცველმა **ზაზა სახოკიამ** ივარჯიშა. მოგეხსენებათ, „ვიტ ჯორჯიას" შემდეგ ეს ფეხბურთელი სომხურ „მიკაში" თამაშობდა, მერე „გაგრაში" გამოჩნდა, ახლა კი **სერგო გაბელაიას** გუნდშია. თუმცა, როგორც გავიგეთ, ცხინვალელთა გუნდში მისი ჩარიცხვის საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაა. სეზონის განახლებიდან უკვე ორი ტური გავიდა. „სპარტაკმა", რომელიც კვლავ სატურნირო ცხრილის ფსკერზე ყვინთავს, ამ ორ ტურში მხოლოდ ქულა აილო და ერთი გოლი გაიტანა. შესაბამისად, გაჭირვებულ გუნდს მეტი გოლი და ქულა სჭირდება. აქედან გამომდინარე, სახოკიას მერე „სპარტაკში" კიდევ ერთი საინტერესო ფეხბურთელის, ფორვარდ **გია იმედაძის** გამოჩენასაც ელიან. შეგახსენებთ, რომ იმედაძე თავის დროზე ქუთაისის „ტორპედოსა" და „ზესტაფონში" ასპარეზობდა, ერთი ხანობა ირიცხებოდა „ალანიაშიც", ბოლოს კი თბილისის „ლოკომოტივში" თამაშობდა. საინტერესოა, რა პროცესშია ამ ორი ფეხბურთელის ტრანსფერის საკითხი...

*„დიახ, ზაზა სახოკიამ ჩვენს გუნდში ივარჯიშა, მაგრამ ჯერჯერობით დამატებაზე ლაპარაკი არ ყოფილა. ეს საკითხი ღიად რჩება, თუმცა სურვილი გვაქვს, რომ ჩვენთან ითამაშოს. ამავეს ვიტყოდი გია იმედაძეზეც. სეზონი ახლახან განახლდა, მაგრამ ტრავმებისა და გაფრთხილებების გამო, შესაძლოა, პრობლემები შეგვექმნას. ამიტომაც გვინდა ახალი ფეხბურთელებით გაძლიერება. ეგ არის, რომ კლუბის პრეზიდენტი თბილისში არ არის, ჩამოვა და ამ საკითხსაც გადავწყვეტთ"*, - გვითხრა ცხინვალის „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა სერგო გაბელაიამ.

**დავით ცაბაძე**

ბაია

# პირველი მარცხი მეოთხეში

მეორე კვირაა, ზუგდიდის „ბაია" ანთალიაში ემზადება. ამ გუნდმა 3 სპარინგიდან 2 მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა, გუშინ კი მეოთხე საკონტროლო მატჩიც გამართა და პირველად დამარცხდა - 1:3 ნამაგანის (უზბეკეთი) „ნოვბახორთან". ზუგდიდელთაგან ერთადერთი გოლი **დათა რაფავამ** გაიტანა.

კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, **ჰერბერტ ცანკერმა** კიდევ ერთხელ გადაახალისა შემადგენლობა. ამით, გერმანელმა სპეციალისტმა პირობა შეასრულა და თავის გამოჩენის შანსი მის განკარგულებაში მყოფ 27-ვე ფეხბურთელს მისცა.

„ბაია" ანთალიას 21 თებერვალს დატოვებს. მანამდე კი, შესაძლოა, კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი გამართოს. მეტოქის ვინაობა ჯერ არ გარკვეულა. ბოლოს კი შემადგენლობა, რომელიც „ნოვბახორს" დაუპირისპირდა: **მაქაცარია (ზარქუა), სვირავა, პაჭკორია, ყვანია, ქვარცხავა, ლ. წურწუმია, გ. ქირია (სიხარულია), ნ. შონია (კ. შონია), ექონია (გუჯეჯიანი), ეხვაია, რაფავა.**

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ბარაბაძეს ბურთი და მოედანი მოენატრა

## თვენახევარში ვარჯიში, მერე თამაშიც...

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა **რევაზ ბარაბაძემ** ბელგიაში მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ახლა რეაბილიტაციის კურსს გადის. 26 წლის თავდამსხმელს იმედი აქვს, რომ მოედანს მალე დაუბრუნდება.

*„სირბილი უკვე დავიწყე, ფეხი ალარ მტკივა და იმედია, თვენახევარში ვარჯიშს უკვე სრული დატვირთვით შევძლებ, მერე კი მოედანსაც დავუბრუნდები. მიხარია, რომ მკურნალობა იმ გრაფიკით მიდის, როგორიც ბელგიელმა ექიმმა შემირჩია. სწრაფად მიმდინარეობს დაზიანებული მუხლისა და კუნთების აღდგენა. ცოტა ხნის წინ კუნთებში ძალა არ მქონდა, ახლა კი ნელ-ნელა დატვირთვებსაც ვზრდი. დავდივარ სატრენაჟორო დარბაზში, აუზში წყლის პროცედურებს ვატარებ, ველოსიპედზე ვვარჯიშობ და სიმართლე გითხრათ, ბავშვივით მიხარია. ბურთი და მოედანი ძალიან მომენატრა. სხვათა შორის, ოპერაციის შემდეგ ბელგიაში მითხრეს, რომ ფეხბურთს სამ თვეში დავუბრუნდებოდი. მართლდება კიდეც ექიმის სიტყვები. იმედია, მალე ვითამაშებ, თორემ ტელევიზორში ფეხბურთის ყურება ძნელია"*, - ამბობს ბარაბაძე.

მალე ბარაბაძე მახაჩყალის „ანჟისთან" კონტრაქტს გაწყვეტს. მართალია, დაღესტნელებმა ნოემბერში ის ტრანსფერზე დააყენეს, მაგრამ ტრავმირებულ მოთამაშეს რომ არავინ შეიძენდა, თავიდანვე ცხადი იყო.

*„ოფიციალურად, დღემდე „ანჟის" მოთამაშე ვარ, კონტრაქტი არ ამოწურულა, თუმცა, ფაქტობრივად, კლუბის წევრი არ ვარ და მალე ხელშეკრულებას გავწყვეტთ. მანამდე კი დაღესტნელებმა ხელფასი უნდა გადამიხადონ, თან ჩემთან დავალიანებაც აქვთ"*, - გვითხრა ბარაბაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| **ვიტ ჯორჯია**<br>რამაზ მუმლაძე | — | მგელაძე, ზ. დათუნაშვილი, ხოკერაშვილი (სამივე გაგრა), |
| **დინამო**<br>რაინერ ცობელი | ოდიკაძე (დიორი, უნგრეთი), შ. გრიგალაშვილი (ზესტაფონი), ინწკირველი (ქარვანი) ელიავა (იჯარა დაუმთავრდა) | კოშკაძე (სიონი), ლომია (მგლები), ტომიჩი (ჩერნოგორია), ჩარასი (არგენტინა) |
| **ოლიმპი**<br>ვარლამ კილასონია | მერლანი (?), კ. ალადაშვილი (სიონი), მიკუჩაძე (სიონი, იჯარით) ფეიქრიშვილი (?) | მ. ალავიძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი), რეხვიაშვილი (მგლები, იჯარა დაუმთავრდა), ხუბუა (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), კაკულია (ნ/დინამო) |
| **ზესტაფონი**<br>გია გეგუჩაძე | რ. ონიანი (მგლები), ბ. გოცირიძე (დნიპრო, უკრაინა), ჭანტურია (სიონი) ლომაშვილი (?), ბოიომო (?) | ლ. მელქაძე (უგუნდოდ), მამალაძე (მგლები), კაჭკაჭიშვილი (დინამო 2), მ. კაკალაძე (სამტრედია), წინამძღვრიშვილი (ამერი), შ. გრიგალაშვილი (დინამო), ტეტუნაშვილი (გაგრა), ელ ზაინი (ლიბანი) |
| **სიონი**<br>ოთარ კორღალიძე | ს. იაშვილი (იჯარა დაუმთავრდა, ანჟი, რუსეთი), კოშკაძე (დინამო), ჩივაძე, ქურასბედიანი, ოქროპირიძე, შ. ჯიქია (ყველა სპარტაკი), ბ. ნოზაძე (მგლები), ქვაჩახია (?), ხუბუა (იჯარა დაუმთავრდა, ოლიმპი) | ბობოხიძე (უგუნდო), ჭანტურია (ზესტაფონი) ი. ვაშაკიძე (მერანი), ხიდეშელი, შალამბერიძე, (ორივე სპარტაკი), ჯ. მუჯირი (ირანი), ორბელაძე (დაჩია, მოლდოვა), კ. ალადაშვილი (ოლიმპი), მიკუჩაძე (ოლიმპი, იჯარით), რუსეიშვილი (ზოოვეტი) |
| **ლოკომოტივი**<br>გიორგი კიკნაძე.<br>ზაზა ზამთარაძე | ცქიტიშვილი (ვეენი, გერმანია), ალექსიძე (დიორ ეტო), დარასელია (კარიერა დაასრულა), ბათიაშვილი, ფარულავა, ზ. ჩხეტიანი (სამივე მესხეთი), სამხარაძე (?) | ხუმარაშვილი (კახეთი), კვანტალიანი (ოლიმპიკი), ბელელური, მებალიშვილი, რობაქიძე |
| **მგლები**<br>ბესიკ შეროზია | რეხვიაშვილი (ოლიმპი, იჯარა დაუმთავრდა), ლომია (დინამო), მამალაძე (ზესტაფონი), დარსანია (ბორჯომი), ქუცურუა (ლოკომოტივი, იჯარა დაუმთავრდა), გრიგოროვიჩი (?), მიქაბერიძე (ოლიმპი, იჯარა დაუმთავრდა), ომელიანოვი (?) | რ. ონიანი (ზესტაფონი), ბ. ნოზაძე (სიონი), სომხიშვილი (მესხეთი), რაქვიაშვილი (მესხეთი), ბაკარანძე (კოლხეთი), დ. ქირია (ბუხარა, უზბეკეთი), მალიჩავა (უგუნდოდ), ინჯგია (უგუნდოდ), გ. ჭედია (ტორპედო, ბელარუსი), ჭკადუა (უზბეკეთი) |
| **მესხეთი**<br>კობა თედიაშვილი | გაგუა (კარიერა დაასრულა), გ. კვახაძე (სპარტაკი), სომხიშვილი (მგლები), გრიგალაშვილი (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (მგლები), ახალაია (?) | ნ. ვაშაკიძე, ბეჟანიძე (ორივე ბორჯომი იჯარა დაუმთავრდათ), ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი (ორივე ბორჯომი), ბათიაშვილი, ფარულავა, ზ. ჩხეტიანი (სამივე ლოკომოტივი), გეირჯიშვილი (უგუნდოდ) |
| **გაგრა**<br>ვლადიმერ ხაჩიძე | მგელაძე, ზ. დათუნაშვილი, ხოკერაშვილი (სამივე ვიტ ჯორჯია), მეტრეველი (სპარტაკი), ტეტუნაშვილი (ზესტაფონი) | ბ. ცხადაძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი), კოზლენკო (უკრაინა), კუპრეიშვილი (სპარტაკი), გავაშელიშვილი, ლ. სეთურიძე (გაგრა 2), ჯარმელაშვილი, ოვონიკოკო (ნიგერია) |
| **ბორჯომი**<br>ოთარ გაბელია<br>(მწვრთნელ-კონსულტანტი) | სუხიაშვილი (მთავარი მწვრთნელი, ტორპედო 2 ქუთაისი) ქარქუზაშვილი, ავალიანი (ორივე სპარტაკი), ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი (ორივე მესხეთი), ნ. ვაშაკიძე, ბეჟანიძე (ორივე მესხეთი, იჯარა დაუმთავრდათ), ქავთარაძე (დინამო, იჯარა დაუმთავრდა), | ოთარ გაბელია (მწვრთნელ-კონსულტანტი), პავლიაშვილი (ჰიკი, დანია), მენთესაშვილი (განძასარი, სომხეთი), ლ. დათუნაშვილი (სპარტაკი), დარსანია (მგლები), ტუხაშვილი (?) |
| **სპარტაკი**<br>სერგო გაბელაია | ხიდეშელი, შალამბერიძე (ორივე სიონი), მ. ლონლაძე (?), თექთურმანიძე (?), თარხნიშვილი (?), კუპრეიშვილი (გაგრა), ქვილითაია (?) | ჩივაძე, შ. ჯიქია, ოქროპირიძე, ქურასბედიანი (ოთხივე სიონი), მეტრეველი (გაგრა), გ. თურმანიძე (სამტრედია), ავალიანი (ბორჯომი), გ. კვახაძე (მესხეთი), მგალობლიშვილი (ჩიხურა), კოდალაევი (მერანი), ქარქუზაშვილი (ბორჯომი), შერაზადიშვილი, ჯანელიძე, ტლაშაძე, სახოკია (მიკა სომხეთი) |

**შენიშვნა:** მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები

ლეგიონი

## მჟავანაძე როსტოველია



„როსტოვის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ საწვრთნელი შეკრებისას სინჯებზე მყოფი **კახაბერ მჟავანაძე** კლუბში ჩაირიცხა. გუნდის მწვრთნელი **ოლეგ დოლმატოვი** ყველაზე სუსტ რგოლად დაცვას მიიჩნევდა და ამიტომაც ზრუნავდა მის გაძლიერებაზე. როგორც ჩანს, გარკვეულ იმედებს ის სწორედ 31 წლის ქართველ მცველს უკავშირებს. შარშან მჟავანაძე ოდესის „ჩერნომორეცში" თამაშობდა, თუმცა წლის ბოლოს „მეზღვაურებმა" ის გუნდიდან გაუშვეს. ისრაელში გამართულ შეკრებაზე კახამ ორ საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა და ეტყობა, დოლმატოვს თავი მოაწონა. შეგახსენებთ, რომ მჟავანაძეს საქართველოს ნაკრებში 14 მატჩი აქვს ჩატარებული. მესამე სეზონისწინა შეკრებაზე „როსტოვი" თურქულ ბელეკში გაემგზავრება.

## ანანიძის გოლის მიუხედავად...

გუშინ იტალიაში მოსკოვის „სპარტაკის" დუბლშემადგენლობა „ვიარეჯოს თასს" დაემშვიდობა. რუსულმა გუნდმა მერვედფინალში „რეჯინასთან" წააგო. დამარცხებულთა რიგებში კვლავ გაიბრწყინა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ნახევარმცველმა **ჯანო ანანიძემ**. მე-6 წუთზე მის მიერ შესრულებული საჯარიმო „რეჯინას" გოლკიპერმა მოიგერია. შემდეგ, მე-12 წუთზე, **იაკოვლევის** პასით ქართველმა მეტოქის კარი დალაშქრა. პირველ 30 წუთში ჯანოს მესამე საგოლე მომენტი შეექმნა, მაგრამ მან ბურთი „რეჯინას" გოლკიპერს გაარტყა. 32-ე წუთიდან „სპარტაკი" კაცნაკლული დარჩა და უპირატესობაც იტალიელებმა მოიპოვეს. „რეჯინამ" 70-ე წუთზე გაათანაბრა. შემდეგ რუსებს კიდევ ერთი ფეხბურთელი გაუგდეს და შედეგმაც არ დააყოვნა - 2:1 იტალიური გუნდის სასარგებლოდ. ანანიძე 72-ე წუთზე შეცვალეს.

## მაისურაძე ვიტებსკშია

მოგეხსენებათ, გამოცდილი ქართველი ლეგიონერი **გივი კვარაცხელია** „მტზ-რიპოს" დაუბრუნდა. როგორც ბელარუსული ვებგვერდები წერენ, ის შედარებით არახელსაყრელ ფინანსურ პირობებზე დათანხმდა. თურქულ შეკრებაზე მყოფმა „მტზ-რიპომ" უზბეკურ „ლოკომოტივთან" 0:3 წააგო. გივიმ ორივე ტაიმი ითამაშა, ფორვარდმა **არჩილ პართენაძემ** კი მხოლოდ მეორე.

თურქულ შეკრებაზეა ბელარუსის ჩემპიონი ბატე-ც, რომელმაც ტაშკენტის „პახტაკორს" 1:0 მოუგო. **ლაშა დეკანოსიძე** მე-60 წუთზე გამოჩნდა. „მტზ-რიპოს" დუბლების ყოფილი წევრი **ირაკლი მაისურაძე** „ვიტებსკშია". ეს გუნდი თურქეთში უკრაინულ „ილიჩივეცს" დაუზავდა - 1:1. ქართველმა ნახევარმცველმა სპარინგში ოდენ მეორე ტაიმი ითამაშა.



## განუგრავას კონტრაქტი შეუწყვიტეს

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩეხურმა „მლადამ" (ბოლესლავი) **გიორგი განუგრავა** გაუშვა. კლუბის დირექტორ **ზდენეკ კუდელასთან** ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ, ორივე მხარე კონტრაქტის გაწყვეტაზე შეთანხმდა. ამის მიზეზად კლუბის ოფიციალური ვებგვერდი 20 წლის ქართველის უგერგილო თამაშს ასახელებს. განუგრავამ „მლადას" ძირითად გუნდში კი არა, ახალგაზრდულშიც ვერ დაიმკვიდრა თავი.

*„განუგრავა, როგორც საფეხბურთო ტალანტი, კლუბში 2007 წელს, საქართველოს ნაკრებში თამაშის გამოცდილებით მოვიდა. მას შემდეგ „მლადამ" რამდენიმე მწვრთნელი შეიცვალა - უჰრინი, ზალიჩი, შჩასნი, სტანერი და ჰაპალი, მაგრამ განუგრავამ ვერავის მოაწონა თავი. ბოლო დროს „მლადა" სხვა კლუბებისგან ელოდა ქართველით დაინტერესებას, მაგრამ როცა ასეთი რამ არ მოხდა, კლუბის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, გიორგისთან პროფესიული კონტრაქტი გაეწყვიტა",* - წერს „მლადას" ოფიციალური ვებგვერდი.

## თურქმენეთის თასისთვის ქართველებიც იბრძოლებენ

თურქმენეთის პრეზიდენტის თასი 1994 წლიდან ტარდება. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიუღიათ თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს". წლევანდელი გათამაშება, მართალია, ქართული კლუბის გარეშე ჩაივლის, მაგრამ არა - უქართველოდ. ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 35 ათასი დოლარია, 6 მონაწილეს შორის სომხური „განძასარი" და ლატვიური „სკონტოც" არიან. შეგახსენებთ, რომ „სკონტოს" ღირსებას **ვლადიმერ დვალიშვილი** და **დავით გამეზარდაშვილი** იცავენ, „განძასართან" კი ახლახან გააფორმა კონტრაქტი **მიხეილ თაყაძემ**, თუმცა ეს გუნდი არც აქამდე იყო უქართველოდ. თურქმენეთის პრეზიდენტის თასზე ეს გუნდები სხვადასხვა ჯგუფში მოხვდნენ.

## ციმაკურიძე: დაუგეგმავი შეხვედრა რივალდოსთან

გიორგი ციმაკურიძის „ზარიამ" თურქეთში დაუგეგმავი სპარინგი გამართა. უკრაინული გუნდი **რივალდოს** „ბუნიოდკორს" (სადაც ბრაზილიელი მოთამაშე-მწვრთნელია) შეხვდა და 0:1 დამარცხდა. უზბეკეთის ჩემპიონატის ლიდერთან ქართველმა ნახევარმცველმა მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პროფესიონალთა აზრით...

# იყო თუ არა ზეგავლენა ფინელ არბიტრზე?

## როგორ აფასებენ იუნი ჰიიტიას მსაჯობას მისი ქართველი კოლეგები?

**ირლანდია-საქართველოს მატჩის ხსენებაზე თითქმის ყველასგან ერთი შეფასება გვესმის - ჩვენი გუნდის მარცხი ძირითადად სამსაჯო შეცდომებმა, პირველ რიგში კი საქართველოს ნაკრების კარში უსამართლოდ დანიშნულმა პენალტმა განაპირობა. მაგრამ ერთია გულშემატკივრის აზრი და მეორე - პროფესიული შეფასება და არგუმენტები.**

**დუბლინური მატჩიდან ზუსტად კვირა გავიდა და ცოტა არ იყოს, დაგვიანებულადაც შეიძლება ჩავთვალოთ ეს შეფასება, მაგრამ ვფიქრობთ, მაინც საჭიროა. რესპონდენტებად სახელგანთქმული არბიტრი ანატოლი მილჩენკო და ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ავთანდილ შალამბერიძე შევარჩიეთ. თავდაპირველად, შეფასება მილჩენკომ გააკეთა...**

- მთლიანობაში, ფინელი არბიტრისა და მისი ასისტენტების გარჯას არადამაკმაყოფილებლად ვაფასებ. მისმა გადაწყვეტილებებმა ჩვენი გუნდი აშკარად გატეხა წელში. ასეთი მსაჯობა სანაკრებო დონის საერთაშორისო, მით უმეტეს, საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში დაუშვებელია. თანაც გაცხადდა, რომ ეს ამ არბიტრის ბოლო მატჩი იყო და ის ამთარებს კარიერას. გაგახსენებთ 1981 წლის 13 მაისს, თასების თასის ფინალს, რომელიც თბილისის „დინამომ" მოიგო. ის მატჩი არბიტრ რიკარდო ლატანცისთვის ბოლო იყო კარიერაში და მახსოვს, მითხრა - მინდა ლამაზად წავიდე, ხალხმა ტაშით გამაცილოსო. ამ ფინელ არბიტრ ჰიიტიას კი, რომელმაც ირლანდიასთან ჩვენი ნაკრების მატჩი იმსაჯა, მსგავსი სურვილი ვერ შევატყვე. იმ მატჩზე მსაჯთა დამკვირვებელი რომ ვყოფილიყავი, ფინელს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას დავუწერდი - ჩემგან 4 ბალზე მეტს ვერ მიიღებდა.

**- მაინც რაში არ ეთანხმებით ფინელ არბიტრს?**

- ირლანდიელებმა პირველ ტაიმში გაგვიტანეს გოლი, რომელიც ჰიიტიამ არ ჩათვალა. მე თუ მკითხავთ, სჯობდა, ის გოლი ჩაეთვალა, ვიდრე მეორე ნახევარში ის მოგონილი პენალტი დაენიშნა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ გადაწყვეტილებამ მატჩის შედეგზე იქონია გავლენა. მეორე ტაიმში ფინელი ძალიან არაობიექტური იყო... არც ისაა გამორიცხული, რომ მასზე გარკვეული ზეგავლენა იყო, ან ამის მცდელობას ჰქონდა ადგილი...

**- ზეგავლენაში რას გულისხმობთ? ქრთამს? თუ ფსიქოლოგიურ ზეწოლასა სხვა მომენტებს?**

- მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, არბიტრმა ერთი-ორი ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ მივხვდი - ჩვენს გუნდს ძალიან გაუჭირდებოდა, არადა, ჩვენმა ბიჭებმა თავი გადადეს, იბრძოლეს და მინიმუმ ქულას ნამდვილად იმსახურებდნენ... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ირლანდიელი ფეხბურთელები ჩვენი ნაკრებისგან გაცილებით ნაკლებ წინააღმდეგობას ელოდნენ...

**- ზეგავლენა ახსენეთ, მაგრამ აღარ გააგრძელეთ თემა...**

- არა, ეს უბრალოდ ეჭვია, რომელსაც ვერ დაამტკიცებ, თუკი რაიმე ხელჩასაჭიდი არ გაქვს. პირველ ტაიმში ირლანდიელებმა გოლი რომ გაგვიტანეს, ლაინსმენმა იმ ეპიზოდში თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა, თუმცა არბიტრი არ დაეთანხმა. შესაძლოა, შესვენებისას მათ იკამათეს კიდეც ამაზე. არ ვიცი, იყო თუ არა, ან თუ იყო, რა სახის ზეგავლენა შეიძლებოდა ყოფილიყო ჰიიტიაზე, ან ვისგან, თუმცა ერთი რამ აშკარაა - ტელერეპორტაჟიდანაც ნათლად ჩანდა, რომ მეორე ტაიმში არბიტრი თითქოს სპეციალურად ეძებდა მომენტს, რომ მასპინძლებისთვის ესიამოვნებინა. ამის დასტურად მის მიერ დანიშნული ჯარიმებიც გამოდგება. ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ ჩვენს კარში უსამართლოდ დანიშნული პენალტით ფინელმა პირველ ტაიმში არჩათვლილი გოლის გამო ბრალი გამოისყიდა... არბიტრი ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ მსგავსს სიტუაციაში არ ჩავარდეს... აქვე, არ შემიძლია, არ აღვნიშნო ჩვენი ფეხბურთელების ღირსეული საქციელი - ისინი ნერვებს არ აჰყვნენ, თორემ უარეს დღეში ჩავვარდებოდით. ასეთ დროს ფეხბურთელები არბიტრს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ ხოლმე, რასაც გაძევებები თუ არა, ყვითელი ბარათები მოსდევს ხოლმე, ეს კი ჩვენს ნაკრებს კიდევ უფრო დააზარალებდა... რაც იყო, იყო - მჯერა, მომდევნო მატჩებში მსაჯობა ბევრად უკეთესი, ობიექტური იქნება.

**- მაგალითად, კვიპროსში...**

- კვიპროსთან მატჩზე მსაჯთა დამკვირვებელი ჩეხი ევზენ ამლერი იქნება. რამდენიმე წლის წინ, როცა ის „პიუნიკისა" და ბატე-ს მატჩს მსაჯობდა, მე მისი კომისარი ვიყავი. მჯერა ამლერის ობიექტურობისა და პროფესიონალიზმის. მსაჯთა დამკვირვებელზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. რაც შეეხება ჩერნოგორიასთან თბილისურ მატჩს, მისი კომისარი იქნება ბელგიელი ალექს პონე, რომელიც ჩემი მეგობარია. მჯერა, ისიც ობიქტური იქნება და იმავეს მოითხოვს მსაჯებისგანაც.

**მილჩენკოს შემდეგ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ავთანდილ შალამბერიძეს.**

- დასკვნა მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი შეიძლება იყოს - ჰიიტიამ ძალზე ცუდად იმსაჯა. იმ მატჩის დელეგატი რომ ვყოფილიყავი, 10-ბალიანი სისტემით მხოლოდ 4-ს ვაკმარებდი. რა თქმა უნდა, ეს ცუდი შეფასებაა, მაგრამ მეტი არ ეკუთვნის. მისმა გადაწყვეტილებებმა მატჩის საბოლოო შედეგზე იქონია გავლენა.

**- კონკრეტულად რომელ გადაწყვეტილებას გულისხმობთ?**

- დავიწყოთ იქიდან, რომ ფინელ არბიტრს ირლანდიელთა მიერ პირველ ტაიმში ჩვენს კარში გატანილი გოლი არ უნდა ჩაეთვალა და სწორადაც მოიქცა, რომ არ ჩათვალა... თუმცა ამის გამო, თითქოს, ერთგვარ წნეხშიც მოექცა. შევთანხმდეთ იმაში, რომ არბიტრიც ადამიანია და შეიძლება, შეცდეს კიდეც, მაგრამ ძნელია, ჰიიტიას ნამოქმედარს შეცდომები უწოდო...

**- როგორ, შეგნებული მიკერძოება იყო მისი მხრიდან?**

- რა გითხრათ... ამას დამტკიცება უნდა. აშკარად ჩანდა, რომ ირლანდიელებისთვის არჩათვლილ გოლში ეჭვი ეპარებოდა და თითქოს, ეს ტვირთადაც აწვა, აშკარად ნერვიულობდა და ეტყობა, ამიტომაც დანიშნა არარსებული პენალტი. თან ის ტვირთი იმანაც დაამძიმა, რომ თამაშს საქართველოს ნაკრები იგებდა და ეტყობა, ეს არ იყო მისთვის ჩვეულებრივი სიტუაცია...

**- სხვათა შორის, ზოგმა ისიც თქვა - ფინელი არბიტრი, როგორც არასაფეხბურთო ქვეყნის წარმომადგენელი, მაღალი დონისა ვერ იქნებოდაო...**

- ამ აზრს ვერ დავეთანხმები. ალან ჰამერი ლუქსემბურგელია და არც ეს ქვეყანაა დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე, თუმც კი მაღალი დონის მსაჯია. ასე რომ, არბიტრის ეროვნება თუ წარმომავლობა აქ არაფერ შუაშია. ისე, ჰიიტიას კვალიფიკაციას რაც შეეხება, ამაში მეც შემეპარა ეჭვი...

**- ანატოლი მილჩენკო ეჭვობს, რომ არბიტრზე, შეიძლება, რაღაც ზეგავლენაც ყოფილიყო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- ისევე, როგორც შეგნებულ მიკერძოებას, რაც წელან ვახსენე, ზეგავლენის არსებობასაც დამტკიცება, მყარი არგუმენტები სჭირდება. მე კი არ მაქვს მსგავსი არგუმენტები და ამიტომ, ვერაფერს გეტყვით. ის კი ცხადია, რომ ჰიიტიას მხრიდან ძალიან ბევრი შეცდომა დავაფიქსირე და უმრავლესობა - ჩვენი ნაკრებისთვის საზიანოდ. არბიტრი წნეხში არ უნდა გრძნობდეს თავს, ის მატჩს უნდა უძღვებოდეს და წინა გადაწყვეტილებების გამო, რაღაც ვალდებულებებს არ უნდა იღებდეს.

**დავით ცაბაძე**

ფინელ მსაჯთან კამათს შედეგი არ მოჰყოლია



არშემდგარი ტრანსფერი

# ხურციძე არ ჩქარობს...

## ტრაბზონის მეორე გუნდს საქართველოს უმაღლესი ლიგა მერჩივნაო...

საქართველოდან ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელთა მიგრაციის მასშტაბები არ მცირდება. ბევრისთვის ეს დადებითი პროცესია. ისინი ფიქრობენ, რომ ახალგაზრდები უცხოეთში უკეთ დაოსტატდებიან და ნაკრებ გუნდებს უფრო დიდ სარგებელს მოუტანენ. მათ შორისაა თავდამსხმელი **ზურაბ ხურციძეც**.

17-წლამდელთა ნაკრებში **ჰერბერტ ცანკერის** მწვრთნელობისას ხურციძე გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე იყო და არაერთი გოლიც გაუტანია შარშან **ზაურ სვანაძემ** ის 19-წლამდელთა ნაკრებშიც მიიწვია, ამხანაგურ მატჩებში დასაკვირვებლად.

ხურციძემ მიმდინარე სეზონი ზუგდიდის „მგლებში" დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მას ძირითადად შეცვლებზე უწევს თამაში, მაინც მოხვდა უცხოელ აგენტთა თვალთახედვის არეში. ამ ზამთარს ხურციძეს გალეგიონერების შანსი ჰქონდა...

*„ფეხბურთელ პერიცა ოგნიენოვიჩის ძმა, პეტარი, აგენტია, - გვიყვება ხურციძე, - ის სერბულ კლუბში მოწყობას დამპირდა. იანვრის ბოლოს, გიორგი ქუცურუასთან ერთად, სერბეთშიც ვიყავი. ოგნიენოვიჩმა ბელგრადის „რადში" მიგვიყვანა. ორი დღე ვივარჯიშეთ, მესამე დღეს კი, საკონტროლო შეხვედრაში, მთავარი გუნდის შემადგენლობაში დაგვაყენეს და ორივემ ტაიმნახევარი ვითამაშეთ. მე ცენტრფორვარდი ვიყავი, გიორგი კი მარცხენა ნახევარმცველი. თითო საგოლე პასი გავაკეთეთ, პირველი გოლი გიორგის პასით გავიდა, მეორე გოლში კი მე მიმიძღვოდა წვლილი. მოედანი რომ დავტოვეთ 2:1 იყო, საბოლოოდ კი გუნდმა 3:1 მოიგო. ეტყობა, ორივე მოვეწონეთ და მოლაპარაკებებიც დაიწყო. სამწუხაროდ, კონტრაქტის ვადაზე ვერ შევთანხმდით. ჩემმა აგენტმა გვითხრა, სჯობს მოვიცადოთ და უკეთეს კლუბში ჩაგრიცხავთო. ჩვენც დავუჯერეთ და უკან გამოვბრუნდით".*

ხურციძეს სხვა ვარიანტებიც ჰქონდა, თუმცა აჩქარებას არ აპირებს: *„თურქეთში წასვლის შანსიც იყო, „ტრაბზონსფორი" დაინტერესდა. სინჯები წარმატებით გავიარე, მაგრამ მეორე გუნდში თამაშს, მერჩივნა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ვყოფილიყავი. ამასთან, ჩემს ტრანსფერს ჯერჯერობით ასაკიც არ უწყობს ხელს. 18 წლისა 21 ივნისს ვხდები. მანამდე კი, თუ უცხოეთში გსურს კარიერის გაგრძელება, სატრანსფერო დოკუმენტაციის მოგვარება რთულია. აზერბაიჯანის ვარიანტები ახლაც მაქვს, მაგრამ არ ვჩქარობ, უკეთეს ლიგაში მინდა თამაში. ვფიქრობ, უმჯობესია, ზაფხულამდე მოვიცადო, 18 წლის გავხდები და მერე ბევრი რამ გაიოლდება".*

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

## პერტია ჩამოაქვეითეს, დვალიშვილს გააქვს



„სკონტოს" ფორვარდი **ვლადიმერ დვალიშვილი** სპარინგმატჩებში ჩინებულად გამოიყურება. მან კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი, ამჯერად, ესტონურ „ლევადიასთან" მატჩში, რომელიც 1:1 დასრულდა. ლატვიელთა ერთადერთი გოლი სწორედ მის ანგარიშზეა. „სკონტოსგან" განსხვავებით, რომელიც თურქმენეთში გაემგზავრა, ჩემპიონი „ვენტსპილსი" ახალი სეზონისთვის თურქეთში ემზადება. „ვენტსპილსი" „ატირაუს" (ყაზახეთი) დაუზავდა - 2:2. გუნდში ხუთმა შესაძლო ახალწვეულმა ითამაშა, ამიტომ, ნაკრების მატჩიდან დაბრუნებული **ზურაბ მენთეშაშვილი** დაასვენეს. თურქეთშივეა **თამაზ პერტიას** „დინაბურგიც", რომელიც რუმინულ „პანდურის" შეხვდა და 1:1 ეთამაშა. **ირაკლი ქორთუა** სასტარტო შემადგენლობაში იყო. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პერტია გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარ არის, ის დღეს... უფროსი მწვრთნელია. საქმე ისაა, რომ „დინაბურგს" დაუგავპილსის მეორე გუნდი - „დაუგავა" შეუერთდა და გაერთიანებული გუნდის მთავარ მწვრთნელად **იგორ გამულა** დაინიშნა.

ლიტვის ჩემპიონატისთვის ემზადება „კაუნასი", რომელიც კლაიპედის „ატლანტასს" შეხვდა და 2:0 მოუგო. ამ შეხვედრაში 35-ე წუთიდან ითამაშა **ნუკრი მანჩხავამ**, ხოლო მე-60 წუთიდან მატჩში **აკაკი ხუბუტიაც** ჩაერთო.

## ვაჟა ისევ მხსნელია

კვიპროსულ შეკრებაზე მყოფმა ტირასპოლის „შერიფმა" საკონტროლო მატჩში 2:0 დაამარცხა პოლონური „გურნიკი". გუნდის კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილი** სასტარტო შემადგენლობაში იყო. პირველ ტაიმში მან ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი და „შერიფი" აშკარა გოლისგან იხსნა.

## გრიგალავამ მოიგო, მაგრამ... მოსკვა დამარცხდა



რუსული პრემიერლიგის მეცხრეადგილოსანმა „მოსკვამ" თურქული შეკრება დაასრულა. 19 წლის **გია გრიგალავას** ახალმა კლუბმა ბოლო საკონტროლო მატჩში 2:3 დათმო ლვოვის „კარპატისთან", რომლის ღირსებასაც **სანდრო გურული** იცავს. მოკლედ, ამ მატჩში რუსეთსა და საფრანგეთში გაზრდილ თანამემამულეთა „დუელი" შედგა. გურული 58-ე წუთზე შეცვალეს, გრიგალავამ კი მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, რომელიც, სხვათა შორის, „მოსკვამ" 2:0 მოიგო. „კარპატის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გუნდი სწორედ გურულის შემცვლელმა **ოლეგ გოლოდიუკმა** გამოაცოცხლა. შემაჯამებელ ინტერვიუში „მოსკვას" მთავარმა მწვრთნელმა **მიოდრაგ ბოჟოვიჩმა** განაცხადა, რომ ახალწვეულებით, მათ შორის გრიგალავათი, კმაყოფილია:

*„ისინი კარგად ერგებიან დინამიურ და სანახაობრივ ფეხბურთს. მე კი მსურს, რომ „მოსკვაში" სწორედ ასეთი ფეხბურთი დავნერგო. ასე რომ, ახალწვეულებით კმაყოფილი ვარ".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

გია გილიგაშვილი



**გია გილიგაშვილი** იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების პირველი ხელმძღვანელის მოადგილე, რომელმაც 1990 წელს პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა. ის 7 წელი თამაშობდა ლანჩხუთის „გურიაში", იყო თბილისის „დინამოს" დუბლებშიც, 2006 წელს კი „ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა ლიგის" ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა.

ჩვენი რესპონდენტი დღეს ფეხბურთში აქტიურად არ საქმიანობს, აქვს საკუთარი ბიზნესი, თუმცა წარსულის საყვარელ ხელობას ბოლომდე არ ჩამოსცილებია, პირიქით, სტკივა და ადარდებს ის მდგომარეობა, რომელშიც ქართული ფეხბურთი ჩავარდა და ინტერვიუშიც სწორედ ამ სატკივარზე გვესაუბრება, თან საკმაოდ საინტერესოდაც.

მან წამოაყენა იდეა, რომელიც დღეს ჩრდილში მოექცა. საუბარია „ბალტიის თასისა" და სკანდინავიური „როიალ ქაფის" ანალოგიური პროექტზე...

# 20 წელია, საკუთარ ნაჭუჭში ვართ ჩაკეტილები...

## გვჭირდება რეგიონული ტურნირი და სააქციო კლუბები

- ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნისა და სკანდინავიელთა ინიციატივით, რეგიონული ჩემპიონატები უკვე ტარდება. ჩემი აზრით, მსგავსი პროექტის განხორციელება საქართველომაც უნდა დაიწყოს, რადგან ეს ჩვენი ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს. დღევანდელ ვითარებაში ეს ლამის ერთადერთ გამოსავლად მიმაჩნია.

**- და როგორ წარმოგიდგენიათ პროექტის განხორციელება?**

- შავი ზღვის აუზის ქვეყნების თასის გათამაშება - მოლდოვის, უკრაინის, ბულგარეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, რუმინეთის, სომხეთისა და საქართველოს მონაწილეობით. ამგვარი წარმომადგენლობის ტურნირი საინტერესოც იქნება, პრესტიჟულიც და მაყურებელსაც მიიზიდავს. დღეს საქართველოში მწვრთნელიც და ფეხბურთელიც თავის ქვაბში იხარშება, ასევე არიან კლუბების მენეჯერები, რადგან მათ ზრდის და ევროპელებთან ურთიერთობის საშუალება არ გააჩნიათ. წლებია, ერთ ადგილს ვტკეპნით. ერთ-ერთი გამოსავალია საერთაშორისო კავშირების გამყარება, ტურნირების ორგანიზება... ფეხბურთელი ვიყავი და ვიცი, რამხელა განსხვავებაა, ქართულ გუნდს რომ ეთამაშები და უცხოურს. ეს თავისთავად აჩენს ინტერესსაც, რომ მეზობლებთან ჩამორჩენა აღმოვფხვრათ. მწვრთნელებისთვისაც სასარგებლო იქნება ტურნირი, რადგან აქაური სპეციალისტები მიხვდებიან, რა მიმართულებით უნდა იმუშაონ. 20 წელია, საკუთარ ნაჭუჭში ვართ ჩაკეტილები და რეალურად არც ვიცით, რა ხდება საზღვარგარეთ... მეზობლოში, რა ტემპით ვითარდება მათი ფეხბურთი, რა მოთხოვნებით ხელმძღვანელობენ ევროპელები, იქაური წამყვანი კლუბები... ნაკლის დანახვა მწვრთნელზეც მოქმედებს და მოთამაშეზეც. მათ ქართულ გუნდთან წაგებას აპატიებენ, მაგრამ მეზობლებთან - არაფრისდიდებით! ამიტომ, მწვრთნელიცა და ფეხბურთელიც საქმეს სხვაგვარად მიუდგება. ტურნირის ჩატარება პრაგმატული მოსაზრებებითაც კარგი იქნება. საერთაშორისო შეხვედრები გულშემატკივრებსაც მიიზიდავს და სპონსორებსაც, რაც დღეს ასე სანატრელია. ერთი სიტყვით, ძვრა იქნება. თუ სახელმწიფოს ფეხბურთის განვითარება სურს, ეს სწორედ ამ ტურნირის ორგანიზებაში თანადგომით უნდა გამოხატოს. დარწმუნებული ვარ, გვყავს ორი-სამი გუნდი, რომელთაც ტრანსპორტირებისთვის საჭირო ზედმეტი თანხაც მოეძიებათ და ამ ინიციატივას სიხარულით დათანხმდებიან. ბოლოს და ბოლოს, გამოცოცხლდება ეს დამყაყებული სიტუაცია და ჩვენც ეს არ გვინდა?

**- გვინდა, მაგრამ თურქებს, ბულგარელებსა და უკრაინელებს დააინტერესებთ?**

- ამის თაობაზე თურქეთის საელჩოს სპორტული მიმართულების კურატორთან ვისაუბრეთ და უნდა გითხრათ, იდეით ძალიან დაინტერესდა. თუმცა შემდეგ, ისევ და ისევ ჩვენი მხარის უინიციატივობის გამო, მოლაპარაკება შეჩერდა. არადა, იდეის წამოწევა კიდევ შეიძლება, ისინი აუცილებლად დაინტერესდებიან.

**- სახელმწიფოს რა კუთხით შეუძლია თანადგომა?**

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებითა და კლუბების მეპატრონეთა წახალისებით. ეს სჭირდება არა მხოლოდ ფეხბურთს, არამედ თავად ქვეყანას - დიახ, ღონიერი ფეხბურთი სჭირდება საქართველოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტურნირი ფინანსურადაც ხელსაყრელი იქნება. ფეხბურთის გამოცოცხლება ჩვენ უფრო გვჭირდება, თორემ თურქეთი და უკრაინა როგორმე ამის გარეშეც გაძლებენ. შავი და კასპის ზღვის აუზის ტურნირში რამდენი გუნდი ჩაებმება, ამას რამენაირად მოვიფიქრებთ, ეს არ არის მთავარი, მთავარი ისაა, იდეა განხორციელდეს, თორემ ფორმატის შერჩევა გაცილებით იოლია. სხვა ვარიანტის განხილვაც შეიძლება. არ ვიჩემებ, რომ იდეა მე მეკუთვნის, ამაზე ორი წლის წინ, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი და ლევან ყიფიანი ლაპარაკობდნენ. შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროფლიგების ხელმძღვანელები საბერძნეთში შეიკრიბნენ, მაგრამ ჯერ რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა. არადა, ღირს ამაზე მუშაობა.

**- ახლა სხვა თემაზე გადავიდეთ. თქვენი იდეაა დაუსაქმებელი მოთამაშეებისგან გუნდის შეკრება. იქნებ, დააკონკრეტოთ ამ იდეის არსი.**

- ქართველ მოთამაშეთათვის ყველაზე პრობლემური ასაკი 16-17 წელია. ამ ასაკში ძალიან ბევრი ნიჭიერი მოთამაშე იკარგება, რადგან პირდაპირ გუნდში მოხვედრა უჭირთ და უფულო კლუბში ჩარიცხვას, ფეხბურთიდან წასვლა ურჩევნიათ და რჩებიან ქუჩაში... არავინ იცის, რამდენი ტალანტი დავკარგეთ ასე. ჩემი აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს გუნდი, რომელიც ასეთ მოთამაშეებს მოუყრის თავს და რეგიონულ ლიგაში იასპარეზებს.

**- გუნდს ვინ დააფინანსებს?**

- ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციასთან შეიძლება მოლაპარაკება. ფეხბურთი თითოეული ჩვენგანის სატკივარია და ტალანტების მაქსიმალურად შენარჩუნებაზე უნდა ვიფიქროთ. ყოველ შემთხვევაში, ეს არის იდეა, რომელზეც ქომაგთა ლიგა ფიქრობს. ზოგადად, ქართული კლუბების მეპატრონეთა საკითხიც დასაფიქრებელია. ჩემი აზრით, საკლუბო მუშაობის გაუმჯობესება ახლებური მიდგომით შეიძლება. ვხედავთ, რომ ერთი კაცის კლუბი არ ამართლებს, არადა, სწორედ ასეთი ტენდენციაა დამკვიდრებული. წამყვანი ევროპული კლუბები სააქციო საზოგადოებებია, დღეს ეს არის სწორედ გავრცელებული და პოპულარული მოდელი. ლონდონის საფონდო ბირჟაზე, საკლუბო აქციების გაყიდვა პირველად „მანჩესტერ იუნაიტედმა" დაიწყო. დარწმუნებული ვარ, „დინამოს", „ზესტაფონს", „ვიტ ჯორჯიასა" თუ „ლოკომოტივს" მსგავსი მოდელი უთუოდ წაადგებათ.

**- ეკონომიკური კრიზისის პირობებში ქართული კლუბით რომელი აქციონერი დაინტერესდება?**

- კრიზისი დროებითი მოვლენაა და ადრე თუ გვიან დასრულდება. მე ზოგადად ვლაპარაკობ, კლუბებს მოდელს ვთავაზობ და დარწმუნებული ვარ, სააქციო საზოგადოებად გარდაქმნით ისინი აუცილებლად მოღონიერდებიან.

**- ვეჭვობ, საქართველოს ბაზარი ამისთვის მზად იყოს. სად არიან მდიდარი და ფეხბურთით დაინტერესებული კომპანიები?**

- დამიჯერეთ, არიან ბიზნესმენები, რომლებიც კლუბების აქციებს სიხარულით იყიდიან. გაცილებით დიდია იმ კომპანიებისა თუ ბიზნესმენების რიცხვი, რომლებიც აქციონერობაში 50 თუ 100 ათას დოლარს გადაიხდიან. მე პირადად ვიცნობ ასეთ ადამიანებს, მაგრამ ფეხბურთში მოსასვლელად მათ სააქციო საზოგადოების მოდელი სჭირდებათ. ამ შემთხვევაში, ფეხბურთში დღევანდელზე გაცილებით დიდი თანხა გამოჩნდება. რაც მთავარია, კლუბს ეს უფრო წაადგება, ვიდრე ერთი მეპატრონე. სხვათა შორის, აქციონერთა კრება ის ბარიერიც იქნება, რომელიც მავანი პრეზიდენტის უაზრო ხუშტურებს გასაქანს არ მისცემს და ძირშივე აღკვეთს.

**- კი, მაგრამ ჩვენი ხალხის ბუნება არ იცით? თუნდაც საფეხბურთო კლუბში, აღარაფერს ვამბობ მსხვილ ბიზნესზე, საქმეში მოწილე ვის სჭირდება?!**

- დასჭირდებათ და ამას დრო გამოაჩენს. დირექტორთა, იგივე აქციონერთა საბჭო, კლუბებს გააძლიერებს. რომ არ ვიყო ამ მოდელის უპირატესობაში დარწმუნებული, ხმას არ ამოვიღებდი. აქციონერები მსოფლიო ფეხბურთის გრანდებს ჰყავთ და არ მესმის, ჩვენთვის რატომ უნდა იყოს მიუღებელი?

**მერაბ მამულაშვილი**


კარლო ანჩელოტი

დღეს

დინამო (კ)-ვალენსია
ზენიტი-შტუტგარტი
ოლიმპიაკოსი-სენტ ეტიენი
ასტონ ვილა-ცსკა
ვერდერი-მილანი
ბორდო-გალათასარაი
ნიიმეგენი-ჰამბურგი
პსჟ-ვოლფსბურგი
სამპდორია-მეტალისტი
ოლბორგი-დეპორტივო
ბრაგა-სტანდარდი

ხვალ

ლეხი-უდინეზე
შახტარი-ტოტენჰემი
კოპენჰაგენი-მანჩესტერ სიტი
ფიორენტინა-აიაქსი
მარსელი-ტვენტე

უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩები

# უეფა, ანჩელოტის ბოლო შანსი

"მილანის" თავკაცი **კარლო ანჩელოტი** "ვერდერის" დამარცხებას ითხოვს. უეფას თასი ერთადერთი ტურნირია, რომლის მოგება მას ჯერ კიდევ შეუძლია. გასულ უქმეებზე "მილანმა" "ინტერთან" დერბი წააგო (1:2) და მას 11 ქულით ჩამორჩა. მოგეხსენებათ, "როსონერი" იტალიის თასსაც გამოეთიშა. დარჩა უეფას თასი. 1/16 ფინალში მილანელთა მეტოქე კრიზისში მყოფი გერმანული გრანდია. ბრემენელი "მუსიკოსები" უსახურ სეზონს ატარებენ. მათ ბუნდესლიგაში მეცხრე ადგილი უკავიათ.

"ინტერთან" მატჩისას **დევიდ ბექჰემმა** ბარძაყი იტკინა. ის მეორე ტაიმში შეცვალეს. სამედიცინო გამოკვლევამ ცხადყო, რომ ტრავმა უმნიშვნელოა, იმდენად უმნიშვნელო, რომ ბრემენში გაემგზავრა. ანჩელოტიმ გერმანიაში უძლიერესი შემადგენლობა ჩაიყვანა. მას მხოლოდ **კაკა** ვერ დაეხმარება. შინ დარჩა **ანდრეი შევჩენკოც**, თუმცა დიდი ხანია, შევა მილანელთა წამყვან ფეხბურთელად აღარ მიიჩნევა. უკრაინელ ვარსკვლავსაც ბარძაყის ტრავმა აწუხებს.

უეფას თასის მფლობელი "ზენიტი" "შტუტგარტს" მასპინძლობს. პეტერბურგელები, მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობდნენ, მაგრამ "რეალისა" და "იუვენტუსის" ჯგუფში მესამე ადგილს დასჯერდნენ და ახლა "სევილიის" შედეგის გამეორებას ეცდებიან. სევილიელებმა უეფას თასი ზედიზედ ორჯერ - 2006 და 2007 წლებში დაისაკუთრეს, რაც ამ ტურნირის ისტორიაში მეორე შემთხვევაა პირველად მსგავსი მიღწევა 1985, 1986 წლებში „რეალმა" აჩვენა.

იანვრის ტრანსფერებისას "ზენიტმა" ბოლო წლების საუკეთესო ფეხბურთელი **ანდრეი არშავინი** გაყიდა. რუს მიმომხილველებს რომ ჰკითხოთ, „ზენიტი" არშავინითა და მის გარეშე ორი სხვადასხვა გუნდია. **დიკ ადვოკაატს** დაცვის ხაზში პრობლემები აქვს. **ტომაშ ჰუბოჩანს** ტრავმა აწუხებს, **სებასტიან პიუგრენიე** კი ექვსთვიანი იჯარით "ბოლტონშია" მივლენილი. მწვრთნელს ორი გამოსავალი აქვს: ან სანახევროდ გამოჯანმრთელებული **ნიკოლას ლამბერტსი** ათამაშოს, ანდა **ანატოლი ტიმოშჩუკს** სთხოვოს უკან დახევა.

"შტუტგარტის" თავკაც **მარკუს ბაბელს** უეფას თასი ორჯერ აქვს მოგებული – 1996 წელს "ბაიერნის", ხოლო 2001 წელს "ლივერპულის" შემადგენლობაში. საკადრო პრობლემებს ისიც უჩივის. მცველ **მატიო დელპიერსა** და ნახევარმცველ **ტიმო გებჰარდტს** კოჭის ტრავმები აწუხებთ, **ილდირაი ბაშთურქი** ნევვს იტკიებს, **სებასტიან რუდის** კი ფეხი აქვს მოტეხილი. ბარძაყის ტრავმის გამო **სემი ხედირას** თამაშიც საეჭვოა.

"ვალენსიაში" კრიზისი მძვინვარებს. "ღამურებმა" პრიმერა დივიზიონის ბოლო ექვსი მატჩიდან მხოლოდ ერთის მოგება მოახერხეს, დღეს კი კიევის "დინამოსთან" გასვლითი შეხვედრა ელით. უკრაინაში გამგზავრების წინ ვალენსიელთა თავკაცმა **უნაი ემერიმ** ფეხბურთელებთან საგანგებო შეხვედრა გამართა და მათ კრიზისის დაძლევის გზებზე ესაუბრა. ფეხბურთელებს შეხვდა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ფერნანდო გომესიც** და სახელფასო დავალიანების უმოკლეს დროში დაფარვას დაპირდა.

კიევის „დინამო" დღევანდელი მატჩისათვის უჩვეულოდ მოემზადა. **იური სიომინმა** ესპანური შეკრებისას ბოლო საკონტროლო მატჩი მოსკოვის დინამოელებთან ჩაატარა, თუმცა თამაში დაახლოებით მე-60 წუთზე შეწყდა (იმ მომენტისათვის ანგარიში 1:1 იყო). ფეხბურთელებმა ხელჩართული ჩხუბი ატეხეს. თამაშის შეწყვეტის ინიციატივით კიეველთა ხელმძღვანელობა გამოვიდა, რათა უეფას თასის პრინციპული მატჩის წინ რომელიმე მოთამაშე არ დაშავებულიყო.

გასულ უქმეებზე "ასტონ ვილა" ინგლისის ასოციაციის თასს გამოეთიშა. ბირმინგემელები პრემიერლიგაში საუცხოოდ ასპარეზობენ, მაგრამ სათასო შეხვედრაში "ევერტონთან" ვერაფერს გახდნენ (1:3). "ვილამ" დეკემბერში, "ჰამბურგთან" დამარცხების (უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში) შემდეგ პირველად წააგო. ინგლისში კი ბოლო მარცხი ნოემბერში, "მიდლსბროსაგან" ჰქონდა ნაწნევი. "ასტონ ვილა" მოსკოვში მიემგზავრება. **მარტინ ონილი** გულშემატკივართა თვალში რეაბილიტირებას ცსკა-სთან მატჩში აპირებს. მოსკოველებთან ორ შეხვედრას შორის ბირმინგემელებს რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **გუუს ჰიდინკის** მიერ დამოძღვრილ "ჩელსისთან" მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. ონილსა და მის შეგირდებს წინ დაძაბული ორი კვირა ელოდებათ.

ცსკა-ს ახალი თავკაცი **ზიკო** მიიჩნევს, რომ მას საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავს, რომელმაც ყველა ტურნირში მაქსიმალური შედეგისათვის უნდა იბრძოლოს. ზიკოს ინგლისური ბარიერის გადალახვა სავსებით რეალურად ეჩვენება. ბრაზილიელი სპეციალისტი მოსკოვურ კლუბში დაახლოებით ერთი თვის წინ დაინიშნა. იქამდე ის უზბეკური "ბუნიოდკორის" დამრიგებელი იყო და კლუბს ქვეყნის ჩემპიონატი და თასი მოაგებინა.

"მანჩესტერ სიტის" პრობლემებს ბოლო არ უჩანს. "კოპენჰაგენთან" მატჩამდე სამი დღით ადრე მან "პორტსმუთთან" წააგო, იმ "პორტსმუთთან", რომელსაც მთავარი მწვრთნელი არ ჰყავს და გამარჯვების გემოც დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა. **მარკ ჰიუზის** პოზიციები დღითიდღე სუსტდება. დანიაში **რობინიოს** ასპარეზობა საეჭვოა. ის "პორტსმუთთან" შეხვედრაში დაშავდა. ბრაზილიელის არყოფნაში თავდასხმას **კრეიგ ბელამი** გაუძღვება. უეფას თასის ჯგუფური ტურნირის შემდეგ ჰიუზმა შემადგენლობაში საგრძნობლად გააძლიერა. ბელამის გარდა, გუნდს **უეინ ბრიჯი, შეი გივენი** და **ნაიჯელ დე იონგი** დაემატნენ. ეს უკანასკნელი "კოპენჰაგენთან" სათამაშოდ არ გაემგზავრა.

კიდევ ერთი დანიური კლუბი "ოლბორგი" "დეპორტივოს" ხვდება. ლაკორუნიელებმა პრიმერა დივიზიონში ზედიზედ ორი მატჩი დაასრულეს ფრედ. მათ თავკაც **მიგელ ანხელ ლოტინას** საკადრო პრობლემები აქვს, განსაკუთრებით შეტევის ხაზში. ვერ ითამაშებენ თავდამსხმელი **რიკი**, აგრეთვე შემტევი ნახევარმცველები – **ბოდიპო** და **ანდრეს გუარდადო**. დაშავებულია მარჯვენა მცველი **მანუელ პაბლოც**.

ჩელსი

# ჩელსი დღეში ნახევარი მილიონი ღირს

## ბალაკი: სკოლარის შესახებ აბრამოვიჩთან არ მილაპარაკია

**რომან აბრამოვიჩი** „ჩელსის" შესანახად დღეში დაახლოებით ნახევარ მილიონ გირვანქას ხარჯავს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფინანსური ექსპერტები, რომელთაც საგანგებო კვლევა ჩაატარეს. ექსპერტებმა არ დაიზარეს და რომან არკადიჩის ხარჯები წუთობრივად გამოთვალეს. გამოვიდა, რომ ყოველ 60 წამში მის ჯიბეს კლუბის სასარგებლოდ 342 დოლარი აკლდება.

რუსმა ბიზნესმენმა „ჩელსი" 2003 წელს შეიძინა. მას შემდეგ აბრამოვიჩმა კლუბში 1.03 მილიარდი დოლარი ჩადო. აღსანიშნავია, რომ ყოველ პენსს, რასაც კი აბრამოვიჩი კლუბში აბანდებს, აფორმებს როგორც უპროცენტო კრედიტს და არა გრანტს. შესაბამისად, იქამდე, ვიდრე მას ფულის ხარჯვა არ მობეზრდება, „ჩელსის" ვალი გაიზრდება და გაიზრდება. **პიტერ კენიონის** გეგმით, „ჩელსი" მოგებაზე 2009/10 წლების სეზონში უნდა გასულიყო, მაგრამ „არისტოკრატებს" ჯერ საამისო არაფერი ეტყობათ. პირიქით, 2008 წლის განმავლობაში „ჩელსის" საბიუჯეტო დეფიციტმა 69 მილიონი გირვანქა შეადგინა. ეს წინა წლების ზარალთან შედარებით აშკარა პროგრესია, თუმცა ოპტიმიზმის საფუძველს მაინც არ იძლევა.

„დეილი მეილის" ცნობით, გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად, აბრამოვიჩის ქონება საგრძნობლად შემცირდა. კრიზისის დაწყებამდე, ჟურნალ „ფორბსის" ვერსიით, ის რუსეთის უმდიდრესი მოქალაქე და მსოფლიოში მე-15 უმდიდრესი ადამიანი იყო. იმხანად ოლიგარქის ქონება 13 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული, მაგრამ დღეს აბრამოვიჩი სულ რაღაც 1.9 მილიარდის მფლობელიაო, გვაუწყებს ტაბლოიდი. „ფორბსი" განახლებულ რეიტინგს ორ თვეში შემოგვთავაზებს.

„ჩელსის" ნახევარმცველმა **მიხაელ ბალაკმა** კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა მოარულ ხმებთან დაკავშირებით, თითქოს **ლუიშ ფელიპე სკოლარის** დათხოვნამდე აბრამოვიჩს შეხვდა და მწვრთნელი გამოლანძღა, ბრაზილიელის გათავისუფლების შემდეგ კი გუნდის მფლობელს მადლობა გადაუხადა. *„ვერ ვიჯერებ, რომ ეს ხმები მაინცდამაინც ჩემზე გაავრცელეს. მე და სეუ ლუიშ ფელიპეს ყოველთვის ძალზე თბილი დამოკიდებულება გვქონდა. რაც შეეხება ჩემსა და აბრამოვიჩს შორის ურთიერთობას, მინდა დაგარწმუნოთ, რომ მასთან არაერთხელ მილაპარაკია ჯერ კიდევ იქამდე ვიდრე გუნდში სკოლარი მოვიდოდა და მას შემდეგაც. გასაოცარს ვერაფერს ვხედავ, როცა კლუბის მესაკუთრეს ფეხბურთელების აზრი აინტერესებს ამა თუ იმ საკითხზე. გადაწყვეტილება, რომელიც აბრამოვიჩმა მიიღო, საკმაოდ რთული მისაღები იყო. აქამდეც ასე იყო - იმ კლუბების ხელმძღვანელებთან და მწვრთნელებთან, სადაც კი ოდესმე მითამაშია, ყოველთვის იდეალური ურთიერთობა მქონდა,"* - განუცხადა „ტაიმსს" ფეხბურთელმა.

ფრანგული ამბები


ფრედი

# ფრედი ფლუმინენსეში წავიდა

## ჩემპიონებს პრობლემები არ ელევათ

„ლიონის" ნახევარმცველმა **ფაბიო სანტოსმა**, შეიძლება, „ბარსელონასთან" ლიგის 1/8-ფინალის პირველი შეხვედრა გამოტოვოს. ფეხბურთელმა ხუთშაბათის ვარჯიშზე ბარძაყის ტრავმა მიიღო და ექიმების პროგნოზით, ათი დღე დაისვენებს. ამის მიუხედავად, „ლიონის" მთავარი მწვრთნელი **კლოდ პიუელი** იმედს არ კარგავს, რომ მოთამაშე დათქმულ დროზე ადრე დაბრუნდება და შესაბამისად, კატალონიელებთანაც ითამაშებს: *„ფაბიომ ფიზიკურ დატვირთვებს ვერ გაუძლო. იმედი გვაქვს, „ბარსელონასთან" მატჩისას ბრაზილიელი ძირითადში თუ არა, თადარიგში მაინც იქნება"*. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელს ქრონიკული ტრავმები დასჩემდა, რის გამოც პრაქტიკულად არ უთამაშია. „ლიონს" სხვა საკადრო პრობლემებიც აქვს. ლაზარეთში არიან **სიდნი გოვუ, ფრანსუა კლერი, სესარ დელგადო** და **ანტონი რევეიერი**. პიუელს ერთი სასიხარულო ამბავიც აქვს: ამ დღეებში მინდორს დაუბრუნდა **მატიო ბოდმერი**, რომელსაც ოქტომბრის შემდეგ არ უთამაშია.

**ფრედის** საპნის ოპერად ქცეული ტრანსფერი დასრულდა. ფეხბურთელმა „ლიონთან" კონტრაქტი გაწყვიტა და „ფლუმინენსეში" გადავიდა. მან კონტრაქტის გაფორმებაც მოასწრო და ახლა სამედიცინო გამოკვლევის შედეგებსღა უცდის. არადა, ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ თავდამსხმელი სამშობლოში კარიერის გაგრძელებაზე უარს აცხადებდა.

„პარი სენ ჟერმენის" კაპიტანმა **კლოდ მაკელელემ** პრესას განუცხადა, რომ სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებს. *„ზაფხულზე აუცილებლად დამჭირდება სერიოზული ფიქრი იმის თაობაზე, მილირს თუ არა კარიერის გაგრძელება. თუ ოჯახის წევრები მეტყვიან, რომ დროა ფეხბურთელობას შევეშვა, ასეც მოვიქცევი. გადაწყვეტილება ასევე დამოკიდებული იქნება ჩემს სურვილზე, ჯანმრთელობაზე და ასე შემდეგ. დღეს რომ მკითხოთ, კარიერის გაგრძელების შანსებს 50/50-ზე შევაფასებდი"*, - განუცხადა ფეხბურთელმა „ეკიპს".

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ლივერპული

# რეინასა და აგერის გარეშე?

**პეპე რაინას** „ატლეტიკოში" გადასვლა უნდა. ამ ინფორმაციას „დეილი მეილი" ავრცელებს. ესპანელი მეკარე მიზეზად ოჯახურ მოტივს ასახელებს. მიმომხილველების ვარაუდით, „ლივერპულს" ფეხბურთელის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. რეინა 26 წლისაა. ის მადრიდშია დაბადებული და ბავშვობაში „როხიბლანკოს" გულშემატკივრობდა. მისი მამა **მიგელ რეინა** 1973-80 წლებში „ატლეტიკოს" ღირსებას იცავდა. მერსისაიდელებმა პეპე 2005 წლის ზაფხულში, „ვილიარეალიდან" გადაიყვანეს. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

ამასობაში, "ნიუს ოფ ზე უორლდი" გვაუწყებს, რომ „ლივერპულიდან" აბარგებას აპირებს **დანიელ აგერიც**. მას „ინტერი" ეპატიჟება. მილანური გრანდი ფეხბურთელის შეძენას იანვრის ტრანსფერების დროსაც აპირებდა, მაგრამ ხელი მოეცარა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, აგერი 8.5 მილიონი გირვანქა ღირს. „ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, ყველაფერი მას მერე გაირკვევა, როდესაც **რაფა ბენიტესი** ახალ კონტრაქტზე მოაწერს ხელს. მწვრთნელს სატრანსფერო პოლიტიკის ერთპიროვნულად წარმართვის უფლება მიენიჭება და აგერის საკითხზეც ის გადაწყვეტს. სავარაუდოდ, ის ფეხბურთელს „ინტერს" გადაულოცავს, რადგან მიმდინარე სეზონში მისი ფავორიტი ცენტრალური მცველები **ჯეიმი კარაგერი** და **მარტინ შკრტელი** არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# ეტოომ ბარსას მაისურით ფოტო არ გადაიღო

## კამერუნელი ფორვარდის გული მალიორკას ეკუთვნის


სამუელ ეტოო და ხოსეპ გუარდიოლა

**სამუელ ეტოო** ძალიან უცნაური კაცი რომ არის, გუშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. კამერუნელმა ფორვარდმა ფრანგულ ჟურნალ „სპორტუიქს" ვრცელი ინტერვიუ მისცა. მან ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა, თუმცა განსაკუთრებით საყურადღებო რამდენიმე პუნქტი იყო. ჟურნალის კორესპონდენტმა კამერუნელს სთხოვა, „ბარსელონას" მაისური ჩაიცვით და ფოტოს გადაგიღებთო. ეტოომ მას კატალონიელი გულშემატკივრებისთვის გამაოგნებელი პასუხი გასცა: *„არა, „ბარსას" მაისურს არ ჩავიცვამ, ჩემი საყვარელი გუნდი „მალიორკაა". უბრალოდ, ახლა „ბარსელონასთვის" ვმუშაობ, ეს არის და ეს. ჯობია, ჩვეულებრივ სამოსში ჩაცმულს გადამიღოთ. ეს უფრო გულწრფელი საქციელი იქნება."*

ფრანგი კორესპონდენტი რესპონდენტის ასეთ პასუხს აშკარად არ ელოდა და როგორც თვითონ ამბობს, ინტერვიუს შინაარსი მნიშვნელოვნად შეცვალა. „სპორტუიქს" ჟურნალისტმა ეტოოს ჰკითხა, 2010 წლის 30 ივნისს კატალონიურ გრანდთან ხელშეკრულება რომ ამოგეწურება, მერე რას გააკეთებო. ფეხბურთელმა მას ასეთი რამ უთხრა: *„ამ კითხვაზე მარტივად შემიძლია გიპასუხოთ. გადაწყვეტილება უკვე მივიღე, მაგრამ ამ ეტაპზე მირჩევნია, თავი შევიკავო და არაფერი გითხრათ. ძალიან გთხოვთ, კარგად გამიგეთ. არ მინდა, ამ თემაზე სპეკულაციების ტალღა აგორდეს. ვცდილობ, ყოველთვის გარკვევით ვილაპარაკო ხოლმე, მაგრამ ერთს ვამბობ და ხშირად მეორეს წერენ. გეფიცებით, სკანდალური გადაწყვეტილება სულაც არ მიმიღია, სასპეკულაციოც არაფერია, მაგრამ ვიცი, მაინც ერთი ამბავი ატყდება. ამიტომ, მირჩევნია, სიმშვიდე საკუთარი ნებითვე არ დავარღვიო. გარწმუნებთ, დრო ყველაფერს გამოაჩენს."*

„სპორტუიქის" ჟურნალისტი სამუელს მაინც არ მოეშვა და შეეცადა, როგორმე აელაპარაკებინა. ფრანგმა კორესპონდენტმა გულწრფელად განაცხადა, ამ ინტერვიუსთვის საგულდაგულოდ ვემზადებოდი და ვიცი, რომ „ბარსელონას" ხელმძღვანელობა კონტრაქტის გახანგრძლივებას გთავაზობთ. სანდო ინფორმატორისგან ისიც გავიგე, რომ თანახმა ხართო. ჟურნალისტის მონდომებას ეტოომ მოკლე პასუხით ცივი წყალი გადაასხა – ამას თქვენ და თქვენი ინფორმატორი ამბობთო. ჭირვეულობის მიუხედავად, სამუმ სამომავლო გეგმებზე მოკლედ მაინც ისაუბრა. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ მას ახალი, ფაქტობრივად, არაფერი უთქვამს: *„ძალიან მინდა, რომ კარიერა „მალიორკაში" დავასრულო. ამ გუნდმა ყველაზე რთულ დროს გამომიწოდა დახმარების ხელი. რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ კარიერის მიწურულს ბალეარის კუნძულებზე დავბრუნდე. ამისათვის ბევრი რამ სულაც არ არის საჭირო. მთავარია, მომავალი სწორად ვმართო, ანუ, კონტრაქტები ისე გავაფორმო, რომ „მალიორკასთვის" ბოლო ერთი წელი მაინც მოვიტოვო."*

ამავე ინტერვიუში ეტოომ აღიარა, რომ მიმდინარე სეზონის დაწყების წინ სხვადასხვა ქვეყნიდან მრავალი შემოთავაზება ჰქონდა: *„რადგან ამბობთ, ამ ინტერვიუსთვის საგულდაგულოდ ვემზადებოდიო, გეცოდინებათ, რომ გასული სეზონის შემდეგ „ბარსელონაში" გარკვეული პრობლემები შემექმნა. კლუბის მთავარ მწვრთნელს ჩემი გაშვება უნდოდა. წინადადებები ინგლისიდან და იტალიიდან მივიღე. შემეძლო, მადრიდში დავბრუნებულიყავი, მაგრამ საბოლოოდ მაინც „ბარსა" ვამჯობინე. მიმაჩნია, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ. მიუხედავად იმისა, რომ გასულ ზაფხულში კლუბის რამდენიმე მაღალჩინოსანს ჩემ მიმართ პრეტენზიები ჰქონდათ. მარტივად რომ ვთქვა, მათ სამუელ ეტოოს შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებოდათ. იმედია, ახლა ასე აღარ ფიქრობენ."*

პრიმერა დივიზიონის წინა ტურში „ბარსელონამ" „ბეტისთან" გასვლით შეხვედრაში ორი ქულა დაკარგა. თავისუფლად შეიძლება, რომ იმ მატჩს განსხვავებული კუთხითაც შევხედოთ და განვაცხადოთ, რომ კატალონიელები „მანუელ რუის დე ლოპერაზე" ნაგებას გადაურჩნენ. ამ უსიამოვნებისგან „ბარსელონა" სამუელ ეტოოს გოლმა იხსნა. მასალას რომ ფოტო ახლავს, მასზე ძალიან საინტერესო წამია შეჩერებული. არ გეგონოთ, **პეპ გვარდიოლა** და სამუელ ეტოო ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. არა, ისინი ასე ემოციურად სიხარულს გამოხატავენ. იქვე მყოფმა ჟურნალისტებმა ძალიან საინტერესო რამ შენიშნეს. ეტოო მასპინძელთა კარის დალაშქვრის შემდეგ მთავარი მწვრთნელისკენ გამოიქცა და გვარდიოლას მთელი ხმით დაუძახა, შეგპირდი და გავაკეთეო. ახალგაზრდა სპეციალისტმა ანგარიშის გათანაბრებით ძალიან გაიხარა, მაგრამ კამერუნელ ფორვარდს იქვე მიაძახა, კარგია, ახლა წადი და მესამე გოლიც შეაგდეო.

ვალენსია. ეკონომიკური კრიზისი

# სახელფასო დავალიანებამ 15 მილიონს მიაღწია

## პრეზიდენტი ბიჭებს საიმედოს ვერაფერს ეუბნება, მათ ჯერჯერობით ისევ მუქთად უნდა ითამაშონ

პრიმერა დივიზიონის წინა ტურის მიმოხილვაში მოგახსენეთ, რომ მსოფლიოში გამეფებული ეკონომიკური კრიზისი პრიმერა დივიზიონის კლუბებიდან ყველაზე მტკივნეულად „ვალენსიას" შეეხო. ესპანურ პრესაში ამ თემასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო სტატიები იწერება. საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ გუნდის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებისთვის ხელფასების გადახდას ვერ ახერხებს. თითქოს, გასულ პარასკევს ეს პრობლემა უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ „მალაგასთან" მატჩის შემდეგ „ღამურების" პრეზიდენტმა **ვისენტე სორიანომ** კლუბის სამი კაპიტანი - **მარჩენა, ალბიოლი** და **ვისენტე** დაიბარა და მათ ძალიან უსიამოვნო ინფორმაცია შეატყობინა - ჯერჯერობით ისევ უხელფასოდ მოგიწევთ თამაშიო. დღევანდელი მონაცემებით, „ვალენსიას" მხოლოდ მოთამაშეებისთვის 15 მილიონი ევრო აქვს გადასახდელი. ყველაზე ცუდი ის არის, რომ სენიორ სორიანომ ზუსტად არ იცის ამ საკმაოდ დიდ ვალს როდის გადაიხდის. თუმცა ვალს ვინ ჩივის, პრეზიდენტი ფეხბურთელებს პირდაპირ ეუბნება, ისევ უხელფასოდ მოგიწევთ თამაშიო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ვალენსიას" ყოველი დღის გასვლასთან ერთად ვალი გაეზრდება.

ფეხბურთელები ჯერჯერობით პროტესტს არ გამოთქვამენ, მაგრამ ყველას მშვენივრად ესმის, რომ მათი დუმილი უსასრულო არ იქნება. ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, ყველა დაზარალდება, თუმცა განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში კლუბი აღმოჩნდება. იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელები ფიფაში იჩივლებენ, მაგრამ კუთვნილ თანხას ამის შემდეგაც ვერ მიიღებენ, უმაღლესი საფეხბურთო ორგანო ამ მოთამაშეებს თავისუფალი აგენტის სტატუსს მიანიჭებს და „ვალენსიას" ყოველგვარი საზღაურის გარეშე დატოვების უფლებას მიანიჭებს. მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარების შემთხვევაში, ბიჭები კუთვნილ ხელფასს ვერ მიიღებენ, მაგრამ იმის საშუალება მაინც მიეცემათ, რომ ახალ კლუბებში მოეწყონ და თამაში გააგრძელონ. აი, „ვალენსიას" კი გაკოტრებულად გამოაცხადებენ და ეს კლუბი არსებობას შეწყვეტს.


ვალენსიელთა თავკაცი უნაი ემერი ორშაბათის ვარჯიშზე

გემახსოვრებათ, რომ „ღამურებში" შექმნილი რთული ეკონომიკური სიტუაციის შესახებ პირველი ინფორმაცია გასული წლის მიწურულს გაჩნდა. ესპანურ გუნდს 31 დეკემბრამდე სოლიდური ვალი, კერძოდ 40 მილიონი ევრო რომ არ გადაეხადა, მაშინაც გაკოტრებულად გამოაცხადებდნენ და „ვალენსიას" არსებობას წერტილი დაესმებოდა. დეკემბერში ვისენტე სორიანომ ფული დიდი წვალებით იშოვა, მაგრამ ახლა ახალი პრობლემა შეექმნა. პრეზიდენტი ჯერჯერობით მხოლოდ იმით იმშვიდებს თავს, რომ ფეხბურთელები მშობლიური გუნდის გასაჭირს გაგებით შეხვდნენ და პანიკა არც ერთ მათგანს არ აუტეხავს. ეს, რა თქმა უნდა, დასაფასებელი ჟესტია, მაგრამ როგორც უკვე მოგახსენეთ, ადამიანი უხელფასოდ უსასრულოდ არ იმუშავებს. ასე რომ, ბატონ სორიანოს სასწრაფო ღონისძიებების გატარება მართებს.

ბარსელონა


ხოან ლაპორტა

# კატალონიელებს ბიუჯეტი 30 მილიონით გაერღვათ

## ლაპორტა ყველაფერში ადგილობრივ სამაუწყებლო კომპანიას ადანაშაულებს

გუშინ ესპანურმა საინფორმაციო საშუალებებმა ისეთი ინფორმაცია გაავრცელეს, კატალონიელ გულშემატკივრებს შიშის ზარი დაეცემოდათ. დაიწერა, რომ **ჟოან ლაპორტამ** ერთ-ერთი ბანკისგან საბიუჯეტო რყევების აღსაკვეთად 30-მილიონიანი კრედიტი ითხოვა. საუბარია ბანკ „კაიშაზე", რომელიც „ბარსელონას" ერთ-ერთი სპონსორია. მაშინ, როცა მსოფლიოში საშინელი ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, ასეთი ინფორმაციის გავრცელება გულშემატკივრებს ნამდვილად არ ესიამოვნებოდათ, თუმცა ჟურნალისტების მიერ აგორებული აჟიოტაჟით გამოწვეული ხანძარი პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ საგანგებო პრესკონფერენციით ჩააქრო: *„დიახ, ჩვენ „კაიშას" კრედიტის გამოყოფის თხოვნით მივმართეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კლუბის ფინანსურ მდგომარეობას საფრთხე ემუქრება. შევეცდები, ვითარება დაწვრილებით აგიხსნათ. საქმე ის არის, რომ სამაუწყებლო კომპანია TV3-მა ჩვენი შეხვედრების ნაწილის ტრანსლაციის უფლების სანაცვლოდ გადასახდელი თანხა ბოლომდე არ გაისტუმრა. მათ სწორედ 30 მილიონი ევრო დაგვაკლეს. ბიუჯეტი კი ისეთი რამ არის, 30-მილიონიან კი არა, 1-ევროიან ცდომილებასაც ვერ ეგუება. წლის ბიუჯეტი როგორც ყოველთვის კომპეტენტურად გვქონდა შედგენილი. ჩვენი ბრალი არ არის, რომ TV3-მა თანხა ბოლომდე არ გადაგვიხადა. ბუნებრივია, კუთვნილ ფულს არავის შევარჩენთ, მაგრამ სანამ ეს საკითხი გაირკვევა და 30 მილიონს ჩავგირიცხავენ, ბიუჯეტში გარღვევას ვერ დავუშვებთ. ბანკიდან კრედიტის აღება სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ. საპროცენტო თანხის გადახდა, რა თქმა უნდა, TV3-ს მოუწევს. ამის მიზეზი ის არის, რომ მათ კონტრაქტი დაგვირღვიეს და პრობლემები შეგვიქმნეს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „ბარსელონას" ფინანსურ კეთილდღეობას საფრთხე არ ემუქრება. იმედია, ჟურნალისტები ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ აჟიოტაჟს აღარ ააგორებენ და აღარ დაწერენ, რომ „ბარსას" გაკოტრება ემუქრება."*

კატალონიური გრანდისა და სამაუწყებლო კომპანიის TV3-ის ურთიერთობა რამდენიმე თვის წინ გაფუჭდა. ტელევიზიამ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები დაარღვია. შეთანხმების თანახმად თანხა ერთბაშად უნდა გადაეხადათ, მაგრამ TV3-მა ეს ვერ შეძლო და სერიოზულ უსიამოვნებაში გაყო თავი. ჟოან ლაპორტამ გადაწყვიტა, ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებათა უკანასკნელი რაუნდი გამართოს. იმ შემთხვევაში, თუ TV3-ი კატალონიური გრანდის მიერ დათქმულ ვადაში თანხას ვერ გადაიხდის, ლაპორტა სასამართლოში სარჩელს შეიტანს.

ნუმანსია

# კრესიჩი შინ გაუშვეს

## სპორტული დირექტორი მთავარი მწვრთნელი გახდა

დაუსრულებელი წარუმატებლობით დაღლილმა „ნუმანსიის" ხელმძღვანელობამ გუშინ რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო და მთავარი მწვრთნელი თანამდებობიდან დაითხოვა. **სერხიო კრესიჩი**, რა თქმა უნდა, ულმერთოდ გაფლანგულ ქულებს შეეწირა. ლიგის დებიუტანტები წინა ტურში ერთ-ერთ უშუალო კონკურენტთან „ნუმანსიასთან" დამარცხდნენ, რის შემდეგაც პრიმერა დივიზიონში მათ ზედიზედ ხუთი ნაგება დაუგროვდათ. მხოლოდ ამ მცირე მონაკვეთში „ნუმანსიამ" 15 ქულა გაფლანგა. ამ გუნდის სეზონური მაჩვენებელი. კიდევ უფრო სამარცხვინოა. 23 ტურის შემდეგ „ნუმანსია" სულ რაღაც 20 ქულას ფლობს. ამის გათვალისწინებით გასაკვირი სულაც არ არის, რომ დირექტორატმა სერხიო კრესიჩს კონტრაქტი ვადამდე გაუწყვიტა. ასაკოვან სპეციალისტს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას ჩვეულებრივი რეჟიმით, ყოველი თვის დასაწყისში გადაუხდიან.

ბუნებრივია, „ნუმანსიას" მისი ხელმძღვანელები მთავარი მწვრთნელის გარეშე არ დატოვებდნენ. დირექტორატმა ამ თვალსაზრისით მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. საქმე ის არის, რომ სერხიო კრესიჩის პოსტი გუნდის სპორტულ დირექტორს სენიორ **პაჩეტას** ჩააბარეს. ახალი მწვრთნელი არ მალავს, რომ სიტუაციის გამოსწორება ძალიან რთული იქნება, თუმცა პირობას დებს, რომ თავს არ დაზოგავს და ბიჭებთან ერთად ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა კლუბმა პრიმერა დივიზიონში ადგილი შეინარჩუნოს. ლიგის დებიუტანტების ერთადერთი მიზანი სწორედ უძლიერესთა შორის დარჩენაა.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ინტერვიუ

დიეგო

# მილანი ფავორიტია, მაგრამ ჩვენ ვიბრძოლებთ...

## ბრემენელ მუსიკოსთა დირიჟორი ვერდერიდან წასვლაზე არ ფიქრობს

34 გოლი 75 მატჩში - ნახევარმცველისთვის ეს ცუდი შედეგი არ არის. მაგრამ: დიეგო ერთი რიგითი ფეხბურთელი არ არის, ის ერთ-ერთი საუკეთესოა. საუკეთესოებს კი ყოველთვის ყველაზე მეტი მოეთხოვებათ. მიღწეულით თვითონ ბრაზილიელიც არ კმაყოფილდება - მასაც მეტი უნდა. „სპოქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში „ბრემენელი მუსიკოსების" დირიჟორი „მილანთან" დღევანდელ მატჩსა და „ვერდერში" საკუთარ როლზე საუბრობს.

**- დიეგო, პირველივე კითხვა პროვოკაციული იქნება: არის თუ არა ეს თქვენთვის ყველაზე ცუდი სეზონი მას მერე, რაც „ვერდერში" თამაშობთ?**

- არ ვიცი. ფაქტია, რომ მთელი გუნდი ვერ თამაშობს კარგად და მეც ხომ ამ გუნდის ნაწილი ვარ...



მილანის წინააღმდეგ დიეგო ვერდერის მთავარი იარაღია

- ცხადია, ძალიან არ გვინდოდა, რომ მეთექვსმეტედფინალში „მილანს" შევხვედროდით, მაგრამ ასე მოხდა და რას ვიზამთ. ასეთი მატჩისთვის მოტივირება საჭირო არაა. ჩვენ ვეთამაშებით მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, რომელსაც ფანტასტიკური ნახევარდაცვა ჰყავს. „მილანი" უეფას თასის მთავარი ფავორიტია და ეს გუნდი ასპარეზობას რომ გამოვეთიშოთ, თავდაჯერება მოგვემატება.

**- როგორ უნდა დაამარცხოს „ვერდერმა" „მილანი"?**

- გავიგე, რომ კაკა ვერ ითამაშებს. ეს ჩვენი დაცვისთვის უდიდესი შვებაა. ახლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ შევაჩეროთ რონალდინიო. რონალდინიოც რომ არ თამაშობდეს, მილანელებს არაერთი გენიალური მოთამაშე ჰყავთ - პირლო, ზეედორფი, პატო, ინძაგი... ჩვენ ვიცით, რომ ამ გუნდის დამარცხება წარმოუდგენლად ძნელია. ფაქტია, რომ „ვერდერი" შემტევ ფეხბურთს ითამაშებს და რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ გოლებს გავიტანთ. ასე რომ, ჩვენი მიზანია, მეტოქეს არ გავატანინოთ გოლები.

**- რონალდინიოსთან, კაკასთან ან პატოსთან კავშირი გაქვთ?**

- რეგულარული კავშირი არ მაქვს. ერთმანეთს ნაკრებში თუ ვხედავთ ხოლმე. უშუალოდ მატჩის წინ მათთან გასაუბრებას აუცილებლად მოვახერხებ. ვნახოთ, გამანდობენ თუ არა „მილანის" საიდუმლოებებს.

გოტფრიდ ლენცი




WENTTO
Berry Pie
1. Camera 2Mpx.
2. Bluetooth
3. Mp3; Mp4
4. შიდა მეხსიერება 32 MB
5. Web- თვალი
სიახლე
IMI-chat: „იმი-ჩატი" -ეს არის ფუნქცია, რომელიც გაძლევთ საშუალებას LIVE- რეჟიმში დაინახოთ ერთმანეთი საუბრისას 3G-ს გამოყენების გარეშე Web-თვალის მეშვეობით.
ფასი: 189 ლარი
მობის და ვენტოს მაღაზიებში
თბილისი: ვენტო- 385 395; მობი: 20 25 25

ლევერკუზენი

# ჰელმესი ბომბარდირობას უმიზნებს

## პატრიკს იბიშევიჩამდე მხოლოდ 3 გოლი დარჩა

„ჰოფენჰაიმის" თავდამსხმელმა ვედად იბიშევიჩმა ბუნდესლიგის პირველ წრეში 18 გოლის გატანით, ზამთრის არდადეგების დროს მძიმედ დაშავდა მიუხედავად ამისა, გერმანიის პირველობის ბომბარდირთა დავას დღესაც სათავეში უდგას. 18 გოლი ბევრ შემთხვევაში, შესაძლოა, საკმარისიც ყოფილიყო იმისათვის, რომ ბოსნიელი გოლეადორი, რომლისთვისაც მიმდინარე სეზონი დასრულებულია, საუკეთესო ბომბარდირი გამხდარიყო, მით უმეტეს, რომ ბუნდესლიგის ისტორიაში მრავლადაა მაგალითი, როცა 17-18 გოლით ბომბარდირები ხდებოდნენ. ამ შემთხვევაში ეს თითქმის გამორიცხულია და იბიშევიჩიც ალბათ ვერ შეეგუა იმას, რომ საუკეთესო ბომბარდირი ვერ გახდება. „ჰოფეს" ფორვარდს ლევერკუზენელი პატრიკ ჰელმესი ნელ-ნელა უახლოვდება...



მცველები პატრიკ ჰელმესს ვერაფერს უხერხებენ!

თვითონ ფეხბურთელიც მიხვდა, რომ შესაძლებლობები სწორედ ამ ასპექტში უნდა გააუმჯობესოს, რადგან სხვა მხრივ მას პრობლემა ფაქტობრივად არ აქვს. საგოლე ალღო თითქმის არასდროს ღალატობს და დარტყმაც ისეთი აქვს, ნებისმიერ ფეხბურთელს რომ შეშურდება.

„ლევერკუზენს" უდიდესი პოტენციალი აქვს, ჩვენ ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ. თუ ამ პოტენციალის მაქსიმუმის გამოყენებას შევძლებთ, გვაქვს შანსი, რომ ჩემპიონები გავხდეთ"! - აცხადებს ჰელმესი, რომელიც გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედადაა მიჩნეული.

მეცხრამეტე ტურში „ფარმაცევტები" საკუთარ მოედანზე „შტუტგარტთან" 2:4 განადგურდნენ და „ჰოფენჰაიმთანაც" რომ წავგოთ, ცხრილის შუა ნაწილისკენ დაეშვებოდნენ. მაგრამ ლაბადიას გუნდმა **რალფ რანგნიკის** გუნდს გაკვეთილი ჩაუტარა და ამრიგად, საჩემპიონო რბოლაში „ლევერკუზენიც" ისევ ჩაება. მომავალმა ტურმა „ბაიერის" მიზნებს უფრო კონკრეტული სახე უნდა მისცეს, რადგან ლაბადიას გუნდი კვირას უშუალო კონკურენტ „ჰამბურგს" ეთამაშება.

გოტფრიდ ლენცი

შალკე

# ვეღარამდე ქაოსში!

## ულტიმატუმი რუტენსა და მიულერს. შეიძლება, შალკე პარასკევს უმწვრთნელოდ დარჩეს

„ბოხუმთან" ნაგებმა (1:2) ისედაც მძიმე სიტუაცია „შალკეში" კიდევ უფრო დაამძიმა. გენერალურ მენეჯერ **ანდრეას მიულერსა** და მთავარ მწვრთნელ **ფრედ რუტენს** ნდობა აქამდე აკლდათ, მაგრამ ამ მატჩმა გუნდის სხვა ხელმძღვანელები კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ დროა, „შალკეში" რაღაც შეიცვალოს. პრეზიდენტმა **იოზეფ შნუსენბერგმა** ამას წინათ თქვა, ზაფხულში გუნდს მთლიანად შევცვლიო, მაგრამ ვითარება უარესობისკენ მიდის და შნუსენბერგიც ხვდება, რომ თუ სასწრაფოდ არ მიიღო ზომები, შესაძლოა, ზაფხულში სრულიად კატასტროფული მასშტაბის კრიზისი მიიღოს, რადგან გუნდი ცხრილის შუაში უიმედოდაა ჩარჩენილი. „ბოხუმთან" მატჩში რურის მცირე დერბი იყო, რომელსაც დიდი დერბი მოსდევს - პარასკევს „შალკე" მოსისხლე მტერ დორტმუნდის „ბორუსიას" ეთამაშება.

როგორც ირკვევა, შნუსენბერგმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისმა** მიულერს ულტიმატუმი წაუყენეს - თუ გუნდი „ბორუსიის" დამარცხებას ვერ შეძლებს, „ბილდის" ინფორმაციით, მიულერიც და რუტენიც თანამდებობებს დატოვებენ. ასე რომ, რურის დიდი დერბის თან უდიდესი ინტრიგა ახლავს...



შალკეს მენეჯერი ანდრეას მიულერი

...რაც სულაც არ არის გასაკვირი - თუ რუტენს გაუშვებენ, ენგელაარსსაც ზედ მიაყოლებენ, რადგან დიდად ნაქებმა ნახევარმცველმა იმედები ვერ გაამართლა.

„ბილდის" ინფორმაციით, ტიონისი უკვე ეძებს ახალ მწვრთნელს. ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რომ მას ისეთი მწვრთნელი სურს, რომელიც მენეჯერიც იქნება - მაგალითად, როგორიც **ფელიქს მაგათია** „ვოლფსბურგში"...

გოტფრიდ ლენცი

ვეტერანი

# მალდინი ინტერისტებმაც დააფასეს

კვირას გამართული მილანური დერბი **პაოლო მალდინისთვის** უკანასკნელი იქნება და ამის შესახებ თავად ფეხბურთელმა არაერთხელ განაცხადა...

...რი გამოჩნდა, რომელზეც შემდეგი ეწერა: „შენ ჩვენი კონკურენტი იყავი, თუმცა ძალიან გაფასებთ" - სწორედ ასეთი ფორმით მიაგეს პატივი...

...თამაშე, რა თქმა უნდა, პაოლო გახლდათ. მისი ბურთთან შეხებისას „ინტერისტები" უმალ ჩერდებოდნენ და ამით პატივს მიაგებდნენ იტალიური ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას. მეორე ტაიმში, „ჯუზეპე მეაცას" ტრიბუნებზე დიდი ზომის ბანე...

...ჯერ არ დასრულებულა. მადლობა „ინტერის" გულშემატკივრებს, რომლებმაც ჩემ მიმართ პატივისცემა გამოხატეს".

ლაშა ნიკლაური

ტრანსფერი

# რჩება თუ არა ბექჰემი?

## გალაქსის შეიძლება შევჩენკომ მიაშუროსო...

იტალიურ პრესაში სულ უფრო ხშირად წერენ იმაზე, რომ **დევიდ ბექჰემი** კარიერას „მილანში" გააგრძელებს. „გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაშია შესული და სულ მალე, შეთანხმებაც შედგება. გუშინ, ლოს ანჯელესში თავად ბექჰემი გაემგზავრა, რათა კიდევ ერთხელ დაელაპარაკოს „გალაქსის" მესვეურებს. ინგლისელს „მილანში" სურს დარჩენა და სავარაუდოდ, მიზნის მისაღწევად ყველაფერს იღონებს...

შევჩენკოს ამერიკელი მეუღლე ჰყავს, შტატებში ყოფნა ძალიან უყვარს და ეს ვარიანტი ნამდვილად არ უნდა გამოვრიცხოთ. ერთი სიტყვით, ბექჰემის საგა, წესით, მალე უნდა დასრულდეს, იქამდე კი „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** მოვუსმინოთ:

„მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაშია შესული და კვირის ბოლომდე, წესით, ყველაფერი უნდა დასრულდეს. „გალაქსის" მესვეურები ბექჰემის გაყიდვას...

ლაშა ნიკლაური




თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ინტერვიუ
ჯანლუიჯი ბუფონი




# ბრძოლა გრძელდება

იტალიურ სპორტულ პრესაში ხშირად ისმის კითხვა - გახდა თუ არა „ინტერი" იტალიის ჩემპიონი? ფორმალურად „ნერაძური" ჩემპიონობისგან ჯერ კიდევ შორსაა, თუმცა კითხვის ქვეტექსტი ალბათ ყველასთვის გასაგებია. ჟურნალისტებისა და ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჟოზე მოურინიოს გუნდს პირველობაში ველარავინ შეეცილება. თუმცა „მილანის" და „იუვენტუსის" ფეხბურთელები ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებენ და სკუდეტოს მოპოვების იმედი ჯერ არ დაუკარგავთ. მათ შორის გახლავთ ჯანლუიჯი ბუფონი, ვინც მომავალს ოპტიმიზმით უყურებს და მიიჩნევს, რომ დარჩენილ თერთმეტ ტურში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჯიჯისთან ინტერვიუ „გაძეტა დელო სპორტის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა.

**- მოგეწონათ მილანური დერბი?**

- ძალიან დაძაბული, სანახაობრივი შეხვედრა იყო და ერთი ამოსუნთქვით ვუყურე. თუმცა შედეგმა გამაწბილა და საერთოდაც, ის დღე ჩვენთვის წარუმატებელი იყო. ხასიათი ჯერ „სამპდორიასთან" დაკარგულმა ქულებმა გამიფუჭა, შემდეგ მადონინას ანგარიშმა. არადა, ტურის წინ სულ სხვა განწყობაზე ვიყავი. ვფიქრობდი, რომ გენუელებს დავამარცხებდით, „მილანი" კი „ინტერს" ქულებს დააკარგვინებდა. რაც იყო, იყო, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ „ნერაძური" წინ გაიჭრა.

**- მთელი იტალია ადრიანოს მიერ ხელით გატანილ გოლზე საუბრობს. თქვენ რას იტყოდით?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ადრიანოს ხელით განზრახ არ უთამაშია. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა და ვგონებ, ბრაზილიელი თვითონაც ვერ მიხვდა, რომ ბურთი კარში ხელით გადაგზავნა. თანაც, ადრიმ ჯერ თავი დაარტყა ბურთს და მხოლოდ შემდეგ მოხვდა ხელზე, რაც მაძლევს იმის საფუძველს, რომ ექსპერტთა უმეტესობას არ დავეთანხმო. როზეტის სრული უფლება ჰქონდა, რომ ეს გოლი ჩაეთვალა. შეეძლო გაეუქმებინა კიდეც და ხმას არავინ ამოიღებდა, მაგრამ არც საპირისპირო გადაწყვეტილება გახლდათ ერთმნიშვნელოვნად მცდარი. ასეთი შემთხვევებისას, მსაჯმა ინდივიდუალურად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

**- „მილანის" ფეხბურთელები არაფრის დიდებით არ დაგეთანხმებოდნენ...**

- მათი მესმის კიდეც, რადგან უმნიშვნელოვანესი პაექრობა წააგეს. ეს იყო დერბი და თანაც, ბრძოლა ექვსი ქულისთვის. გოლზე ჩემი აზრი მოგახსენეთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ როზეტის მსაჯობით კმაყოფილი ვარ. რამდენიმე ეპიზოდში აშკარად მიემხრო ნომინალურ მასპინძლებს და გადაწყვეტილებები მათდა სასარგებლოდ მიიღო. არ ვამბობ, რომ ეს განზრახ გააკეთა, მაგრამ უფრო მეტი ყურადღება რომ მართებდა, ცხადია. თუნდაც დაუნიშნავი პენალტი ავილოთ, ინძაგიზე „ინტერის" მცველმა აშკარად იუხეშა.

**- „ინტერი" ჩემპიონია?**

- ვიცოდი, რომ ამ კითხვას დამისვამდით და პასუხიც მზად მაქვს. „ინტერი" წინ გაიჭრა და სკუდეტოსკენ დიდი ნაბიჯი გადადგა, თუმცა ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. წინ კიდევ თერთმეტი ტურია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. „ინტერს" ერთხელ ჰქონდა ჩავარდნა და გამორიცხული არაა, იგივე კიდევ განმეორდეს. მთავარია, ჩვენ ვიყოთ მოწოდების სიმაღლეზე და ქულები აღარ გავანიავოთ. „სამპდორიას" დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ორი ქულის დაკარგვის უფლება არ გვქონდა.

**- ერთობ ოპტიმისტურად ყოფილხართ განწყობილი.**

- „იუვენტუსი" მებრძოლი გუნდია და არასდროს ნებდება. ჩემს თანაგუნდელებს მეორე ადგილის გაგონებაც კი არ უნდათ და მხოლოდ სკუდეტოსთვის იბრძვიან. ასე იქნება იქამდე, სანამ პირველ ადგილზე გადასვლის თეორიული შანსი მაინც გვექნება შერჩენილი. დარწმუნებული ვარ, არც გულშემატკივრები გვაპატიებენ, რომ ყურები ჩამოვყაროთ და ეროვნულ პირველობაზე ძალები დავზოგოთ. ჩვენთვის სკუდეტო დღესაც ისეთივე პრიორიტეტულია, როგორიც სეზონის დაწყების წინ გახლდათ.

**- სიტყვამ მოიტანა და ლიგის მატჩები კარს მოგვადგა. ხომ არ ნერვიულობთ?**

- ლიგის ფლეი ოფში ბოლოს როდის ვითამაშე, ველარც ვიხსენებ. ბუნებრივია, მღელვარებას აქვს ადგილი, მაგრამ ეს სასიამოვნო განცდაა. წინ დიდი მატჩები გველის და მიხარია, რომ „იუვე" დაბრუნდა იქ, სადაც მისი ადგილია. „ჩელსი" ძალიან ძლიერი გუნდია და მგონი, ამაში ყველა დამეთანხმება. შესაძლოა, ინგლისელებს ბოლო დროს პრობლემები შეექმნათ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის. ფლეი ოფებისთვის „არისტოკრატები" მობილიზებულნი იქნებიან და ბოლომდე იბრძოლებენ.

**- ყველაზე მეტად ვის უფრთხით მეტოქეთაგან"?**

- „ჩელსი" უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, თუმცა ორი მოთამაშის გამორჩევა მაინც შეიძლება. ვგულისხმობ დიდიე დროგბას და ფრენკ ლემპარდს. პირველ რიგში, სწორედ მათ განეიტრალებაზე უნდა ვიზრუნოთ, თორემ მწარედ დავისჯებით. კოტდივუარელი ფიზიკურად ძალიან ძლიერია და მის წინააღმდეგ თამაში მცველებს ძალიან უჭირთ. თანაც, თანაბრად კარგად ირჯება ფეხით და თავით. რაც შეეხება ლემპარდს, მისი მძლავრი დარტყმების შესახებ ყველას მოგეხსენებათ. როდესაც შენს წინააღმდეგ ფრენკი თამაშობს, ყურადღება არც ერთი წამით არ უნდა მოადუნო.

**- ჩემპიონთა ლიგაში რას ისახავთ მიზნად?**

- „იუვენტუსი" მხოლოდ პირველობისთვის იბრძვის და ეს პრინციპი ნებისმიერ ტურნირზე ვრცელდება. ეგაა, რომ თითოეულ გათამაშებას თავისი სპეციფიკა აქვს. ლიგაში კონკრეტული თამაშისთვის უნდა განეწყო და მის მოგებაზე იფიქრო. ეროვნულ ჩემპიონატში კი შეგიძლია უფრო კომპლექსურად მიუდგე საქმეს და ძალები გადაანაწილო. ყველა შემთხვევაში, „ვეკია სენიორას" ერთადერთი მიზანი, პირველობაა.

**- „იუვენტუსზე" ძალიან ბევრს ვსაუბრობთ, სულ ცოტა ხნის წინ კი კინაღამ „სიტის" ფეხბურთელი გახდით.**

- თქვენ მგონი კაკაში გეშლებით. „სიტის" მესვეურები ჩემ მიმართ ინტერესს იჩენდნენ, თუმცა ამის იქით საქმე არ წასულა. ინგლისელებს არც წინადადება შემოუთავაზებიათ და არც ინტერესი დაუდასტურებიათ საჯაროდ. შესაბამისად, გადამეტებულია საუბარი იმაზე, რომ „სიტიში" გადასვლასთან ახლოს ვიყავი. ისე კი, ჩემთვის ფული არაა მთავარი და „იუვედან" წასვლის სურვილი არასდროს მქონია. მხოლოდ ის განვაცხადე, რომ თუ კლუბის მესვეურები ჩემს გაყიდვას გადაწყვეტდნენ, წინააღმდეგობას არ გავუწევდი.

**- კაკამ „სიტიზე" უარი თქვა, ალბათ დაეთანხმეთ მის ამ გადაწყვეტილებას.**

- კაკამ ზუსტად ის პოზიცია დაიკავა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე. მან განაცხადა, რომ თუ კლუბი გაყიდდა, ამის წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა, თუმცა თვითონ დარჩენის სურვილი გამოთქვა. „მილანის" მესვეურები დიდსულოვნად მოიქცნენ, როდესაც დიდ ფულს ფეხბურთელის შენარჩუნება არჩიეს. ეს ფეხბურთის და საერთოდ, სპორტის გამარჯვება იყო. კაკა დიდი ფეხბურთელია და მის გასხვისებას გამართლება არ ექნებოდა.

**- ამაურიზეც ვისაუბროთ, თქვენი თანაგუნდელი არჩევანის წინაშე დგას, რას ურჩევდით მას?**

- თუ არ ვცდები, მან არჩევანი უკვე გააკეთა და ბრაზილიის ეროვნულ გუნდში გადაწყვიტა ასპარეზობა. ამის შესახებ განაცხადა კიდეც და არა მგონია, რომ ჩვენება შეცვალოს. კარვალიოს სიამოვნებით ვიხილავდი სკუადრა აძურაში, მაგრამ ეს ჩემზე არაა დამოკიდებული. დუნგამ ამაურის გამოძახება გადაწყვიტა და ამან ყველაფერი შეცვალა.

**- ნაკრებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, ბრაზილიასთან მარცხი დღემდე ვერ მოინელა ბევრმა.**

- ლიპიმ გამარჯვებას მიგვაჩვია და პრინციპულ მეტოქესთან მარცხი ხალხმა ძალიან განიცადა. მეორე მხრივ, დავინახეთ, რომ ბრაზილიას არაფერში ჩამოვუვარდებით და რიგ კომპონენტებში ალვემატებით კიდეც. სამხრეთამერიკელებმა ეპიზოდურად შეგვიტიეს და გოლები ჩვენივე დაუდევრობის გამო გაგვიტანეს. მაშინ, როცა მეორე ნახევარში თამაში ძირითადად მათ კართან წარიმართა და გოლის გატანაც არაერთხელ შეგვეძლო. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მატჩის არბიტრმა ფაბიო გროსოს წესების სრული დაცვით გატანილი გოლი გააუქმა. ბრაზილიას კონფედერაციათა თასზეც შევხვდებით და ვეცდებით, რევანში ავილოთ.

**ლაშა ნიკლაური**

ესპანეთის ნაკრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დელ ბოსკე: რაული ცოცხალი ლეგენდაა

## ასეთი მაღალი შეფასების მიუხედავად, მთავარი მწვრთნელი გონსალეს ბლანკოს სელექციონში მიწვევას არ ჩქარობს...

გუშინ ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვისენტე დელ ბოსკემ** „რადიო ნასიონალს" ვრცელი ინტერვიუ მისცა. ინგლისის ნაკრების დამარცხების შემდეგ სელექსიონის თავკაცის პოპულარობა ერთი-ორად გაიზარდა. გულშემატკივრები მას დიდად ემადლიერებიან. ყველა გამოკითხვის თანახმად სენიორ დელ ბოსკე დღეისათვის ესპანელების ყველაზე საყვარელი მწვრთნელია. ეროვნული გუნდის მორიგი წარმატება საკმარისი გახდა იმისთვის, რომ „რადიო ნასიონალის" რედაქციას მწვრთნელი სტუდიაში მიეწვია და საინტერესო კითხვები დაესვა. პირველ რიგში ბატონ ვისენტეს **რაულის** შესახებ ჰკითხეს. მას შეახსენეს, რომ გონსალეს ბლანკომ პრიმერა დივიზიონის 23-ე ტურში ლეგენდარული **ალფრედო დი სტეფანოს** რეკორდი გააუმჯობესა და „რეალის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

დელ ბოსკემ სამეფო კლუბის ფორვარდის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა: *„ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, რაულს ასტურიის პრინცის პრემიით დავაჯილდოებდი. მის წარდგენას დიდი სიამოვნებით დავუჭერ მხარს. უფრო მეტიც, აქტივისტთა ჯგუფში ჩავეწერები და ჩემს წვლილს შევიტან, რომ გონსალეს ბლანკომ ჩვენი ქვეყნის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო მოიპოვოს. ამ ფეხბურთელის ღვაწლი შეუფასებელია. ესპანური ფეხბურთისთვის მან ძალიან ბევრი რამ გაილო. რაული ყოველთვის თავგანწირვით თამაშობს და ემზადება. მე მას სამაგალითო პროფესიონალს ვუწოდებდი. შეუძლებელია, გონსალეს ბლანკოს კარიერას თვალი გადაავლო და არ მოიხიბლო. ძალიან მიხარია, რომ მან დონ ალფრედოს რეკორდი გააუმჯობესა. დი სტეფანო ლეგენდარული ადამიანია. მისი რეკორდის დამმხობი ფეხბურთელი ვინ გამოდის? რა თქმა უნდა, რაულიც ცოცხალი ლეგენდა გახდა. ჩემი აზრით, ის აქამდეც ლეგენდარული თავდამსხმელი იყო, მაგრამ ახალი რეკორდის დამყარების შემდეგ ყველა კითხვა მოიხსნა."*

ასეთი შეფასება ცოტა არ იყოს გასაკვირია, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უცნაური. რატომ? იმიტომ, რომ დელ ბოსკე გონსალეს ბლანკოს ეროვნულ გუნდში ჯიუტად არ იძახებს. თუ ადამიანზე ასეთი შეხედულება გაქვს, მართლაც გასაკვირია, რომ სელექსიონში არ იძახებ. ბუნებრივია, რადიოს დიქტორმა ნაკრების მთავარ მწვრთნელს ამ უცნაურობასთან დაკავშირებული კითხვა პირდაპირ ეთერში დაუსვა. დელ ბოსკემ როგორც მოსალოდნელი იყო რიხიანი პასუხი გასცა: *„მე ისტორიკოსი ან სტატისტიკოსი არ ვარ. ჩემი ამოცანა კონკრეტულ დროს საუკეთესო ფორმაში მყოფი ფეხბურთელების შეგროვება და მათი კონკრეტული თამაშებისთვის მომზადებაა. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ნაკრების კარს არავის ვუხურავ. მიმაჩნია, რომ მიუხედავად ყველაფრისა დღესდღეობით ესპანეთის ნაკრებისთვის რაულზე მეტი სარგებლის მოტანა სხვა ფეხბურთელებს შეუძლიათ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ რაულს სელექსიონში თამაშის შანსი აღარ აქვს. მას ნებისმიერ დროს შეუძლია დაბრუნდეს."*

ამის შემდეგ ინგლისთან გამარჯვებაზე საუბრის დროც დადგა. დელ ბოსკე საკუთარ ღვაწლზე საუბარს მოერიდა, სამაგიეროდ ფეხბურთელების დამსახურებაზე გულღიად ილაპარაკა: *„ჩემი აზრით, სელექსიონში ყველა დროის ერთ ერთმა საუკეთესო თაობამ მოიყარა თავი.. იმედია, ამპარტავნობაში არ ჩამომართმევთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ დღეს ევროპაში შემადგენლობის თვალსაზრისით ვერავინ შეგვედრება. შეუძლებელია, ასეთმა ფეხბურთელებმა დიდ წარმატებებს არ მიაღწიონ. ინგლისის ნაკრების დამარცხება, ნიშანდობლივი მოვლენა გახლდათ. ჩვენი მიზანი 2010 წლის მუნდიალზე გამარჯვებაა. ამიტომ, აუცილებელია, რომ მუნდიალამდე საკვალიფიკაციო რაუნდი გადავლახოთ და ამხანაგურ შეხვედრებში დიდი ნაკრებები დავამარცხოთ. მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტის ჩემპიონები ვართ, გამოცდილების გაღრმავება მაინც არ გვაწყენს. ნებისმიერი ახალი დაპირისპირება სიახლესთან და გამოცდილების განმტკიცებასთან არის დაკავშირებული. პრესტიჟზე აღარაფერს ვამბობ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ინგლისთან გამარჯვებას მართლაც დიდი ფასი ჰქონდა. ეს არ გახლდათ ჩვეულებრივი ამხანაგური მატჩი. ისტორიაში ჩავწერეთ, რომ სელექსიონმა ინგლისის ეროვნული გუნდი დაამარცხა."*

**ილია ნიკოლაიშვილი**



(გაგრძელება)




## ავტოგრაფი, რომელმაც მთელი საფრანგეთი მოიარა

„სენტ ეტიენის" „მუდმივ" პრეზიდენტ **როჟე როშეს** პირველად არ ვხვდები. ამ კაცს თავისი მტკიცე ხელით, 20 წლის განმავლობაში ტრიუმფიდან ტრიუმფამდე მიჰყავს თავისი კლუბი. მას სხვადასხვა სტადიონზეც შევხვედრივარ, მათ შორის „სენტ ეტიენის" „ჟოფრუაგიშარზე", სადაც „ნანსიმ" მართალია ბოლო წუთზე წააგო, მაგრამ იქაური პუბლიკის თვალში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

მე, როგორც ფეხბურთელს, სხვებზე უკეთ მესმის სპორტსმენებისა და სპორტული ფუნქციონერების როლი წარმატებისკენ მიმავალ გზაზე. გუნდის პრეზიდენტი მინდორზე არ გადის, არ თამაშობს ოფლისგან სველი მაისურით, არ იტანს გოლებს, არ ხელმძღვანელობს ვარჯიშებს, არ მუშაობს ტაქტიკურ სქემებზე. მაგრამ სწორედ ის ნახულობს საჭირო ფინანსურ სახსრებს კლუბის არსებობისთვის, ახალი მოთამაშეების შესაძენად, გუნდის სხვა საქმეების მოსაგვარებლად.

მე არ მჭირდება გაზეთ „ეკიპის" წერილების კითხვა იმის შესახებ, რომ **როჟე როშე** „ყველაზე სპორტული პატრონია" - ისედაც ვაცნობიერებ, რომ სწორედ ის ითვლება ჩემპიონად საფრანგეთის საფეხბურთო კლუბების პრეზიდენტებს შორის.

ეს ისეთი პრეზიდენტია, რომელიც საკუთარ თავს საფეხბურთო საწარმოს გენერალურ დირექტორად მიიჩნევს. გარდა ამისა, ის სათავეში უდგას საზოგადოებრივი სამუშაოების ადგილობრივ სამმართველოს. ის სამუშაოს აძლევს დაახლოებით ექვსასამდე ადამიანს, რომლებსაც ერთი დევიზი აერთიანებთ: „ნუ გამოიჩენ სისუსტეს, ყოველთვის წინ იარე!"

სენტ ეტიენში ფეხბურთს, როგორც სერიოზულ სამუშაოს ისე უყურებენ. აქედან წარმოიშვა გუნდის მეტსახელი - „მწვანე ქარხანა". როშეს არასოდეს გამოუხატავს პროტესტი ამ სახელის გამო, თუმცა ის ოფლისა და მძიმე შრომის ასოციაციას იწვევს. „დიახ, აღიარებს ის. - *ასეთი ზედმეტსახელი მართლაც არსებობს, მაგრამ „სენტ ეტიენი" - ეს არ არის ზოლას გაგებით ქარხანა მძიმე შრომით, უბრალოდ, ეს არის სერიოზული დაწესებულება. აქ, სენტ ეტიენში, ფეხბურთი კვირა დღეს მაყურებლებისთვის გასართობ საშუალებად ითვლება. კვირის დანარჩენ დღეებში კი ეს არის ხელობა, რომლითაც დაკავებულნი არიან პროფესიონალი ფეხბურთელები, რათა კვირის ბოლოს ხალხს წარმტაცი და საინტერესო სპექტაკლი აჩვენონ*".

ასეთია როჟე როშე, რომელსაც არასოდეს გადაუხვევია თავისი პრინციპებისა და მსოფლმხედველობისთვის.

სწორედ ამ პრინციპების გამო გადაწყვიტა მან 1970-71 წლების სეზონში, საფრანგეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე გუნდიდან გაერიცხა ორი ვარსკვლავი - **ბერნარ ბოსკიე** და **ჟორჟ კარნუ**. მიზეზი: „მარსელმა" ფეხბურთელების მენეჯერ **ალბერტ ბატეს** დახმარებით, ამ ორ მოთამაშესთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა.

საფრანგეთის ფეხბურთის ისტორიაში ასეთმა უპრეცედენტო მოქმედებამ დიდი ემოცია გამოიწვია და პრესაში ხმამაღალი პოლემიკა წარმოშვა. მართალია, მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაინც თვალს ვადევნებდი ამ მოვლენებს და დღემდე მახსოვს გაზეთების სათაურები, გაუთავებელი ინტერვიუები, გამოქვეყნებული ანკეტები, რომლებშიც ჟურნალისტები მახვილსიტყვიერებასა და გონების სისხარტეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

როგორც მოთამაშე, რა თქმა უნდა, ორი განდევნილის მხარე დავიჭირე, მით უმეტეს, რომ მათ ძალიან ბევრი გააკეთეს ტიტულებით დახუნძლული კლუბის საკეთილდღეოდ.

უფრო მოგვიანებით, დიდი მწერლის **ლუსიენ ბოდარის** იმ კონფლიქტის პერიოდში გამოქვეყნებული სტატია წავიკითხე. სწორედ ჩავწვდი როჟე როშეს რეაქციის არსს - პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში სპორტული ეთიკა დაზარალდა. ბოდარს თავის სტატიაში როჟეს შემდეგი სიტყვები მოჰყავს: „*სენტ ეტიენის" საიდუმლო ძალიან მარტივია. ეს არის მთელ საფრანგეთში ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების მოძიება. ისინი „სენტ ეტიენში" ჩამოჰყავთ, ასწავლიან და ზრდიან მაღალი სპორტული და მორალური პრინციპებით. იქ ისინი ნამდვილ მამაკაცებად და პროფესიონალ ფეხბურთელებად ყალიბდებიან, რომლებიც თითქმის ყოველთვის საერთაშორისო კლასის მოთამაშეებად იქცევიან. ამას ვეძახი მე კლუბის სულს. როდესაც ჩემპიონატის დასრულებამდე „მარსელში" გადასვლის შესახებ გამოაცხადეს, ბოსკიემ და კარნუმ ჩვენთან დადებული მორალური კონტრაქტი დაარღვიეს. ამიტომაც გამოვიჩინე პრინციპულობა...*"

და ეს პრინციპული ადამიანი 29 მაისს ჩემი სახლის კარზე ზარს რეკავს.

პირველად ცხოვრებაში პირისპირ მხვდება ყოველთვის საბრძოლოდ განწყობილი პრეზიდენტი, რომელსაც, როგორც მიყვებიან, შეუძლია „პიჯაკი გაიხადოს და მამაკაცურად დაელაპარაკოს" ყველას, ვინც კლუბის რეპუტაციის შელახვაში იქნება ეჭვმიტანილი. ჭაღარა თმებით, ოდნავ მოღუნული ცხვირით, კვადრატული მხრებით და საშინელი სამხრეთული აქცენტით, როშე თავის თავში დარწმუნებულ ადამიანად მეჩვენა, რომელიც კარგად ფლობს ოპონენტის გადარწმუნების ხელოვნებას.

ჩემს მეუღლე **კრისტელთან** საუბრისას, ის თავიდან საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ლაპარაკობს. კრისტელის მამა და თავად როშე ხომ ფაქტობრივად მეწარმეები არიან.

კრისტელის მამა... მახსენდება ისტორია, როცა მან ჩვენს ქორწინებაზე თანხმობა განაცხადა.

კრისტელი ჩემს ცხოვრებაში 18 თვის წინ შემოვიდა. ერთხელ ჩვენს საყვარელ პიცერია „კაპრიში", სადაც ყოველი მატჩის შემდეგ მაგიდას გვინახავდნენ, **ოლივიე რუიეს** დასთან ერთად შემოვიდა ის - საშუალოზე დაბალი სიმაღლის ქერათმიანი გოგონა. ოლივიემ წინასწარ განმიცხადა: „*აქ ერთი მეგობარი გოგონა მყავს, აუცილებლად უნდა გაგაცნო*". როგორც კი კრისტელმა თავისი ცისფერი თვალებით შემომხედა, მაშინვე, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გავაცნობიერეთ, რომ ჩვენმა ხომალდებმა საბოლოო ნავსაყუდელი იპოვეს. მაშინვე მივხვდი, ვინ არ მყოფნიდა ცხოვრებაში.

თავისთავად ცხადია, რომ პიცერიაში ამ პირველ შეხვედრას სხვა პაემნებიც მოჰყვა. მოკლედ, კრისტელმა სტადიონისკენ მიმავალ გზაზე სიარული მოუხშირა...

ჩვენს ქორწინებაში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ გარკვეულწილად, ეს **ტიერი როლანის** საჩუქარი გახლავთ.

ერთხელ „ნანტს" ვმასპინძლობდით და 3:0 მოვიგეთ. სამივე გოლი მე გავიტანე. ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე ვიყავი.

საღამოს, კრისტელთან სახლში ჩვენ ორნი ტელევიზორს ვუყურებთ. სპორტული ქრონიკა ამ მნიშვნელოვანი მატჩის მიმოხილვით იწყება. ვხედავ, როგორ გამაქვს გოლები. ტიერი, რომელიც ამ სიუჟეტს კომენტარს უკეთებს, აუცილებლობად მიიჩნევს ჩემს წარმატებას რაღაც დაუმატოს: „*შესანიშნავია! აი, ეს გოლი მიშელმა თავის საცოლეს, მომხიბვლელ კრისტელს მიუძღვნა...*"

და უცებ, ეკრანზე ჩნდება კრისტელის ფოტო, გვერდით - ჩემი სურათი! არადა, ჩვენ სულ რაღაც ათი დღეა, რაც ერთმანეთს ვიცნობთ... ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართებოდათ ჩემს მშობლებს, როცა ამ სიუჟეტს ნახავდნენ. ისინი ხომ ბერგამოდან არიან. იტალიაში კი, როგორც ცნობილია, ქორწინების საკითხზე არ ხუმრობენ. იქვე დაინიშნა ჯვრისწერის თარიღი... მერსი, ტიერი!

მე და კრისტელმა ერთმანეთი 1976 წლის 30 ნოემბერს გავიცანით. 1977 წლის 21 დეკემბერს კი ნანსის მერის თანაშემწის **ანრი კოლოს** წინაშე წარვდექით. მერიაში ჩემი უამრავი მეგობარი შეიკრიბა. იქ მოვიდა **მიშელ იდალგო** და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ფერნან სასტრი**. მათ თან **დომინიკ ბატენეი** მოიყვანეს, რომელიც 1974 წელს, საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში ჩატარებული მატჩის შემდეგ, ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდა. მოვიდა ტიერი როლანიც.

კრისტელი ყოველგვარი ზედმეტი ფიქრის გარეშე გამოეთხოვა ეკონომისტის დიპლომზე ოცნებას. მაგრამ ფეხბურთის ბიზნესის შესახებ მოლაპარაკებების დასწრებისას, მან ძალიან სწრაფად იპოვა თავისი, როგორც საქმიანი ქალის იმიჯი. ამ დროს მას შეეძლო სიმშვიდის შენარჩუნება, არ ღელავდა და ყოველთვის ყურადღებიანი და სასარგებლო მოწმე იყო.

იმ საღამოს, როჟე როშესთან შეხვედრის დროს, კრისტელი არ დაკმაყოფილდა ოჯახის დიასახლისის უბრალო როლით, მაგიდაზე ჭიქების დაწყობითა და აპერიტივის მიხედვით კერძების განაწილებით. არა. ის ყურადღებით უსმენს ჩვენს საუბარს, ყველაფერს გონებაში ინიშნავს და აანალიზებს. ის დიდ როლს ითამაშებს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში.

*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**


მიშელისა და კრისტელის ქორწილი


როჟე როშე და მიშელ პლატინი

მძლეოსნობა

# ლიცენზია ქევხიშვილს



23 წლის ქართველი ბირთვის მკვრელი - **მარიამ ქევხიშვილი** ამერიკის საუნივერსიტეტო ჩემპიონატებზე წარმატებულ გამოსვლებს აგრძელებს. ამჟამად ქართველმა სტუდენტმა ქალაქ ეიმსის მძლეოსნობის ზამთრის არენაზე, აიოვას შტატის საუნივერსიტეტო პირველობაზე იასპარეზა და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური აქაც არავის დაუთმო. ქევხიშვილმა ბირთვი ამჯერად 17 მეტრსა და 35 სანტიმეტრზე ჰკრა, რაც საუკეთესო შედეგი იყო 44 მონაწილეს შორის.

ამ შედეგით, მარიამმა გერმანიაში 14-24 აგვისტოს გასამართი მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის ლიცენზია მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონატის სალიცენზიო ნორმატივი 17.20 მეტრი იყო.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ საუნივერსიტეტო ტურნირებზე მარიამ ქევხიშვილმა უკვე ზედიზედ მეოთხედ იმარჯვა (წინა ტურნირების შედეგები - 17. 16 17.17, 17.10 მეტრი), რაც მის სტაბილურობაზე მეტყველებს. მარიამის ამჟამინდელი სპორტული ფორმით კმაყოფილია მისი პირადი მწვრთნელი - **სტიმ ლემკე**, რომელიც ქართველ ბირთვის მკვრელს პეკინის ოლიმპიადაზეც ახლდა, ამერიკაში კი ლემკე მარიამის საუნივერსიტეტო გუნდის მწვრთნელია.

*"ფაქტია, რომ ქევხიშვილი უფრო და უფრო აუმჯობესებს შედეგებს და პროგრესი აშკარაა. მარიამი ამ ეტაპისათვის მშვენიერ სპორტულ ფორმაშია და საწვრთნელ ეტაპსაც წარმატებით გადის. ახლა მთავარია მან პროგრესირება განაგრძოს და მიღწევა მომდევნო ტურნირებზე გააუმჯობესოს"* - აღნიშნა ლემკემ.

27-28 თებერვალს ქევხიშვილი კიდევ ერთ საუნივერსიტეტო პირველობაზე გამოვა, მარტში კი ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენი პირველად ცდის ბედს ამერიკის ნაციონალურ ჩემპიონატში.

**გიორგი ჭანიშვილი**

დარბაზის ჰოკეი

საქართველოს ჩემპიონატი. ქალები

# ჩოხატაურში იჩემპიონეს



ოზურგეთის სპორტის სასახლეში ჩატარდა ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონატი დარბაზის ჰოკეიში. ტურნირი, რომელშიც ოთხმა გუნდმა იასპარეზა წრიული სისტემით, ერთ ტურად გაიმართა. ოზურგეთში სპორტის ეს სახეობა ახლა იდგამს ფეხს და ცოტა ხნის წინათ გოგონათა გუნდიც ჩამოყალიბდა, თუმცა ამ ჩემპიონატში მოუმზადებლობის გამო არ უასპარეზია. გურიის ჰოკეის სამხარეო ფედერაციის ხელმძღვანელმა **შალვა ბოლქვაძემ** ყველაფერი გააკეთა, რომ ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარებულიყო და ამ გზით ხელი შეეწყო ოზურგეთში ჰოკეის პოპულარიზაციისთვის. ჩემპიონატი გურიის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტით გაიხსნა, ამის შემდეგ კი ოზურგეთის მშვენიერ დარბაზში ჰოკეისტებმაც გააჩაღეს პაექრობა, რასაც იქაურმა მაყურებელმა დიდი ინტერესითა და აზარტით მიადევნა თვალი.

პირველად იასპარეზა ჩემპიონატამდე სულ რაღაც ორიოდე კვირით ადრე შექმნილმა ბათუმის გუნდმა, რომელიც ძირითადად 14-15 წლის გოგონებით არის დაკომპლექტებული. მართალია, აჭარლებმა სამივე შეხვედრა წააგეს, მაგრამ მათთვის ამ ეტაპზე შედეგზე მეტად ჩემპიონატში გამოსვლა და გამოცდილების მიღება უფრო მნიშვნელოვანი იყო. შარშანდელისგან განსხვავებით, ტურნირზე ორის ნაცვლად ერთი გუნდით წარდგა ქუთაისი. ბათუმისა და ქუთაისის გუნდების გარდა საქართველოს ჩემპიონატში ჩოხატაურის „ბახმარომ" და ლანჩხუთის „გურიამ" იასპარეზეს.

ტურნირის ფავორიტმა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ქუთაისის „უქიმერიონმა" ყველა მეტოქე იოლად დაამარცხა და კიდევ ერთხელ ალმართა ჩემპიონის თასი. ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი და საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ავთანდილ თევდორაძე** გამარჯვების მიუხედავად უგუნებოდ იყო: *„ასეთ კარგ ფორმაში ჩვენი გუნდი არასდროს ყოფილა. ევროპის საკლუბო ჩემპიონატისთვის ვემზადებოდით, რომელიც 20 თებერვალს პორტუგალიაში იწყება. ბოლო მომენტამდე იმედი გვქონდა, რომ გერმანიის საელჩო პორტუგალიის ვიზებს მოგვცემდა, მაგრამ ისევ უარი გვითხრეს და ევროტურნირზე ვერ ვიასპარეზებთ. არადა, ვინ არ იყო ჩარეული, რომ გერმანიის საელჩოს გადაწყვეტილება შეეცვალა; ევროპის ჰოკეის ფედერაციამაც მიმართა თხოვნით, პორტუგალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც, მაგრამ მათი თხოვნაც არ გაითვალისწინეს. საბედნიეროდ, ევროპის ჰოკეის ფედერაცია ჩვენს მდგომარეობაში შევიდა და ტურნირზე გამოუცხადებლობის გამო ჯარიმას არ დაგვაკისრებს. პირიქით, ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დევიდ ბალბინიმ შემოგვთავაზა, რომ ბალახის ჰოკეიში ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მივიღოთ მონაწილეობა, რომელიც წლეულს, ივნისში, ავსტრიაში იმართება. ევროპის ფედერაცია ვიზებისა და გამგზავრების ხარჯებს საკუთარ თავზე იღებს და ამ ტურნირზე წასვლის პრობლემა არ გვექნება."* - აღნიშნა ავთანდილ თევდორაძემ.

თუკი პირველადგილოსნის ვინაობა თავიდანვე გარკვეული იყო, მეორე ადგილისთვის ჩოხატაურსა და ლანჩხუთს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. ყველაზე თვალსაჩინო სწორედ გურული დერბი გამოდგა. ლანჩხუთელები 2:0 ამარცხებდნენ მეტოქეს, მაგრამ ჩოხატაურელებმა ძალების მოკრება შეძლეს და საბოლოოდ შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა, რის შემდეგაც ორივე მათგანს ერთნაირი ქულები დაუგროვდათ. „ბახმაროს", რომელსაც ერთი თამაში რეზერვში ჰქონდა, მეორე ადგილზე გასვლის კარგი შანსი მიეცა, მაგრამ ბოლო შეხვედრაში „უქიმერიონთან" 0:13 წააგო და ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით მეორეზე მისი მეტოქე ლანჩხუთის „გურია" გავიდა.

ტურნირის ბოლოს მოეწყო დაჯილდოება და დასახელდა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეები. 13 გატანილი გოლით ბომბარდირი გახდა უქიმერიონელი **ფერიდე გელაშვილი**. საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი ასევე ქუთაისის გუნდის წევრს **ნანა სოხაძეს** გადაეცა.

| | |
|---|---|
| **უქიმერიონი-აჭარა** | 10:1 |
| **უქიმერიონი-ლანჩხუთი** | 10:1 |
| **უქიმერიონი-ჩოხატაური** | 13:0 |
| **ჩოხატაური-ლანჩხუთი** | 2:2 |
| **ჩოხატაური-აჭარა** | 10:0 |
| **ლანჩხუთი-აჭარა** | 8:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უქიმერიონი | 3 | 3 | 0 | 0 | 33-2 | 9 |
| 2. ლანჩხუთი | 3 | 1 | 1 | 1 | 11-13 | 4 |
| 3. ჩოხატაური | 3 | 1 | 1 | 1 | 12-15 | 4 |
| 4. აჭარა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-28 | 0 |

**დავით კოხრეიძე**

ქართული ჭიდაობა

# ქართული ჭიდაობის სპეცსკოლა

## პირველად საქართველოში...



გუშინ დიღმის მასივის მე-2 კვარტალში, 169-ე საშუალო სკოლაში, ქართული ჭიდაობის სკოლა გაიხსნა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოში ქართული ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლა იფუნქციონირებს. პრეზენტაციაზე, სკოლის სპორტული დარბაზის კართან გაჭიმული ლენტი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა** და ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა** გადაჭრეს.

სკოლის გახსნის ინიციატივა უშანგი ყურაშვილს ეკუთვნის. მისი თქმით, ქართული ჭიდაობის ცენტრები სამომავლოდ რეგიონებშიც გაიხსნება.

სკოლის გახსნას ესწრებოდნენ პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე - **გიორგი ასანიძე**, მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი - **მამუკა ქაცარავა**, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოისტები თუ სამბისტები - **ზაზა კედელაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი, ვარლამ ლიპარტელიანი, ზვიად ჩინძალაძე**, საქართველოს 8-გზის ფალავანი **ალექსი დავითაშვილი** და სხვა ცნობილი სპორტსმენები, აგრეთვე ძიუდოსა და სამბოს ფედერაციების წარმომადგენლები.

მსურველებს 8 წლის ასაკიდან მიიღებენ, ნიჭიერი მოზარდები კი გადასახადისაგან გათავისუფლდებიან. დარბაზში უკვე დაგებულია 2 საჭიდაო ხალიჩა, რომელიც ფედერაციას დეპარტამენტმა გადასცა.

**უშანგი ყურაშვილი:** *„ასეთი სკოლა საქართველოში დღემდე არ არსებობდა. არადა, ქართული ჭიდაობა მართლაც რომ მეტ ყურადღებას იმსახურებს. ჩვენმა სახელგანთქმულმა ძიუდოისტებმა თუ სამბისტებმა კარიერა ხომ სწორედ ქართული ჭიდაობით დაიწყეს. ასეთი ცენტრები რეგიონებშიც გაიხსნება."*

**დავით ნამგალაური:** *„მივესალმებით ქართული ჭიდაობის ფედერაციის ამ ინიციატივას. ასეთი სკოლის შექმნა მართლაც მნიშვნელოვანი და სასიხარულო ფაქტია. რაც მეტი ახალგაზრდა ჩაებმება ქართული ჭიდაობის სკოლის ჯგუფებში, მით უკეთესი. ქართული ჭიდაობის ილეთებს არაერთი ტიტულოვანი ქართველი ძიუდოისტი და სამბისტი ფლობს. ისიც ცნობილია, რომ მსოფლიოსა და ევროპის არაერთმა ჩემპიონმა პირველი სპორტული ნაბიჯები სწორედ ქართული ჭიდაობით გადადგა. ჩვენი მხრიდან მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ ქართული ჭიდაობის ფედერაციას".*

**გიორგი ჭანიშვილი**

# საქართველოს ჩემპიონის ევრონათლობა

ანკარაში გაიმართა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ერთ-ერთი გათამაშება (ჩელენჯ 2) დარბაზის ჰოკეიში მამაკაცთა შორის, რომელშიც პირველად იასპარეზა საქართველოს ჩემპიონმა ქუთაისის „უქიმერიონმა". ეს გათამაშება ევროტურნირებს შორის სიძლიერის მიხედვით მეოთხე საფეხურზეა და აქ შედარებით დაბალი რეიტინგის გუნდები ასპარეზობენ. ქართველების ევროდებიუტი წარმატებული ვერ გამოდგა. „უქიმერიონმა" მხოლოდ ერთი ფრე გააზერხა და ტურნირში ბოლო ადგილი დაიკავა. თუმცა, საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ავთანდილ თევდორაძე** ოპტიმისტურად არის განწყობილი: *„ჩვენმა გუნდმა ასეთი რანგის ტურნირზე პირველად იასპარეზა და გამოცდილ გუნდებს საკმაოდ კარგად ეთამაშა. ტურნირზე ჩვენმა ჰოკეისტებმა დიდი გამოცდილება მიიღეს, რაც სამომავლოდ დიდად დაეხმარებათ."*

„უქიმერიონმა" პირველი შეხვედრა სოფიის „ლოკომოტივთან" გამართა. ქუთაისელებმა ამ მატჩის მეორე ნახევარი 3:2 მოიგეს, მაგრამ პირველ ტაიმში 0:5 მარცხდებოდნენ და შესაბამისად, შეხვედრაც 3:7 დათმეს. შემდეგი შეხვედრა ქუთაისელებმა ნორვეგიულ IF-თან გამართეს. პირველ ტაიმში ქართველებმა კარგად ითამაშეს და გამოცდილ ნორვეგიელებს ტოლი არაფერში დაუდეს (1:1), მაგრამ მეორე ტაიმში ძალები აღარ ეყოთ და 2:7 დამარცხდნენ. შემდეგ მატჩში ჩვენებმა მეორე ადგილზე გასულ სერბეთის „ელექტროვოივოდინასთან" დათმეს - 9:1. „უქიმერიონმა" თურქულ „კეჩიორენთანაც" წააგო (0:4), რომელიც შემდეგ ამ ტურნირის გამარჯვებული გახდა. შემდევნო და ყველაზე დასანანი მარცხი საქართველოს ჩემპიონმა მის უშუალო კონკურენტთან სომხურ „რაზდანთან" იწვნია - 1:4 და ბოლო ადგილს დასჯერდა. ყველაზე კარგად „უქიმერიონმა" ბოლო შეხვედრა ჩაატარა - ფინურ ABC-ეს დიდი ბრძოლა გაუმართა. პირველ ტაიმში ქართველები 1:0 იგებდნენ, მაგრამ გამარჯვების მოპოვება ისევ ვერ შეძლეს და დაძაბული მატჩი საბოლოოდ ფრედ - 2:2 დასრულდა. ჩემპიონთა ჩელენჯ თასი 2-ის ცხრილში გუნდები ასეთი თანმიმდევრობით დალაგდნენ:



**1. კეჩიორენი (თურქეთი) - 15; 2. ელექტროვოივოდინა (სერბეთი) - 15; 3. IF (ნორვეგია) - 15; 4. ABC (ფინეთი) - 10; 5. ლოკომოტივი (ბულგარეთი) - 6; 6. რაზდანი (სომხეთი) - 3; 7. უქიმერიონი (საქართველო) - 1**

ტურნირზე პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები „კეჩიორენი" და „ელექტროვოივოდინა" ერთი საფეხურით დაწინაურდნენ და გაისად ჩელენჯ 1-ში იასპარეზებენ. აქვე შეგახსენებთ, რომ „უქიმერიონი" წლეულსაც გახდა საქართველოს ჩემპიონი და გაისად მას კვლავ ვიხილავთ ევროსარბიელზე.

**დავით კოხრეიძე**

ჩოგბურთი

# ოქტომბრის შემდეგ მოუგებელი

ქართული ჩოგბურთის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა წარმომადგენელს **ლაზარე კუხალაშვილს** ახლახან 18 წელი შეუსრულდა. 2 წლის წინათ იგი ახალგაზრდულ რეიტინგში მსოფლიოს 36-ე ჩოგანი იყო, მაგრამ დიდებში ჯერჯერობით ვერ ამართლებს იმედებს, ლაზარე 921-ე ჩოგანია და მას საერთაშორისო ასპარეზზე ოქტომბრის მერე ერთი მატჩიც კი არ მოუგია. გუშინ ჩვენმა თანამემამულემ ესპანურ კარტახენაში დაწყებული ტურნირის (10 ათასი $) პირველივე წრეში წააგო საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ იტალიელ **სტეფანო ვალენტისთან** (1227) - 4:6, 5:7.

ამერიკულ სურპრაიზში (25 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადის მეორე წრეშიც იმარჯვა ურეიტინგო **მაგდა ოქრუაშვილმა**. მაგდამ ორ სეტში აჯობა ჩეხ **პეტრა პადალიკოვას** (941) - 6:1, 6:4. ძირითად ბადეში გასაღწევად 18 წლის ქართველს სერიოზული მეტოქის დამარცხება მართებს, მას პირველ ნომრად განთესილი უკრაინელი **იულია ვაკულენკო** (273) ხვდება, რომელიც შარშან ამ დროს მსოფლიოს 31-ე ჩოგანი იყო. ძირითად ბადეში ერთი ქართველი რეიტინგით მოხვდა - **მაკა ჩახნაშვილი** (223) მე-4 ნომრად განთესილ არგენტინელ **ხორგელინა კრავეროს** (182) ეთამაშება. მაკა კრავეროს 6 წლის წინათ სოფიაში ეთამაშა და ორ სეტში მოუგო, მას შემდეგ ქართველის და არგენტინელის გზები არ გადაკვეთილა.

19 წლის **მანანა შაფაქიძემ** (697) წარმატებით გადაჭრა პირველი ამოცანა - პორტუგალიის ქალაქ პორტიმაუში ტურნირის (10 ათასი $) ძირითად ბადეში გაალწია. პირველ ნომრად განთესილმა ქართველმა მესამე წრეში ფრანგი **კამილ შელი** დაამარცხა - 6:2, 6:2. ფინალურ წრეში ჩვენებურმა მე-10 ნომრად განთესილ სლოვაკ **ლუსია ვრშკოვას** (855) მოუგო - 5:7, 6:3, 6:1. სამწუხაროდ, ძირითადი ბადის კენჭისყრამ მანანას არ გაუმართლა - პირველივე მეტოქედ პირველ ნომრად განთესილი რუსი **ნინა ბრატჩიკოვა** (212) ერგო. წყვილთა ბადეში მანანა შაფაქიძე უკრაინელ **იულია პილნიკს** შეეწყვილდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

კადეტთა ნაკრები

# ჯერ ვაგებთ

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე სამი მატჩი მოილია. ქართველებმა ვერც ერთის მოგება მოახერხეს.

პირველ ტურში **გია კაზანჯიანის** შეგირდებმა პოლონეთის ნაკრებთან დიდი სხვაობით დათმეს – 46:104. ქართველებმა განსაკუთრებით სუსტად მეორე პერიოდი ჩაატარეს, რომელშიც მხოლოდ 3 ქულა ჩააგდეს, მეტოქეს კი 24 ქულის მოგროვების უფლება მისცეს.

ქართველთაგან 10-ქულიანი ზღვარი მხოლოდ ორმა კალათბურთელმა გადალახა – **ბექა ბურჯანაძემ** 12 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა, ხოლო **ოთარ ფხაკაძემ** – 13 ქულა.

მეორე შეხვედრა ჩვენებმა უკრაინელებთან დათმეს – 72:81. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ საქართველოს კადეტთა ნაკრებმა ღირსეულად იბრძოლა. სამწუხაროდ, უკრაინასთან მატჩში ჩვენი კალათბურთელების სტატისტიკას ვერსად მივაკვლიეთ.

მესამე მარცხი სლოვენიასთან განვიცადეთ – 56:87.

ათ ქულას ამჯერადაც ორი "გურჯი" ასცდა – ბექა ბურჯანაძე და მისი სეხნია **ნადირაძე**. პირველმა ორმაგი დუბლი გაიფორმა – 15 ქულა, 13 მოხსნა, მეორემ 10 ქულა ჩააგდო.

ქართველი 16-წლამდელები მეოთხე მატჩს საბერძნეთის ნაკრებთან გამართავენ. ცნობისთვის გეტყვით, რომ 6-გუნდიანი ორი ჯგუფიდან ჩემპიონობისთვის ბრძოლას 2-2 ნაკრები აგრძელებს. მათ შორის საქართველოს ნაკრები ველარ მოხვდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სამი სატრანსფერო ამბავი

# გეზი დასავლეთისკენ!

**ვახტანგ გორგასალმა** სიკვდილის წინ თქვა – გეზი დასავლეთისკენო! ამ ფრაზის გამოყენება, შეიძლება პოლიტიკური ხასიათის გაზეთის საქმეა, მაგრამ რა ვქნა, თუ სამი ახალი ამბის გაგების შემდეგ გონებაში ორი სიტყვა ამომიტივტივდა – გეზი და დასავლეთი.

პირველი ამბავი ჩვენი გაზეთის მკითხველმა უკვე იცის: საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო მომხსნელი (საშუალოდ 14.9) და მექულე (20.4), დავით იმნაძე აზერბაიჯანში წავიდა, ცხადია, კალათბურთის სათამაშოდ.

მეორე ამბავი "მაკაბის" უკავშირდება... თბილისის "მაკაბის". ამ გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრმა, დავით იოსელიანმა თურქეთს მიაშურა.

მესამე სიახლე "სასოფლოს" სნაიპერის, მიშა ბერიშვილის ესპანეთში წასვლაა.

ახლა თითოეულ კალათბურთელზე დაწვრილებით მოგახსენებთ და მერე განსაზღვრეთ, საკალათბურთო დასავლეთი უკეთესია, თუ – აღმოსავლეთი.

## ბაქო

კვირას, საქართველოს პირველობის მე-12 ტურის მიმოხილვაში "ბათუმის" გამთამაშებლის, **ნიკო ნოზაძის** ნათქვამი შემოგთავაზეთ – დათო იმნაძე ბაქოში წავიდა, თუმცა რომელ კლუბში, არ ვიცი. ნიკო 3-4 წლის წინათ აზერბაიჯანში თამაშობდა და მეზობელთა ნაკრების მწვანე მაისურაც მორგებული აქვს. თუმცა, ნოზაძემ აზერბაიჯანული კალათბურთის სადღეისო მდგომარეობა არ იცის. ეს მისთვის საინტერესო სულაც არ არის. ჩვენთვის კი საინტერესო იმიტომაა, რომ ბაქოში იმნაძე წავიდა და რომელ გუნდში აგრძელებს კარიერას, ჯერ არ ვიცით. ამის შესახებ არც ბათუმელმა კალათბურთელებმა უწყიან. ჰოდა, კალათბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **მერაბ რატიშვილს** დავურეკე, იქნებ სატრანსფერო ფურცლის გაგზავნისას დათოს ამჟამინდელი კლუბის ვინაობა დაიმახსოვრა-მეთქი.

*- იმნაძე ბაქოში წავიდა, მაგრამ კონკრეტულად რომელ გუნდში, არ ვიცი. სატრანსფერო ფურცელთან დაკავშირებით ურთიერთობა მხოლოდ აზერბაიჯანის ფედერაციასთან გვაქვს. იქაურმა კოლეგებმა გათავისუფლების ფურცელი მოგვთხოვეს, ჩვენ – გავუგზავნეთ. კლუბებთან შეხება არ გვაქვს.* – თქვა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა.

ამის შემდეგ კიდევ ერთხელ "გადავქექეთ" ინტერნეტი, მაგრამ არათუ დათოს ამბავი, ისიც ვერსად ვნახეთ, ამჟამად რამდენი გუნდი თამაშობს მათ ლიგაში.

მოკლედ, აზერბაიჯანში საკალათბურთო ცხოვრებაში ისეთი სიტუაციაა, რაც ვერის ბაღის დარბაზში, ანუ – ბნელა. სწორედ ამ სიბნელეს გამოექცა "ნტდ\თბილისის" ერთ-ერთი დამფინანსებელი **ბაჰრამ აბდინოვი**, გუნდი საქართველოში გადმოიყვანა და თან აზერბაიჯანის ნაკრების ოთხი კალათბურთელი წამოიყვანა. სპორტის სასახლემ, თავის დროზე, ფინელები და მაკედონიელები გააკვირვა და წარმოიდგინეთ, აზერბაიჯანელებზე რა გავლენას იქონიებდა. საკითხს ბაქოდან თუ გადავხედავთ ჩვენი სტატიის სათაური გაგვახსენდება – დასავლეთისკენ, უფრო სწორად ჩრდილო-დასავლეთისკენ ოთხი აზერბაიჯანელის წამოსვლა, აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, თავად მოუძებნეთ სახელი დავით იმნაძის აზერბაიჯანში წასვლის ფაქტს... სამწუხაროა, რომ ასეთი ნიჭიერი კალათბურთელისთვის ბაქოში უკეთესი ხელფასი მოიძებნა, ვიდრე საქართველოში.

## სტამბოლი

**ზაზა ფაჩულია** ამერიკაში სტამბოლიდან წავიდა... კონსტანტინოპოლი საქართველოდან დასავლეთითაა...

ასე რომ, სტამბოლში კალათბურთის სათამაშოდ წასვლა პროგრესული ნაბიჯია. ჰოდა, მაკაბელი დავით იოსელიანის თურქეთში გადასვლა ნამდვილად გამიხარდა. მის შესახებ "მაკაბის" თავკაც **ჯამლეტ ხუხაშვილს** ვკითხეთ.

*- დათო სტამბოლში სინჯებზეა. ჯერჯერობით, არ ვიცი რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას, თუმცა მისი თურქეთში სათამაშოდ დარჩენა თითქმის გადაწყვეტილია,* – განმარტა ბატონმა ჯამლეტმა.

დავით იოსელიანი 1991 წელსაა დაბადებული და 207 სმ სიმაღლის უნივერსალი ფორვარდია. ის საქართველოს მე-18 ჩემპიონატის 8 მატჩში საშუალოდ 10.5 ქულას, 5.6 მოხსნასა და 1.8 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

დათო რომელ თურქულ გუნდთან გააფორმებს კონტრაქტს, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

## ბარსელონა

სტამბოლიც კარგია, ბუდაპეშტიც, მაგრამ მე ბარსელონა მირჩევნია. სწორედ ბარსელონაშია მიხეილ ბერიშვილი. იგი "სასოფლოს" ღირსებას იცავდა და სიახლის შესატყობად სასოფლოელთა თავკაც **მიხეილ კობეშავიძეს** შევეხმიანე. მან თითქმის იგივე თქვა, რაც ჯამლეტ ხუხაშვილმა, ოღონდ სიტყვა სტამბოლი ბარსელონით შეცვალა, ხოლო თურქეთი - ესპანეთით:

*- მიშა ბერიშვილი ბარსელონაში გაემგზავრა. იგი, კარიერას, ალბათ, ესპანეთში გააგრძელებს, თუმცა სადღეისოდ მომავალი კლუბის ვინაობა არ გაურკვევია. როცა სიახლეს შევიტყობ, თქვენც აუცილებლად გეტყვით.*

ბერიშვილი ნოემბრის დასაწყისში NBA-ს განვითარების ლიგის წარმომადგენელმა, "ოკლაჰომამ" დრაფტზე აიყვანა. ამერიკაში სეზონი დაწყებული იყო, როცა მიშა ოკლაჰომაში ჩავიდა. როგორც შევიტყვეთ, მწვრთნელს მისი დამატება სურდა (განაცხადში ორი ადგილი თავისუფალი ჰქონდა, 10 კაცით თამაშობდა), მაგრამ მენეჯერთან შეთანხმებას ვერ მიაღწია და საქართველოში დაბრუნებამ მოუწია.

ნოემბერში, ბერიშვილის დრაფტზე აყვანის საკითხი ბარსელონელი აგენტის, **ხუან კარლოს სებრიანისგან** შევიტყვე. მან მითხრა: *- საქართველოს ჩემპიონატის კალათბურთელთაგან მიხეილ ბერიშვილი მომეწონა, მაგრამ იგი ოკლაჰომაში მიდის. ბერიშვილს შევუთანხმდი, თუ სეზონის დასრულების შემდეგ კარიერის ესპანეთში გაგრძელებას გადაწყვეტს, მაისში ბარსელონაში ჩამოვა.*

როგორც ხედავთ, მიშას მაისამდე მოცდამ არ მოუწია, ოკლაჰომადან თბილისის გავლით ესპანეთში გაემგზავრა. ახლა ხუან კარლოს სებრიანის მარიფათზეა დამოკიდებული, რამდენად ძლიერ კლუბში მოხვდება მიხეილ ბერიშვილი.

ბოლოს, მის სტატისტიკასაც გაგაცნობთ. საქართველოს პირველობაზე ჩატარებულ 9 მატჩში მას საშუალოდ 17.2 ქულა და 8.2 მოხსნა აქვს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



დავით იმნაძე (ბურთით)



დავით იოსელიანი



მიხეილ ბერიშვილი

ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი

# სლალომში უკეთ, ვიდრე ბიათლონში

სლასკ-ბესკიდში მიმდინარე ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის მეორე საშეჯიბრო დღე ქართველი სპორტსმენებისთვის შედარებით უკეთესი გამოდგა. ბიათლონში ჩვენებმა თავი დიდად ვერ გამოიჩინეს - ბიჭებში 86-ე ადგილი გვერგო 91 მონაწილეს შორის, ხოლო გოგონებში 64-ე პოზიცია 70 მონაწილეს შორის. თუმცა ვაჟთა სლალომში ცუდად არ უასპარეზიათ **ჯაბა გელაშვილსა** და **დიმიტრი გედევანიშვილს**. პირველმა მე-20 შედეგი აჩვენა, თუმც აღსანიშნავია ის, რომ თავის ასაკში (1993-წლიანი) მეოთხე პოზიციაზე გავიდა, რაც ურიგო მაჩვენებელი არ არის. გედევანიშვილმა კი, რომელიც **ელენე გედევანიშვილის** ძმაა, საბოლოოდ 33-ე ადგილი დაიკავა.

აკვე აღვნიშნავთ, რომ გიგანტურ სლალომში შეჯიბრებები ფესტივალის ორგანიზატორებმა პროგრამიდან ამოიღეს.

**კახა ბერიძე**

ძიუდო

# პაპინაშვილი მეორეა, ხანჯალიაშვილი მესამე

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა, რომელშიც ასახულია სეზონის პირველი სამი ტურნირის: თბილისის და ბუდაპეშტის მსოფლიოს თასის და პარიზის „დიდი სლემის" შედეგები. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის 1-ელი იანვრიდან რეიტინგი ახლიდან აითვლება და სწორედ ამ რეიტინგის მიხედვით გამოვლინდება 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის მონაწილეთა ვინაობა. ამავე დროს ძველი რეიტინგი აპრილის ბოლომდე ტურნირებზე ძიუდოისტთა განთესვისთვის გამოიყენება, შემდეგ კი სამუდამოდ ისტორიის საკუთრება გახდება. ახალი სისტემის მიხედვით „დიდი სლემის" მოგება სპორტსმენს 300 ქულას ანიჭებს, მსოფლიოს თასში გამარჯვება კი - 100-ს. მაშ ასე, გავეცნოთ ვითარებას წონითი კატეგორიების მიხედვით...

ყველაზე მსუბუქ, 60 კგ წონით კატეგორიაში მსოფლიოს პირველი ძიუდოისტი ფრანგი **დიმიტრი დრაგინია** - 300 ქულა, **ამირან პაპინაშვილი** მეორეა 280 ქულით, ხოლო ავსტრიელი **ლუდვიგ პაიშერი** მესამე 120 ქულით. სხვა ქართველები: 9. **ლევან ჩუბინიძე** - 60 ქულა; 11. **ბეთქილ შუკვანი** - 40; 27. **სოსო ნიჟარაძე** - 16. 66 კგ წონით კატეგორიაში იაპონელი **მასატო უჩიშიბა** ლიდერობს 300 ქულით, ფრანგი **ბენჟამინ დარბელე** 180 ქულით მეორეა. ქართველებს ამ წონაში ჯერჯერობით გვიჭირს: 11. **ნესტორ ხერგიანი** - 60; 28. **მინდია ხომიზური** - 16; 28. **შალვა ქარდავა** - 16; 30 **გიორგი ფერსაშვილი** - 12, 30. **სანდრო იაკობაშვილი** - 12. 73 კგ წონითი კატეგორიის მსოფლიო რეიტინგს სათავეში კორეელი **კი ჩუნ ვანგი** უდგას - 300 ქულა. მეორეზეა კუბელი **იორდანის არენსიბია** - 180, მესამეზე - უკრაინელი **ვლადიმერ სოროკა** - 140. წონაში საუკეთესო ქართველია **ზაზა კედელაშვილი**, ვისაც 60 ქულით მე-11 ადგილი უჭირავს. სხვები: 16. **თენგიზ პაპოშვილი** - 40; 33. **მიხეილ ხომიზური** - 12. 81 კგ-შიც ლიდერი კორეელია - **დაე-ნამ სონგი** (300 ქულა). მეორე ადგილზეც კორეელია, **აე ბუმ კიმი** - 180, მესამე ადგილზეა იაპონელი **მასაჰიკო ტომოუჩი** - 136. **ლევან წიკლაური** 96 ქულით საპატიო, მე-8 ადგილზეა. **გრიგოლ შინჯიკაშვილს** 52 ქულა აქვს, ის მე-14-ეა წონაში. სხვები: 21. **ხვიჩა ხუციშვილი** - 28; 30. **საბა გავაშელიშვილი** - 12.

„ქართულ წონასაც" მივადექით - 90 კგ წონით კატეგორიაში სამეულში ჩვენებური არაა - **ივ მატეო დაფრევილი** (საფრანგეთი) პირველია 300 ქულით, **ანდრეი კაზუსიონაკი** (196 ქულა) - მეორე, მესამეზეა იაპონელი **ტაკაში ონო** 180 ქულით. ქართული ძიუდოს იმედს, **ვარლამ ლიპარტელიანს** 160 ქულა აქვს, ვარლამი მეოთხეა. მე-10 ადგილზეა **ზვიად გოგოჭური** - 60 ქულა. სხვები: 22. **გრიგოლ მამრიკიშვილი** - 20; 30. **მინდია ბოდაველი** - 12. 100 კგ წონით კატეგორიაში **ტაკამასა ანაი** (იაპონია) ლიდერობს - 300 ქულა. მას კვალში ბელარუსი **ევგენი ბიადულინი** უდგას - 240 ქულა, მესამეზეა კუბელი **ორეიდის დესპანე** - 136. ჩვენებში ყველას **დავით ლორიაშვილი** სჯობს 60 ქულით (მე-11 ადგილი რეიტინგში). სხვები: 17. **ნოდარ მეტრეველი** - 36; 24. **ლომერ ჟორჟოლიანი** - 16; 24. **დიმიტრი ტურაშვილი** - 16.

დაბოლოს, მძიმე წონა, რომლის ლიდერი 300 ქულით 2008 წლის მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ძიუდოისტი **ტედი რინერია** (საფრანგეთი). მეორე ადგილზე ტიტულოვანი რუსი **ალექსანდრ მიხაილინია** 180 ქულით. **ზვიად ხანჯალიაშვილი** 120 ქულით მესამე ადგილს იყოფს უზბეკ **აბდულო ტანგრიევთან** და ფრანგ **პიერ რობინთან**. მე-7 ადგილზეა **ადამ ოქრუაშვილი**, მას 100 ქულა აქვს. სიაში კიდევ ერთი ქართველია - **ლაშა გუჯეჯიანი** 60 ქულით მე-12 ადგილზეა. 21-22 თებერვალს გერმანიის ქალაქი ჰამბურგი გრანპრის მასპინძლობს, სადაც მოგებისთვის უკვე 200 ქულაა განსაზღვრული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ხოტენაშვილი და ბაციაშვილი გერმანიაში იბრძვიან

თურქული საკლუბო ტურნირის შემდეგ ქართველ მოჭადრაკეებს შედარებით უქმე დროება დაუდგათ და საერთაშორისო ტურნირებში არ თამაშობენ. თუმცა აქა-იქ მაინც გამოერევა ზოგიერთი ჩვენებური, ვინც უცხოეთს სტუმრობს. **კახა შალამბერიძის** და **ვალერიანე გაფრინდაშვილის** ირანულ ტურნირზე უკვე მოგითხრეთ, ახლა კი თვალი მივადევნოთ გერმანულ ქალაქ ფალცში მიმდინარე ძლიერ ღია საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც ორი ქართველი ქალბატონი - **ბელა ხოტენაშვილი** და **ნინო ბაციაშვილი** ცდიან ძალებს. სხვათა შორის, ამ ტურნირში ბელგიელი **ვადიმ მალახატკოც** თამაშობს, რომელმაც ერთი კვირის წინათ ირანში ის ტურნირი მოიგო, სადაც შალამბერიძე და გაფრინდაშვილი ვიხილეთ; ვადიმი იქ რეიტინგფავორიტი იყო, გერმანიაში კი მხოლოდ მეხუთეა. ცნობილ დიდოსტატთა გვარიანად დიდი რაოდენობა შეიკრიბა გერმანიაში. პირველი ნომერი ჰოლანდიელი **სერგეი ტივიაკოვია**, რომელიც ნაკრებში მეორე დაფას უზის. მეორე ნომერია გერმანელი **ალექსანდრ გრაფი**, ვინც თავისი ქვეყნის პირველი ნომერია და დრეზდენის ოლიმპიადაზეც ღირსეულად სწია ლიდერის ჭაპანი... მესამე ნომერი უკრაინელი **ვლადიმერ ბაკლანია**, მეოთხე - ასევე უკრაინელი **იური კუზუბოვი**. ქართველი ქალბატონების განთესვის ნომრები დაბალია - ხოტენაშვილი 62-ეა, ბაციაშვილი კი 63-ე; რეიტინგული მაჩვენებლები ორივეს ერთნაირი აქვთ - 2350.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 2 ტურად იმართება. დღეისათვის სამი ტურია გასული. ჩვენებურები ნორმალურად თამაშობენ - ორივეს 2-2 ქულა მოუგროვებიათ, თუმცა განსხვავება იმაშია, რომ ბელამ პირველი ორი პარტია მოიგო შედარებით სუსტებთან და მესამეში დამარცხდა ძლიერ გერმანელ დიდოსტატთან **თომას ლუთერთან** (2536), ხოლო ბაციაშვილმა პირველ ტურში დაბალრეიტინგიანთან გამარჯვებას მეორე და მესამეში ასევე არცთუ მაღალი რეიტინგის მეტოქეებთან ყაიმები მიაყოლა. ამან ნინო გარკვეულწილად უკვე აზარალა - კოეფიციენტი დაუგდო და ამადაც არის, რომ 73 ორქულიანთა შორის 44-ეა; საერთო ცხრილში კი ზუსტად მეასე პოზიცია უკავია. ამ მხრივ უკეთესი სურათია ბელას შემთხვევაში: ორქულიანებში **მარია მუზიჩუკთან** ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს, საერთო ცხრილში კი 57-ეა. ალბათ მიხვდებოდით, რომ ფალცში ძალიან ბევრმა მსურველმა მოიყარა თავი - სულ 325 მოჭადრაკე მიუჯდა დაფას. ქართველთა წარმატებას კი ველით, მაგრამ თუ ობიექტურები ვიქნებით, ბელას და ნინოს მთავარი შანსი უფრო ქალთა შორის აქვთ. კონკურენტები არც აქ აკლიათ - გერმანელი **ელიზაბეტ პეჰცი**, პოლონელი დიდოსტატი **ნატალია ზდებსკაია** და უკრაინელი მარია მუზიჩუკი მსოფლიოს ქალ მოჭადრაკეთა მოწინავე რიგებში ირიცხებიან.

მეოთხე ტურში ბელა ხოტენაშვილი შავებით გერმანელ **უდო ლაოს** ხვდება, ხოლო ნინო ბაციაშვილიც შავებით, ასევე გერმანელის - **დენის ჰანკელის** დამარცხებას ეცდება. ორივე მეტოქე დაბალრეიტინგიანია - უდო 150-ეა, ხოლო ჰენკელი - 146. ასე რომ, ჩვენებურებს წინ წაწევის შესანიშნავი შანსი აქვთ.

**ზვიად შათირიშვილი**

ძიუდო

ინტერვიუ დავით ხახალეიშვილთან

# გული მწყდება, რომ პოტენციალი ბოლომდე ვერ ამოვწურე



გასული საუკუნის 90-იანი წლები ქართული სპორტისთვის ყველაზე მძიმე გადასატანი გამოდგა. 1993-94 წლებში ქართველ სპორტსმენთა დიდმა ნაკადმა საზღვარგარეთს შეაფარა თავი და სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ფორმა მოირგო. მაგრამ იყვნენ ისეთი სპორტსმენები, რომლებმაც უდიდესი გაჭირვების მიუხედავად, საქართველოში ამჯობინეს დარჩენა და ყველაფერი გააკეთეს, რომ ქართული სპორტისთვის დიდება მოეტანათ. ასეთთა კატეგორიას მიეკუთვნება ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, მძიმეწონოსანი დავით ხახალეიშვილი. ქუთაისელი გოლიათის გამარჯვების ალსანიშნავადაც ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად შესრულდა საქართველოს ჰიმნი და ყველა დროშაზე მაღლა აფრიალდა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი, სამფეროვანი დროშა. რომ არა ატლანტის ოლიმპიადაზე მომხდარი გაუგებრობა, მას ზედიზედ ორჯერ შეეძლო ოლიმპიური ოქროს მოპოვება. ხახალეიშვილს მსოფლიოში უდიდეს პატივს მიაგებდნენ. მას არაერთ ქვეყანაში ეპატიჟებოდნენ და „ოქროს კოშკებსაც“ ჰპირდებოდნენ, მაგრამ მშობლიური ქვეყნისა და ქალაქის სიყვარულმა აქ დარჩენა გადააწყვეტინა. დავით ხახალეიშვილი დღესაც მშობლიურ ქუთაისში ცხოვრობს და კვლავაც ქართული ძიუდოს სამსახურშია. ოლიმპიურ ჩემპიონს ძიუდოს დარბაზში ვესტუმრეთ და მრავალ საინტერესო თემაზე ვესაუბრეთ.

**— ბატონო დავით, თავდაპირველად თქვენი ახლანდელი საქმიანობის შესახებ გვიამბეთ...**

— ქუთაისში ქალაქის ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვარ და ჯგუფების საწვრთნელ პროცესებს კოორდინაციას ვუწევ. უახლოეს მომავალში, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ინიციატივით რეგიონებში დაგეგმილია ადგილობრივი ფედერაციების დაფუძნება, რათა ქვეყანაში ძიუდოს პოპულარობა გაიზარდოს და სპორტის ეს სახეობა კიდევ უფრო განვითარდეს. ჩვენთვის ეს კარგი საშუალება იქნება იდეებისა და ნოვაციების რეალიზაციისთვის. 19 თებერვალს ჩატარდება იმერეთის ძიუდოს ფედერაციის არჩევნები და ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე ვიყრი კენჭს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მყავს მეგობრები და ჩვენს რეგიონში ძიუდოს ალმასვლისთვის ამ კავშირებს აქტიურად გამოვიყენებ.

**— კონკრეტულად, რის გაკეთებას გეგმავთ?**

— ძიუდო მაღალი ტემპით ვითარდება და ჩვენც უნდა ავუწყოთ ფეხი. ბავშვებს უნდა შევუქმნათ ყველანაირი პირობა, რომ მაქსიმალურად მოახდინონ თავიანთი ნიჭის რეალიზება. გამოცდილების შესაძენად, რაც შეიძლება ბევრ საერთაშორისო ტურნირზე უნდა მივავლინოთ ჩვენი ახალგაზრდები. ჩემი თაობის ძიუდოისტებს, რომლებთანაც ახლაც მჭიდრო კავშირები მაქვს, დღეს მსოფლიოსა და ევროპის ფედერაციებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტი უკავიათ. გარდა ამისა, ბევრი მეგობარი მყავს იაპონიაში, სადაც ადრე ვცხოვრობდი კიდეც და ამ ქვეყანაში 1988 წლის შემდეგ 24-ჯერ ვარ ნამყოფი. ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ბრაზილიელ და ამერიკელ ძიუდოისტებთანაც. მათი დახმარებით ჩვენი ბავშვებისთვის ბევრი კარგი საქმის გაკეთებას შევძლებთ. უნდა აღვნიშნო, რომ ირაკლი ცირეკიძემ ოლიმპიადაზე გამარჯვებით კიდევ უფრო გაამყარა ძიუდო ქუთაისში. როდესაც ქალაქს ძიუდოში ორი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს ეს იმაზე მიანიშნებს, რომ სპორტის ამ სახეობას აქ უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ამიტომაც, ვფიქრობ, იმერეთში ფედერაციის შექმნა ახალ სიმაღლეზე აიყვანს სპორტის ამ სახეობას.

**— ბუნებრივია, მხოლოდ უცხოელი მეგობრების დახმარების იმედად ვერ იქნებით. ფედერაციას სახსრებიც დასჭირდება. ვინ იქნება თქვენი დამფინანსებელი?**

— გარკვეული მხარდაჭერა ალბათ საქართველოს ძიუდოს ფედერაციისგანაც გვექნება, მაგრამ ძირითადად მაინც იმერეთისა და ქუთაისის ხელმძღვანელობის თანადგომის იმედი გვაქვს. ქალაქის მერია ახლაც აქტიურად გვეხმარება, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ადრე მხოლოდ ქვეყნის შიგნით გამართულ ტურნირებში ვახერხებდით მონაწილეობას, ახლა მათი ფინანსური მხარდაჭერის წყალობით ჩვენმა ძიუდოისტებმა უცხოურ ტურნირებშიც იასპარეზეს. წლეულს, იანვარში, ჩვენი გუნდი კიევში იმყოფებოდა. მალე მინსკსა და ბალტიისპირეთში მივავლენთ ჩვენს სპორტსმენებს. შვედეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებასაც ვაპირებთ.

ქალაქის დახმარებით, ხშირად გვაქვს შეკრებები. შეგვიძინეს უნიფორმები და ეკიპირების პრობლემაც მოიხსნა. წლეულს ქუთაისში მეშვიდედ ჩატარდება აკაკი კიბორძალიძის ხსოვნის ტურნირი, რომელსაც ევროპის ფედერაციამ საერთაშორისო სტატუსი მიანიჭა. ვაპირებთ ქუთაისში ძიუდოს დიდი ზეიმი მოვაწყოთ და ქალაქის მხარდაჭერა ამ საქმეშიც მნიშვნელოვანი იქნება.

**— სხვა სიახლეებზე რას იტყვით. როგორც ვიცით, „ხუთშაბათობის“ შემოღებას აპირებთ. კონკრეტულად, რა იგულისხმება ამ იდეაში?**

— დიახ, უკვე დავნერგეთ კიდეც ეს სიახლე. ყოველი კვირის ხუთშაბათი გამოცხადებულია ერთობლივი წვრთნების დღედ. იმერეთის რეგიონებიდან მოწვეულია ყველა, სადაც ძიუდოს სკოლა ფუნქციონირებს და შედგება ერთობლივი წვრთნები. ეს ახალგაზრდებს დიდად წაადგება და ჩვენც გვექნება ინფორმაცია, თუ ვის რა პოტენციალი გააჩნია. ასეთი გზით მეტი ტალანტის აღმოჩენაა შესაძლებელი.

**— თქვენი და ირაკლი ცირეკიძის პირადი მწვრთნელი ომარ მერაბიშვილი, რომელიც, სამწუხაროდ, პეკინის ოლიმპიადამდე გარდაიცვალა, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ამბობდა, ცირეკიძე ოლიმპიური ჩემპიონი გახდებაო. უფრო ადრე იმავეს თქვენც გიწინასწარმეტყველებდათ. მოკლედ, თქვენში ის თავიდანვე ჩემპიონს ხედავდა. თქვენ თუ შეგიძლიათ იმავეს თქმა რომელიმე ახალბედა ძიუდოისტზე?**

— ომარ მერაბიშვილს სპორტსმენის აღმოჩენის და მისი სპორტული კარიერის წინასწარ განჭვრეტის უდიდესი ნიჭი ჰქონდა. ამ ადამიანმა ქართული ძიუდოს განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა. ორი ოლიმპიური ჩემპიონი აღზარდა და ამით ყველაფერი ნათქვამია... დღესდღეობით კი რომელიმე ბავშვზე ავანსის გაცემა ძალიან რთულია. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ წინასწარ ვერ ვიტყვი, მათგან ვინ მიაღწევს დიდ წარმატებებს. ამის განსაზღვრა მე არ შემიძლია. ქართულ ძიუდოს აქვს ამოუწურავი რესურსი და ვფიქრობთ, რომ ჩვენი შედეგებით ქართველ ხალხს არაერთხელ გავახარებთ.

**— ქუთაისის ძიუდოს დარბაზებში შექმნილ ვითარებაზე რას გვეტყვით?**

— ტატამები ყველა დარბაზშია. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის და სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით ამ მხრივ პრობლემა აღარ გვაქვს. რაც შეეხება დარბაზებს, ყველაზე კარგ მდგომარეობაში ყოფილი სკოლა-ინტერნატის დარბაზია და იქ ახლა მეოთხე ტატამის გაშლას ვაპირებთ.

მსურველთა ნაკადი უზარმაზარია. გვინდა, რომ ამ ბავშვებს კარგი პირობები შევუქმნათ. რეზინის ქარხნის ტერიტორიასთან არსებულ დარბაზში, სადაც წლების განმავლობაში ომარ მერაბიშვილი მოღვაწეობდა, ახლა მისი ვაჟი მერაბ მერაბიშვილი ავარჯიშებს მოზარდებს. ამ დარბაზის მდგომარეობა უკეთესის სურვილს ტოვებს და დარწმუნებული ვარ, მისი კეთილმოწყობა ირაკლი ცირეკიძის ინტერესებშიც იქნება. ოლიმპიური ჩემპიონის სიტყვას დიდი წონა აქვს და დარწმუნებული ვარ, მისი თანადგომით ეს დარბაზიც მოწესრიგდება.

**— ახლა თქვენი სპორტული კარიერის გამორჩეული ეპიზოდები გავიხსენოთ...**

— ჩემი კარიერა ძალიან საინტერესოდ განვითარდა. იყო დიდი წარმატებებიც, ჩავარდნებიც და გულდასაწყვეტი ისტორიებიც... ძალიან მძიმე წლებში მომიწია ასპარეზობამ. ისეთი პერიოდი იყო სპორტისთვის არავის ეცალა და სპორტის გადასარჩენად არაფერი კეთდებოდა. ურთულეს პირობებში გვიხდებოდა ტურნირებისთვის მზადება, ამას ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან განაწყენებაც ემატებოდა... 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე გაერთიანებული გუნდის შემადგენლობაში რომ ვიასპარეზე, სამშობლოს მოღალატედაც კი გამომაცხადეს. არადა, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად სწორედ ჩემი გამარჯვების შემდეგ შესრულდა საქართველოს ჰიმნი და აღიმართა ჩვენი ქვეყნის დროშა. შემდეგ ქვეყნის ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად ჩემ მიმართ დამოკიდებულებაც შეიცვალა და მერე გმირადაც კი გამომაცხადეს.

**— გავიხსენოთ ბარსელონის ოლიმპიადის ფინალი, სადაც თქვენ ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი იაპონელი ნაოია ოგავა დაამარცხეთ და ოლიმპიური ოქრო მოიპოვეთ...**

— ოლიმპიური ჩემპიონობა ჩემი კარიერის გვირგვინი იყო და ბარსელონაში განვითარებულ მოვლენებს სიამოვნებით გავიხსენებ, თუმცა მინდა ცოტა ადრიდან დავიწყო. 1989 წელს იუგოსლავიაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ოგავამ ჩემი მეგობარი და თანაქალაქელი აკაკი კიბორძალიძე დაამარცხა. ორი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში იაპონელს მეც შევხვდი და ოგავა აქაც გამარჯვებული გამოვიდა. რევანშის წყურვილი მკლავდა და ამის საშუალება ოლიმპიადაზე მომეცა. არადა, ოლიმპიადამდე ერთი კვირით ადრე ისიც არ იყო გადაწყვეტილი, ვინ იასპარეზებდა ბარსელონაში, მე თუ ჩემი კონკურენტი სერგეი კასარატოვი. ყველაფერი პოდოლსკში გამართულმა საკონტროლო ორთაბრძოლამ გადაწყვიტა, სადაც კასარატოვი დავამარცხე და გაერთიანებული გუნდის თავკაცებმა ფსონი ჩემზე დადეს. რაც შეეხება ფინალურ ორთაბრძოლას, ის ყველაზე ღირებული ეპიზოდია ჩემს კარიერაში. მახსოვს, დარბაზი გატენილი იყო იაპონელი გულშემატკივრებით, რომლებიც მხურვალედ ქომაგობდნენ ოგავას. იაპონელების დელეგაციაში 30-მდე კაცი იყო, როცა მე თითო-ოროლა კაცი მქომაგობდა. ოგავას, რომელიც ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი იყო, ოლიმპიური ოქრო არ ჰქონდა მოპოვებული და მისგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდნენ, ამიტომ აქ ფსიქოლოგიურმა მომენტმაც დიდი როლი ითამაშა. ოგავა ფინალში ძალიან დაბნეული და შებოჭილი იყო. ამით ვისარგებლე და მეტოქე ორი ვაზარით დავამარცხე.

**— 18 წლის შემდეგ თქვენი წარმატება კიდევ ერთმა ქუთაისელმა ძიუდოისტმა ირაკლი ცირეკიძემ გაიმეორა. ალბათ, ირაკლის ორთაბრძოლას დიდი ემოციებით ადევნებდით თვალს...**

— დიდი სურვილი მქონდა, რომ ქართულ დელეგაციაში მოვხვედრილიყავი და პეკინში ირაკლის გვერდით ვყოფილიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა. ირაკლის გამოსვლას ტელევიზორით ვადევნებდი თვალს. პერშინის დამარცხების შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ ირაკლი ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა. პუტინის ფავორიტის ბეჭებზე გაკვრით, მან ომისგან დაზაფრულ ქართველ ხალხს დიდი სიხარული მოუტანა. ამ გამარჯვების შემდეგ ირაკლი ფსიქოლოგიურად ისე გამაგრდა, რომ ფინალის მოგება უკვე ტექნიკის საქმე იყო. გადამწყვეტი ორთაბრძოლის დაწყებამდე მის ალჟირელ მეტოქეს ეტყობოდა, რომ მეორე ადგილითაც კმაყოფილი იქნებოდა და საბოლოოდ ასეც მოხდა. ცირეკიძე უდიდესი პოტენციალის სპორტსმენია და ვისურვებდი, რომ ირაკლი ამ სიხარულის ფონზე არ გადაიღალოს. დამერწმუნეთ, ეს მისი მაქსიმუმი არ არის, ირაკლის კიდევ მეტის გაკეთება შეუძლია.

**— კარგი, ისევ ისტორიას დავუბრუნდეთ. თქვენგან ატლანტის ოლიმპიადაზეც ოქროს მედალს ელოდებოდნენ, მაგრამ აწონაზე დაგვიანების გამო ტურნირიდან მოგხსნეს... ალბათ, ეს იყო ყველაზე ტრაგიკული მომენტი თქვენს კარიერაში...**

— 1996 წელს მომხდარი ამბები მთელმა საქართველომ იცის და ამის გახსენებაც არ მინდა. ეს იყო არაპროფესიონალიზმისა და არაორგანიზებულობის უპრეცედენტო გამოვლინება, მაგრამ არა სპორტსმენების მხრიდან. ჩვენი საქმე ოლიმპიადაზე ასპარეზობა და გამარჯვება იყო. სამწუხაროდ, პასუხისმგებელი პირების მიერ დაშვებული შეცდომების გამო უდიდესი შანსი გავუშვი ხელიდან.

**— ატლანტის ოლიმპიადაზე მომხდარმა ამბავმა თქვენს კარიერას დიდი დაღი დაასვა. არადა, ჯერ კიდევ შეგეძლოთ წარმატებების მიღწევა...**

— ოლიმპიადის შემდეგ სამბოში ორჯერ გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი, რითაც გარკვეული რეაბილიტაცია მოვახდინე და რწმენა ჩავუნერგე საკუთარ თავს. ამის შემდეგაც გავიმარჯვე რამდენიმე ტურნირზე და სხვადასხვა შეჯიბრებაზე, მაგრამ მაინც გული მწყდება, რომ ჩემი პოტენციალი ბოლომდე ვერ ამოვწურე. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ქვეყნისთვის ურთულეს წლებს დაემთხვა ჩემი სპორტული კარიერის პიკი. 1991 წლის შემდეგ 7 წელიწადი ინერციით ვიარე. თითქმის მოუმზადებელი გავდიოდი შეჯიბრებებზე. ისე ვხდებოდი ევროპის ჩემპიონი და პრესტიჟული ტურნირების გამარჯვებული, ჩემი მომზადების დონე პრაქტიკულად ნულის ტოლი იყო. დღევანდელი მხარდაჭერის პირობებში ალბათ ათჯერ მეტის მიღწევას მოვახერხებდი. მაშინ კი არც სრულფასოვანი ვარჯიშები იყო, არც ანაზღაურება და მადლობასაც არავინ გეუბნებოდა. სწორედ ეს არის ჩემი მოუშუშებელი იარა.

**— თქვენი ვაჟები მამის კვალს გაჰყვნენ და ძიუდოში ვარჯიშობენ. მათ პერსპექტივებზე რას იტყვით?**

— სამი შვილი მყავს: როსტომი, რეზო და ქეთევანი. ბიჭები ძიუდოში ვარჯიშობენ. ჯერ მათზე საუბარი ნაადრევია. როსტომი 15 წლისაა. ტურნირიც მოიგო, მაგრამ ეს არ არის რაიმეს განმსაზღვრელი. ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ დასამტკიცებელი. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვეცდები კარგი პირობები შევუქმნა და დანარჩენი მათ ნიჭსა და მონდომებაზე იქნება დამოკიდებული.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

ფრანგული ჩემპიონატი

ლეგიონერი

## მოგებას და წაგებას

საფრანგეთში ევროპის სანაკრებო ბატალიების პარალელურად, მეორე დივიზიონის გათამაშების ორი გამოტოვებული შეხვედრა გაიმართა. სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულმა ლიდერმა **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგმა“ **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** „აჟენს“ უმასპინძლა და საკმაოდ თანაბარ, ურთულეს ბრძოლაში - 32:28 დაამარცხა.

ქართველთაგან შეხვედრაში მარტო ფეიქრიშვილი მონაწილეობდა. ანტონი თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთო. ჩხაიძე და მაჩხანელი საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდნენ პორტუგალიის წინააღმდეგ. პარიზელებმა ამ მოგების შემდეგ 67 ქულა დააგროვეს და მეორეადგილოსან „ალბის“ 10 ქულით უსწრებენ. 54 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა „აჟენი“.

კიდევ ერთი მარცხი იწვნია ლიდერთა ჯგუფის ყოფილმა წარმომადგენელმა **გიორგი ულენტის, მალხაზ ურჯუკაშვილისა** და **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა“. ჩვენებურთა ეს გუნდი შინ დამარცხდა „პოსთან“ - 13:22. გიორგი ულენტი, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, მე-40 წუთზე მატჩის არბიტრმა მოედნიდან ათი წუთით გააძევა. ურჯუკაშვილი და დათუნაშვილი განაცხადში არ იყვნენ. „ორიაკი“ ამჟამად 42 ქულით მე-10 ადგილზეა.

საფრანგეთი. II დივიზიონი. **1. მეტრო რასინგი - 67 ქულა, 2. ალბი - 57, 3. აჟენი - 54, 4. ლა როშელი - 54, 5. ოიონაქსი - 53, 6. პო - 52, 7. ლიონი - 47, 8. გრენობლი - 45, 9. ტარბი - 42, 10. ორიაკი - 42, 11. ბორდო - 41, 12. ოში - 37, 13. ნარბონი - 37, 14. კოლომიე - 36, 15. ბეზიე - 27, 16. ბურგ ან ბრესი - 21.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



მსოფლიო კლასიფიკაცია

## რეიტინგში დავქვეითდით

ერთა თასის გათამაშებაში, შინ პორტუგალიის წინააღმდეგ ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ - 20:20, საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს რეიტინგში ქულები დააკლდა. შედეგად ჩვენმა გუნდმა მე-14 ადგილიდან ერთი საფეხურით ჩაინაცვლა და ამჟამად 68,48 ქულით მეთხუთმეტეა. პორტუგალიელებს რეიტინგში ნამატი კი აქვთ, მაგრამ ისევ 23-ე საფეხურზე არიან.

საკმაოდ დაგვიახლოვდა დაგროვებული ქულებით რუმინეთის ნაკრები. „მუხის ფოთლებს“ ამჟამად 68,17 ქულა აქვთ და მე-16 ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ რუმინელებმა ერთა თასის მეორე ტურში სტუმრად დაამარცხეს გერმანიის ნაკრები - 22:0.

მსოფლიოს კლასიფიკაცია: **1. ზელანდია - 92,68 ქულა 2. ს.აფრიკა - 89, 45 3. ავსტრალია - 85,86 4. უელსი - 82,51 5. არგენტინა - 81,56 6. ირლანდია - 80,49 7. ინგლისი - 80,37 8. საფრანგეთი - 79,10 9. შოტლანდია - 75,47 10. ფიჯი - 75,24 11. იტალია - 73,28 12. სამოა - 72,57 13. ტონგა - 70,05, 14.კანადა - 69,12 15. საქართველო - 68,48 16. რუმინეთი - 68,17 17. იაპონია - 68,05 18. რუსეთი - 65,32 19. აშშ - 65,55 20. ურუგვაი - 62,78 21. ესპანეთი - 60,48 22. კორეა - 59,02 23. პორტუგალია - 58,88 24. ჩილე - 56,84 25. ნამიბია - 56,82, 26. გერმანია - 56,42.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ცურვა

# პოლიციამ ფელპსს თავი დაანება





სამხრეთ კაროლინის შტატის პოლიციამ გადაწყვიტა არ წაუყენოს ბრალდება 14-გზის ოლიმპიურ ჩემპიონ **მაიკლ ფელპსს**. სამართალდამცავებს მარიხუანის მოწევაში ეჭვმიტანილი სპორტსმენის წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები არ აღმოაჩნდათ, არადა, ლეგენდარულმა მოცურავემ საქვეყნოდ აღიარა თავისი დანაშაული.

*"მაიკლ ფელპსი - ამერიკის ნამდვილი გმირია, მაგრამ ჩვენი შტატის კანონების დარღვევის შემთხვევაში, მას ვარსკვლავური სტატუსი ვერ უშველის. თუმცა ამ შემთხვევაში, ჩვენ არასაკმარისი მტკიცებულებები გვქონდა და ამის გამო არ წავუყენეთ ბრალი მოცურავეს. მართალია, ყველამ ვიხილეთ ბრიტანულ გაზეთში გამოქვეყნებული ფოტო და მაიკლის აღიარებაც მოვისმინეთ, მაგრამ პირდაპირი მამხილებელი საბუთები არ გაგვაჩნია"*, - ამბობს რიჩლენდის შერიფი **ლეონ ლოტა**.

პოლიციის ამ განცხადების შემდეგ, მომენტალურად გავრცელდა ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენის ოფიციალური განცხადება, რომელშიც ის კმაყოფილებას გამოთქვამს ამ ამბის კარგად დასრულების გამო.

*"მოხარული ვარ, ეს ისტორია სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა, - წერია ფელპსის განცხადებაში. - შეცდომა დავუშვი და კარგი გაკვეთილიც მივიღე. მსგავსი რამ არასოდეს განმეორდება. აქვე მინდა გავაფრთხილო ახალგაზრდობა: დაფიქრდით, როცა მსგავსი საქციელის ჩადენას მოისურვებთ - ნებისმიერმა არასწორმა გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, თქვენს ახლობლებს უდიდესი ტკივილი მიაყენოს. მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს ოჯახსა და თაყვანისმცემლებს ამ რთულ პერიოდში გაწეული მხარდაჭერისთვის".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ბიათლონი

## მსოფლიოს ჩემპიონატი

**კაცები**

**20 კმ. ინდივიდუალური**

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორ) - 52:28.0 (0+0+2+1); 2. კრისტოფ შტეფანი (გერ) - +14.1 (1+0+0+0); 3. იაკოვ ფაკი (ხორ) - +17.1 (0+0+0+1); 4. სიმონ ფურკადი (საფ) +18.0 (0+0+1+1); 5. დავიდ ეკჰოლმი (შვედ) - +26.3 (0+1+0+0); 6. დომინიკ ლანდერტინგერი(ავსტრია) - +36.0 (0+0+1+1).

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**აილენდერსი-პიტსბურგი 3:2 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 კამპოლი-6 (ბერგენჰაიმი-6, ნილსენი-14), 1:1 მალკინი-25, 2:1 ნილსენი-3 (ჰილბერტი-11, ბერგენჰაიმი-7), 2:2 რაიან უიტნი-2 (კროსბი-52, გონჩარი-1).

ბულიტები გაიტანეს: ნილსენი (აილენდერსი), სიკორა (პიტსბურგი), ტამბელინი (აილენდერსი).

**კოლამბუსი-დალასი 2:3 (ბ)**

0:1, 2:1, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 ბ. რიჩარდსი-16 (ერიქსონი-16, სატერბი-4), 1:1 უმბერგერი-18 (რასელი-14, ვორაჩეკი-20), 2:1 უმბერგერი-19 (ბეკმენი-4, ტორესი-5), 2:2 ერიქსონი-27 (დელეი-15, რიბეირო-37).

ბულიტები გაიტანეს: ნილი (დალასი).

**სენტ ლუისი-რეინჯერსი 2:1**

0:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 კოლაიაკოვო-3 (ე. მაკდონალდი-15), 1:1 კორპიკოსკი-6 (კელეჰანი-9, გომესი-29), 2:1 კრომბინი-10 (ჯეკმენი-13, მაკლემანი-11).

**ნეშვილი-ოტავა 0:2**

0:2, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 ფოლინო-10 (ფიშერი-12), 0:2 ჰიტლი-26 (სპეცა-25, ლი-7).

**ფინიქსი-ედმონტონი 1:3**

0:0, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 ჰემსკი-18 (პენერი-15, ჰორკოფი-25), 1:1 ყოვანოვსკი-5 (დოუნი-30, ლინდსტრიომი-7), 1:2 სურეი-15 (ჰემსკი-32, გილბერტი-28), 1:3 ჰორკოფი-13 (ბროძიაკი-8, გილბერტი-29).

**ლოს ანჯელესი-ატლანტა 6:7 (ბ)**

2:4, 1:1, 3:1, 0:0

გოლები: 0:1 ლიტლი-23 (კოვალჩუკი-32, ბოგოსიანი-3), 0:2 კოვალჩუკი-28 (პეინსი-24, ვიაჩ. კოზლოვი-31), 0:3 ტ. უაიტი-15 (ლიტლი-15, ბოგოსიანი-4), 1:3 ჯ. ჯონსონი-2 (დაუტი-13, ო'სალივანი-19), 1:4 რისონერი-9 (პეველი-18, ვიაჩ. კოზლოვი-32), 2:4 სტოლი-14 (ფროლოვი-19, დ. ბრაუნი-22), 3:4 ფროლოვი-23 (ო'სალივანი-20, კოპიტარი-28), 3:5 კ. სტიუარტი-3 (ენსტრიომი-11, რისონერი-11), 3:6 კოვალჩუკი-29 (ტ. უაიტი-34, ბოგოსიანი-5), 4:6 კოპიტარი-17 (დაუტი-14, ჯ. ჯონსონი-1), 5:6 გოტიე-1 (კოპიტარი-29, ფროლოვი-20), 6:6 კოპიტარი-18 (დ. ბრაუნი-23, ჰანძუში-16).

ბულიტები გაიტანეს: კოპიტარი (ლოს ანჯელესი), ვიაჩ. კოზლოვი (ატლანტა), კრისტენსენი (ატლანტა).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ნიუ ჯერსი დევილზის" ფორვარდი **ზაკ პარიზე** დაასახელა. ამ თავდამსხმელმა 4 მატჩში 4 გოლი გაიტანა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა დააგროვა, "დევილზმა" კი ოთხივე შეხვედრა მოიგო.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "კალგარი ფლეიმზის" ცენტრფორვარდ **მეტიუ ლომბარდის** ერგო, რომელმაც 7 ქულას (3 გოლი+4 პასი) მოუყარა თავი.

მესამე ვარსკვლავი გახდა "ატლანტა ტრეშერზის" თავდამსხმელი **ილია კოვალჩუკი**. მან ყველაზე მეტი - ხუთი გოლი გაიტანა და "ანაჰაიმთან" მატჩში კარიერაში მე-11 ჰეთ-თრიკი მიითვალა.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 57 | 39 | 10 | 8 | 86 |
| 2. ნიუ ჯერსი | 57 | 37 | 17 | 3 | 77 |
| 3. ვაშინგტონი | 57 | 36 | 16 | 5 | 77 |
| 4. ფილადელფია | 55 | 30 | 16 | 9 | 69 |
| 5. მონრეალი | 57 | 30 | 21 | 6 | 66 |
| 6. რეინჯერსი | 58 | 30 | 22 | 6 | 66 |
| 7. ფლორიდა | 56 | 28 | 20 | 8 | 64 |
| 8. ბაფალო | 57 | 29 | 22 | 6 | 64 |
| 9. კაროლინა | 57 | 28 | 24 | 5 | 61 |
| 10. პიტსბურგი | 58 | 27 | 25 | 6 | 60 |
| 11. ოტავა | 55 | 22 | 25 | 8 | 52 |
| 12. ტორონტო | 56 | 21 | 25 | 10 | 52 |
| 13. ტამპა ბეი | 56 | 19 | 26 | 11 | 49 |
| 14. ატლანტა | 58 | 21 | 32 | 5 | 47 |
| 15. აილენდერსი | 56 | 17 | 33 | 6 | 40 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 54 | 37 | 8 | 9 | 83 |
| 2. დეტროიტი | 57 | 37 | 12 | 8 | 82 |
| 3. კალგარი | 56 | 33 | 18 | 5 | 71 |
| 4. ჩიკაგო | 54 | 31 | 15 | 8 | 70 |
| 5. დალასი | 56 | 28 | 21 | 7 | 63 |
| 6. ედმონტონი | 56 | 29 | 23 | 4 | 62 |
| 7. ვანკუვერი | 56 | 27 | 21 | 8 | 62 |
| 8. კოლამბუსი | 57 | 28 | 23 | 6 | 62 |
| 9. ანაჰაიმი | 58 | 28 | 25 | 5 | 61 |
| 10. მინესოტა | 55 | 28 | 24 | 3 | 59 |
| 11. ლოს ანჯელესი | 55 | 24 | 22 | 9 | 57 |
| 12. ნეშვილი | 57 | 27 | 27 | 3 | 57 |
| 13. სტ. ლუისი | 56 | 24 | 25 | 7 | 55 |
| 14. ფინიქსი | 58 | 25 | 28 | 5 | 55 |
| 15. კოლორადო | 57 | 26 | 30 | 1 | 53 |

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 82 (25+57) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 74 (41+33) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 73 (21+52) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 70 (24+46) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 69 (34+35) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 64 (13+51) |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 64 (23+41) |
| მარკ სავარი (ბოს) | 63 (21+42) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 63 (18+45) |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 61 (29+32) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 41 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 34 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 34 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 33 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 32 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 30 |
| მაიკლ კამალერი (კალ) | 29 |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 29 |
| ლუი ერიქსონი (დალ) | 27 |
| დენი ჰიტლი (ოტა) | 26 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 57 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 52 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 51 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 47 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 46 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 45 |
| მარკ სავარი (ბოს) | 42 |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 41 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 40 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 39 |

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ესბერგი-სილკებორგი | 1:1 |
| მიოლდი-ოდ გრენლანდი | 3:2 |
| ლევერკუზენი-ლეგია | 2:2 |
| ელფსბორგი-ტრელებორგი | 0:3 |
| ლილესტრიომი-რუბინი | 5:2 |

**ინგლისი**

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბარნლი-ქოვენთრი | 1:1 |
| დონკასტერი-ბრისტოლი | 1:0 |
| პლიმუტი-კრ. პალასი | 1:3 |
| უენსდი-ბარნსლი | 0:1 |
| უოტფორდი-სუონსი | 2:0 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| როვერსი-იეოვილი | 3:0 |
| ჰარტლპული-ლესტერი | 2:2 |
| ჰერეფორდი-ლიდსი | 2:0 |
| მილუოლი-სუინდონი | 1:1 |
| საუთენდი-ქრიუ | 0:1 |
| სტოკპორტი-ჩელტენემი | 1:0 |
| ტრანმერი-პიტერბრო | 1:1 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრედფორდი-დარლინგტონი | 0:0 |
| დაგენჰემი-უიკომბი | 0:1 |
| ჯილინგემი-ალდერშოტი | 4:4 |
| მაკლსფილდი-ნოტსი | 1:1 |
| როჩდეილი-მორეკამბი | 1:1 |
| შრიუსბერი-ჩესტერი | 1:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბარტონი-რექსჰემი | 2:1 |
| კიდერმინსტერი-კემბრიჯი | 1:3 |
| მენსფილდი-კეტერინგი | 0:0 |
| სალისბერი-უოკინგი | 1:0 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-სასუოლო | 1:0 |
| ასკოლი-მანტოვა | 2:0 |
| ბრეშია-ანკონა | 3:0 |
| ჩიტადელა-ტრევიზო | 1:1 |
| ფროსინონე-პარმა | 1:2 |
| გროსეტო-აველინო | 3:2 |
| ლივორნო-ბარი | 1:1 |
| მოდენა-ემპოლი | 3:0 |
| რიმინი-პიაჩენცა | 0:2 |
| ტრიესტინა-სალერნიტანა | 3:1 |
| ვიჩენცა-პიზა | 0:0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ლე მანი-ლილი | 0:0 |
| ნანსი-ნიცა | 1:2 |
| ვალანსი-კაენი | 2:0 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კამბური-ცვოლე | 1:2 |
| ვეენდამი-ომნივორლდი | გადაიდო |

**ბელგიის თასი**

| | |
|---|---|
| კორტრიიკი-მეხელენი | 0:0 |
| რუზელარე-სერკლი | 2:1 |

**პორტუგალიის თასი**

| | |
|---|---|
| გიმარაეში-ამადორა | 0:1 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| აბერდინი-ისტ ფაიფი | 5:0 |
| ეირდრი-დანფერმლაინი | 1:2 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ძერსოუსი-ლანელი | 0:2 |
| უელშპული-პრესტატინი | 2:2 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ავანგარდი | 2:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვენა-გრაცი | 6:0 |
| ვილახი-ლინცი | 1:2 |
| ზალცბურგი-აკრონი | 2:2 |
| კლაგენფიურტი-ინსბრუკი | 8:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-ჰანოვერი | 1:4 |
| ვოლფსბურგი-იზერლონი | 4:2 |
| დუისბურგი-დიუსელდორფი | 1:0 |
| ინგოლშტადტი-ჰამბურგი | 3:1 |
| კასელი-ფრანკფურტი | 2:2 |
| კრეფელდი-კიოლნი | 3:1 |
| შტრაუბინგი-ნიურნბერგი | 5:3 |

**დანია**

| | |
|---|---|
| [illegible] | 6:1 |
| [illegible] | 3:2 |
| სენდერიისკი-ნორდსილანდი | 4:1 |
| ესბერგი-ჰერლევი | 4:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-სკალიცა | 1:3 |
| კეჟმაროკი-ჟილინა | 3:3 |
| მარტინი-ნიტრა | 3:0 |
| მიკულაში-ტრენჩინი | 4:3 |
| სლოვანი-კოშიცე | 4:4 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-სეიპა | 3:2 |
| კალპა-ჰპკ | 2:2 |
| კიეკო-ტაპარა | 2:2 |
| პელიკანსი-ლუკო | 3:1 |
| ტაპარა-ესეტი | 2:0 |
| იუვიასკიულა-კერპეტი | 4:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზნოიმო-ლიბერეცი | 3:3 |
| ბოლესლავი-ზლინი | 3:3 |
| პარდუბიცე-ლიტვინოვი | 2:2 |
| სლავია-კლადნო | 3:3 |
| სპარტა-ვიტკოვიცე | 3:2 |
| ტრშინეცი-პლზენი | 2:3 |
| ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 2:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-დავოსი | 1:6 |
| ლანგნაუ-კლოტენი | 5:1 |
| რაპერსვილი-ლუგანო | 4:3 |
| ცუგი-ბილი | 6:3 |
| ჟენევა-ფრიბურგი | 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მოდო-ჰვ71 | 4:6 |
| იურგორდენი-ტიმრა | 4:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბუენოს აირესი**

| | |
|---|---|
| მასუ-ჟანკუერა | 6:3, 4:6, 4:6 |
| მონაკო-როიტმანი | 6:0, 6:0 |
| ფონინი-ანდუხარი | 6:3, 6:2 |
| ალმაგრო-ერნანდესი | 2:6, 6:1, 3:6 |
| ბელუჩი-გრანოლერსი | 5:7, 5:7 |
| აკასუსო-მუნიოსი | 6:2, 7:6 |
| კუევასი-შვანკი | 6:3, 6:7, 6:0 |
| ნავარო-ფერეირო | 6:1, 4:6, 2:6 |
| რობრედო-სტარაჩე | 5:7, 6:3, 6:3 |

**ATP. მარსელი**

| | |
|---|---|
| შუტლერი-რეკუდერი | 6:1, 6:4 |
| ზვერევი-მარჩენკო | 6:7, 6:3, 6:4 |
| ბოლელი-ბლუმფილდი | 7:6, 7:6 |
| სეპი-იანოვიჩი | 7:6, 3:6, 7:6 |
| ბენეტო-სანტორო | 4:6, 6:4, 6:2 |
| საფინი-კლემანი | 6:4, 3:6, 2:6 |
| სიმონი-დიმიტროვი | 4:6, 6:3, 7:5 |

**ATP. მემფისი**

| | |
|---|---|
| ბალდატისი-ნიშიკორი | 7:5, 6:3 |
| სიოდერლინგი-სერა | 4:6, 7:6, 2:6 |

**WTA. დუბაი**

| | |
|---|---|
| იანკოვიჩი-ნიკულესკუ | 6:3, 6:2 |
| ზვონარევა-დუშევინა | 6:0, 6:3 |
| ჟენგი-სტოსური | 3:6, 7:5, 7:5 |
| კორნე-შრუფი | 6:1, 6:2 |
| უ. რადვანსკა-პინი | 7:6, 5:7, 0:6 |
| სკიავონე-ბარტოლი | 6:7, 6:3, 3:6 |
| ვ. უილიამსი-პავლიუჩენკოვა | 6:0, 6:1 |
| კანეპი-მირზა | 7:5, 6:2 |
| საფინა-რაზანო | 4:6, 2:6 |
| ციბულკოვა-პირონკოვა | 7:6, 6:4 |
| ჰანტუხოვა-მორიტა | 7:6, 6:2 |
| ს. უილიამსი-ერანი | 4:6, 6:2, 6:0 |
| დემენტიევა-ბამერი | 7:5, 6:2 |

**WTA. ბოგოტა**

| | |
|---|---|
| კასტანიო-იოჰანსონი | 7:6, 4:6, 4:6 |
| ანი-სალერნი | 5:7, 6:2, 7:5 |
| დომინგესი-ოლარუ | 7:5, 4:6, 6:7 |
| ლაგოსტერა-სავჩუკი | 6:2, 6:0 |
| ობზილერი-მეირი | 2:6, 3:6 |
| პარა სანტონხა-ნუნიესი | 6:2, 6:1 |
| არნი-მაროსი | 5:7, 6:3, 5:7 |
| დე ლოს რიოსი-სანჩესი | 4:6, 6:0, 6:1 |
| მარტინეს სანჩესი-იაკიმოვა | 6:1, 6:3 |
| სუარეს ნავარო-ლარსონი | 7:6, 6:4 |
| დუკე მარინო-ხოსამი | 7:5, 0:6, 1:6 |
| დულკო-ჰენდლერი | 6:2, 6:4 |

**WTA. მემფისი**

| | |
|---|---|
| კრაიჩეკი-ბაროისი | 6:3, 3:6, 7:6 |
| ერაკოვიჩი-ოუდინი | 4:6, 6:2, 6:3 |
| ჰრადეცკა-სხეეპერსი | 1:6, 7:5, 6:7 |
| ჩინკი-ფორტეცი | 2:6, 6:4, 2:6 |
| ბრემონი-ფლიპკენსი | 6:4, 6:0 |

TV პროგრამა

**18 თებერვალი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
08:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:15 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
10:05 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ნიუელსი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-ნიცა.
15:05 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ბარსელონა.
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
08:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:10 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
18:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:10 უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ზენიტი-შტუტგარტი (LIVE).
23:20 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ფულჰემი (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ზენიტი-შტუტგარტი.
04:00 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
04:45 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. სან პაულუ (ბრაზილია)-ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია) (LIVE).
06:45 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ფულჰემი.

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
13:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
17:15 სნუკერი. უელსის ლია პირველობა. III დღე (LIVE).
20:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 სნუკერი. უელსის ლია პირველობა. III დღე (LIVE).
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა.
02:30 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. V ეტაპი. მერსედი-კლოვიჩი. აშშ
03:30 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
13:00 ახალი ამბები.
16:00 სნოუბორდი. ახალგაზრდული ევროპული ოლიმპიური ფესტივალი. პოლონეთი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ტურნირი. V ტური.
19:30 ახალი ამბები.
20:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი. ახალგაზრდული ევროპული ოლიმპიური ფესტივალი. პოლონეთი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 რესტლინგი.
23:30 პროფესიული კრივი. ნახევრადსაშუალო წონა. ლ. აბრეგუ (არგენტინა)-დ. ესტრადა (აშშ). აშშ.
01:00 სნოუბორდი. ახალგაზრდული ევროპული ოლიმპიური ფესტივალი. პოლონეთი.
02:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პანათინაიკოსი-პანელინიოსი.
03:00 ახალი ამბები.

ჩოგბურთი

# რუსი ჩოგბურთელები ისევ ტოტალიზატორზე თამაშობენ

## გაბაშვილისა და ტურსუნოვის საეჭვო მატჩი



რუსი ჩოგბურთელები ტოტალიზატორთან დაკავშირებულ კიდევ ერთ სკანდალში გაეხვივნენ. რუსმა ბუკმეიკერებმა პარიზის ტურნირში "უცნაური" საჩოგბურთო მატჩი დააფიქსირეს. მისი მონაწილეები იყვნენ **თეიმურაზ გაბაშვილი** და **დმიტრი ტურსუნოვი** - ბუკმეიკერთა აზრით, სპორტსმენებმა ჩაწყობილი მატჩი ითამაშეს.

ტურსუნოვს მსოფლიოს მე-60 ჩოგან გაბაშვილთან აქამდე ერთხელ ჰქონდა ნათამაშები: 2007 წელს, ინდიანაპოლისის ტურნირის მერვედფინალში გამარჯვება უფრო გამოცდილმა ტურსუნოვმა მოიპოვა. გასაკვირი არ არის, რომ ამ ორი რუსის მორიგ შეხვედრაში ფავორიტად ითვლებოდა სპორტსმენი, რომელიც ATP-ის რეიტინგში 29-ე ადგილს იკავებს. დმიტრის გამარჯვებაზე კოეფიციენტი 1.5-ს უდრიდა, მაგრამ უშუალოდ შეხვედრის წინ, სიტუაცია შეიცვალა და გამარჯვების პრეტენდენტად გაბაშვილი გამოცხადდა - მისი კოეფიციენტი 1.6-ს შეადგენდა.

*"როცა ტურსუნოვმა მატჩის დასაწყისში საკუთარ მოწოდებაზე გეიმი დათმო, გაბაშვილის მოგებაზე კოეფიციენტი 1.4-მდე დაეცა,* - განაცხადა ერთ-ერთი ტოტალიზატორის საჩოგბურთო ექსპერტმა. - *მაგრამ შემდეგ სწრაფად მიაღწია პირველად ნიშნულს (1.6), ცოტა ხანში კი საერთოდ ორამდე გაიზარდა, თუმცა პირველი სეტი სწორედ გაბაშვილის გამარჯვებით დასრულდა".*

*"ამ შეხვედრამ თავიდანვე დიდი ეჭვი გამოიწვია,* - აგრძელებს ბუკმეიკერი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა. - *მაგრამ, როცა ნაგებული პირველი სეტის შემდეგ ფსონს ყველა ტურსუნოვზე ჩადიოდა, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩოგბურთელები პატიოსნად არ თამაშობდნენ".*

გაბაშვილმა მეორე სეტის პირველი გეიმი აილო, რამაც მის გამარჯვებაზე კოეფიციენტი მოულოდნელად 2.2-მდე გაზარდა.

ამასობაში, ტურსუნოვმა მეორე პარტიაში მდგომარეობის გამოსწორება დაიწყო და მისი კოეფიციენტი ძალიან დაბალ ნიშნულამდე დავიდა - 1.2. მხოლოდ ბოლო პარტიის დასაწყისისთვის გაიზარდა ის 1.4-მდე, რაც რეალურად ასახავდა ამ მატჩში მეტოქეებს შორის ძალთა თანაფარდობას.

*"პირველი ორი სეტი ერთმნიშვნელოვნად ჩაწყობილი იყო,* - თვლის ბუკმეიკერი. - *მატჩის მსვლელობისას ტურსუნოვის მოგებაზე კოეფიციენტი არასამართლიანად დაბალი იყო. მხოლოდ ბოლო სეტში შეესაბამებოდა ის რეალობას. მატჩში გამარჯვებისთვის გაბაშვილს რომ მიეღწია, ATP აუცილებლად დაინტერესდებოდა, როგორ გადაიქცა ერთ დღეში აუთსაიდერი ფავორიტად. მაგრამ გამარჯვება ტურსუნოვმა მოიპოვა და ამ შემთხვევაში საქმე, ალბათ, არ აღიძრება".*

იმას, რომ მატჩი უცნაური იყო, ცნობილი ტოტალიზატორი Betfair-იც ადასტურებს. მეორე სეტის დასაწყისისთვის, ამ მატჩზე საერთო ჯამში 500 ათასი დოლარის ოდენობის ფსონი გაკეთდა, რაც პირველი წრის რიგითი შეხვედრისთვის უზომოდ დიდი თანხაა.

*"როგორც ჩანს, ჩოგბურთელებმა ამ გზით ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება გადაწყვიტეს. პარიზამდე მათ ამ სეზონში თითო მატჩი ჰქონდათ მოგებული, ძალიან სუსტად გამოვიდნენ ავსტრალიის ღია პირველობაზე. შესაბამისად, ჰონორარების ოდენობის მხრივ, არც ისე კარგად ჰქონდათ საქმე",* - ასკვნის უცნობი ბუკმეიკერი.




კალათბურთი

# ფინიქსმა პორტერი გაუშვა

დაახლოებით ნახევარი სეზონი გაგრძელდა "ფინიქს სანზის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ტერი პორტერის** მოღვაწეობა. კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, წარსულში ცნობილი გამთამაშებელი "სანზის" დამრიგებლის პოსტიდან გადააყენეს.

წლევანდელ რეგულარულში არიზონულმა კლუბმა 45 წლის პორტერის ხელმძღვანელობით 51 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 28 შეხვედრის მოგება შეძლო. დღეისთვის, "ფინიქსი" დასავლეთი კონფერენციის მეცხრე გუნდია და პლეი ოფის ზონაში ვერ ხვდება.




*"რამდენიმე დღე მჭირდება იმისთვის, რომ კარგად გავიაზრო მომხდარი. მხოლოდ ამის შემდეგ გავაკეთებ ოფიციალურ კომენტარს",* - განაცხადა პორტერმა მას შემდეგ, რაც "ფინიქსის" გენერალურმა მენეჯერმა **სტივ კერმა** მწვრთნელის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება გამოაცხადა. ტერის კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, რომლის მიხედვითაც 6 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

უკვე ცნობილია, რომ "სანზის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობას პორტერის თანაშემწე **ელვინ ჯენტრი** შეასრულებს.

■ ■ ■

"ფინიქს სანზის" შემტევი მცველი **ჯეისონ რიჩარდსონი** ხანმოკლე პერიოდში მეორედ გაეხვია უსიამოვნო სიტუაციაში. რამდენიმე კვირის წინ, კალათბურთელი მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის დააკავეს, ამჯერად კი არიზონას პოლიციის განყოფილებაში მოხვდა სიჩქარის გადაჭარბებისთვის. იქ, სადაც დასაშვები მაქსიმალური სიჩქარე საათში 35 მილი იყო, ჯეისონის მანქანამ საათში 100 მილი განავითარა.

გარდა ამისა, მანქანაში იმყოფებოდა კალათბურთელის 3 წლის ვაჟი, რომელიც საბავშვო სავარძელში არ იჯდა და არც უსაფრთხოების ქამარი ეკეთა. პოლიციამ ჯეისონი რამდენიმე საათით პოლიციის განყოფილებაში აყურყუტა და შემდეგ სახლში გაუშვა.

"ფინიქსის" ხელმძღვანელობა უკვე გამოეხმაურა თავისი მცველის უდისციპლინობას და მას რეგულარული ჩემპიონატის უახლოეს ტურში თამაში აუკრძალა.

■ ■ ■

"ფინიქსთან' დაკავშირებული კიდევ ერთი ამბავი მძიმე ფორვარდ **ამარე სტაუდმაიერს** უკავშირდება. ბოლო პერიოდში ამერიკული პრესა ბევრს წერდა "ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილე კალათბურთელის სავარაუდო ტრეიდის შესახებ. "ფინიქსს" ამარეს თაობაზე არაერთი კლუბი დაუკავშირდა და "სანზის" შეფობაც აქტიურად განიხილავდა სხვადასხვა შემოთავაზებას.

მაგრამ ბოლო მომენტში "ფინიქსში" გადაწყვიტეს, სეზონის ბოლომდე აღარ შეცვალონ შემადგენლობა, შესაბამისად, სტაუდმაიერი "სანზსში" დარჩება. წელს მისი საშუალო მონაგარი 21.0 ქულასა და 8.0 მოხსნას უდრის.

# ნოვიცკისა და კამანს პრჟიბილა ემატება

## გერმანიის ნაკრები ამერიკელებს აგროვებს

"პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" ცენტრი **ჯოელ პრჟიბილა** მალე გერმანიის მოქალაქეობის მიღების პროცედურას დაიწყებს, რაც მას პოლონეთში, ევროპის 2009 წლის ჩემპიონატში გამოსვლის საშუალებას მისცემს.

ამ კალათბურთელს პოლონური ფესვებიც აქვს, მაგრამ ჟურნალ "ბასკეტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ძალიან სურს **დირკ ნოვიცკის** გუნდში თამაში.

29 წლის პრჟიბილა მინესოტას შტატის ქალაქ მონტიჩელოშია დაბადებული, თუმცა დედამისი წარმოშობით გერმანიიდანაა. სწორედ ეს ფაქტი აძლევს ჯოელს გერმანიის პასპორტის მიღების საშუალებას.

ამ სეზონში პრჟიბილამ "პორტლენდის" რიგებში 52 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 5.1 ქულა და 7.8 მოხსნა დააგროვა.

აქვე შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიადის წინ, გერმანიის მოქალაქეობა მიიღო "ლოს ანჯელეს კლიპერსის" ცენტრმა **კრის კამანმა**, რომელიც წელსაც აპირებს ნოვიცკის გუნდში თამაშს.




# ლებრონს ექვსიანი მოსწონს

## მენეჯერებმა ჯეიმსს ბრაიანტი ამჯობინეს

NBA-ის ვარსკვლავმა **ლებრონ ჯეიმსმა** საინტერესო ინტერვიუ მისცა გაზეთ Cleveland Plain Dealer-ს. თურმე "კლივლენდ კავალიერზის" ლიდერს ძალიან მოსწონს მეექვსე ნომერი, რომლითაც ის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე გამოდიოდა და რომელსაც ვარჯიშების დროს იყენებს.

*"შესაძლოა, მომავალში დავფიქრდე იმაზე, რომ ჩემი ამჟამინდელი 23-ე ნომერი ექვსიანით შევცვალო. ვგრძნობ, რომ ეს ციფრი უფრო შემესაბამება. თუ ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია მაიკლ ჯორდანის საპატივცემულოდ უკვდავყოფს 23-ე ნომერს, როგორც ეს ბეისბოლში ჯეკი რობინსონის 42-ე ნომრის შემთხვევაში მოხდა, მე, რა თქმა უნდა, "კლივლენდის" სათამაშო ფორმაზე ექვსიანს დავიწერ",* - აცხადებს ჯეიმსი.

■ ■ ■

საყოველთაოდ ცნობილია, რომ NBA-ში ლებრონ ჯეიმსსა და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერ **კობი ბრაიანტს** შორის პირველობისთვის ფარული ბრძოლა მიმდინარეობს. ამ ორს შორის საუკეთესოს გარკვევა ჟურნალისტებსაც აინტერესებთ და ამ მიზნით, ცნობილმა გამოცემა USA Today-მ ლიგის 19 კლუბის გენერალური მენეჯერი გამოჰკითხა. მათ ერთი კითხვა დაუსვეს - "ვინ უფრო ძლიერია - ლებრონი თუ კობი?"

თორმეტმა მენეჯერმა უპირატესობა "ლეიკერსის" მცველს მიანიჭა და მხოლოდ შვიდმა - კლივლენდელ ვარსკვლავს.

*"კობის უფრო მაღალი საკალათბურთო IQ გააჩნია, მეტი გამოცდილება აქვს და თამაშის დროსაც გაცილებით მრავალმხრივია, მაგრამ ჯეიმსი ახალგაზრდაა და პირველი 44 წუთის განმავლობაში მის წინააღმდეგ ბრძოლა პრაქტიკულად შეუძლებელია",* - განაცხადა ყოფილმა მწვრთნელმა, ამჟამად კი ABC-ის ანალიტიკოსმა **ჯეფ ვან განდიმ**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**